ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 16 თებერვალი, 2011 №39 (5420) ფასი: 30 თეთრი

## ბაღაფში მესამედ მოსვლას აღარ აპირებს

გვ.5



# სააკაშვილს კომუნალური გადასახადები გადაიყოლებს

გვ.3

თუ არ გადაიხადე წყლის ფული, გაგითიშავენ დენს. ეს დაახლოებით იმას ნიშნავს, გლდანის მაღაზიაში რომ პურის ვალი გქონდეს და ვაკეში მწვანილი არ მოგცენ



გვ.3



## ნუ აიძულებთ საქართველოს კიდევ ერთი რევოლუციის მოწყობას!

გვ.5

## ხელისუფლებას ყველაზე მეტად ქრისტიან-დემოკრატები ვაღიზიანებთ



გვ.4

## ვაუჩერებით ნაციონალური მოძრაობა იხეირებს

გვ.6





გვ.2

## პარლამენტი უსაფრთხოების კონცეფციის განხილვას იწყებს

## პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლას რეალობასთან საერთო არაფერი აქვს

გვ.2





## მთას გადარჩენა სჭირდება

გვ.6

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

3 ჩატარებული კვლევების მიხედვით, სასამართლოებისადმი ნდობა გაიზარდა

2 პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლას რეალობასთან საერთო არაფერი აქვს

3 საქართველოში გაუჩინარებულ ადამიანებზე ფილმი გადაიღეს

7 ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ბიუჯეტს შეგვივსებს

## პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლას რეალობასთან საერთო არაფერი აქვს

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა და თბილისის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლას პიარზე გათვლილი სიტყვებს უწოდებს.

როგორც პრესკონფერენციაზე ვიქტორ დოლიძემ განაცხადა, „პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას ბევრი მარგალიტი“ ტყუილი ილაპარაკა, რამაც მას ბევრი კითხვის ნიშანი გაუჩინა. ეს კითხვები ძირითადად პრეზიდენტის მიერ მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში ბიუჯეტის გაზრდასა და ამ ბიუჯეტიდან საპენსიო და სადაზღვევო უზრუნველყოფის გაზ-



რდას ეხება.

— რის ხარჯზე შეიძლება გაორმაგდეს ბიუჯეტი, როცა წელს მხოლოდ თბილისის ბიუჯეტი 123 მილიონით შეცირდა. საინტერესოა, რის ხარჯზე ელის პრეზიდენტი ბიუჯეტის გაორმაგებას, — განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

მისი თქმით, საინტერესოა და ეჭვქვეშ დგას პრეზიდენტის განცხადება იმის შესახებ, რომ 2011-2014 წლებში საპენსიო უზრუნველყოფა 193 მილიონით, ხოლო სადაზღვევო უზრუნველყოფა 124 მილიონით გაიზრდება. დეპუტატმა ყურადღება გაამახვილა საქართველოში არსებულ სადაზღვევო სისტემაზე და იქ არსებულ კორუფციაზე. ასე ვაპირებთ დავაზღვიოთ მოსახლეობა ან ასე აპირებს ხელისუფლება გაზარდოს დაზღვევა და დაზღვეულები, — აღნიშნა ვიქტორ დოლიძემ და საქართველოში არსებულ სადაზღვევო სისტემას მონოპოლიზებული უწოდა.

მისი თქმით, არ არსებობს არცერთ ტელევიზიაში საინფორმაციო გამოშვება, სადაც არ იყოს ნაჩვენები კორუფციაში ბრალდებული მალალჩინოსნების დაკავება.სწორედ ეს არის ელიტარული კორუფცია.

— კიდევ ერთი საინტერესო განცხადება გააკეთა ქვეყნის პრეზიდენტმა ქვეყნის მოდერნიზაციაზე. ჩვენ ვეთანხმებით, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს ქვეყნის მოდერნიზება, მაგრამ რასაც სააკაშვილი აკეთებს, ეს მოდერნიზება კი არა, ქვეყნის მოდელირებაა. მას დარჩენია ერთი და უკანასკნელი შანსი, რომ ქვეყნის ტრანსფორმაცია მოახდინოს კანონიერი არჩევნების გზით, — განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

**მედიანიუსი**

# პარლამენტი უსაფრთხოების კონცეფციის განხილვას იწყებს

**ნანა მიშელაშვილი**

დავით ბაქრაძე არასაპარლამენტო ოპოზიციას მოუწოდებს, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განხილვაში მონაწილეობა მიიღონ. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განახლებაზე მუშაობა მიმდინარეობს და ის საბოლოოდ მზად გაზაფხულის ბოლოსთვის იქნება.

გუშინ პარლამენტში დავით ბაქრაძესთან დახურული შეხვედრა გაიმართა. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ: უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია, მისი მოადგილე ბათუ ქუთელია, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები.

რის ჩაწერას მოითხოვს საპარლამენტო ოპოზიცია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში? რა წერია საფრთხეების შეფასების დოკუმენტში?

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ღია დოკუმენტია, რომლის საჯარო განხილვა მოხდება. ცალკეა საფრთხეების შეფასების საიდუმლო დოკუმენტი. ამ საიდუმლო დოკუმენტის გაცნობა პარლამენტის ნდობის ჯგუფში მოხდება, რომელშიც 5 დეპუტატი შედის. ამ ხუთი დეპუტატიდან ორი — გიორგი თარგამაძე და გია თორთლაძე — საპარლამენტო უმცირესობის წევრები არიან.

როგორ აფასებენ დეპუტატები და უშიშროების საბჭოს წარმომადგენლები ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას და რა ცვლილებები უნდა შევიდეს მასში?

უშიშროების საბჭოს მდივნის გიგა ბოკერიას შეფასებით, დოკუმენტში არსებითი ცვლილებების შესახებ განხილვები კომიტეტებში დაიწყება და ყველას საშუალება მიეცემა, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას გაეცნოს.

ბოკერიას თქმით, პარლამენტში შეხვედრა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ უნდა შეიქმნას და იქმნება ტრადიცია ამ ტიპის დოკუმენტებზე მუშაობის, საპარლამენტო ზედამხედველობის, პარლამენტის მონაწილეობის, ასევე სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მონაწილეობისა.

— საბოლოო მნიშვნელობა აქვს იმ პროდუქტს, რომელიც დაიდება და ამას მთელი საზოგადოება იხილავს. ეს პროდუქტი შეიქმნება სხვადასხვა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ძალის მონაწილეობით, — აღნიშნა გიგა ბოკერიამ.

როგორია საპარლამენტო უმცირესობის წევრების მოსაზრება და რა უნდა ჩაიწეროს განახლებულ კონცეფციაში?

პარლამენტის ვიცე-სპიკერ პაატა დავითაიას განცხადებით, საქართველოსთვის მთავარ საფრთხედ ოკუპანტი ქვეყანა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეიარაღების შეტანა რჩება, სადაც ხდება დამატებითი შეიარაღების განლაგება.

— რუსეთი, როგორც საფრთხე, ამ დოკუმენტში მოხსენებული იქნება. საოკუპაციო რეჟიმმა ოკუპაცია გაუკეთა გარკვეულ ტერიტორიებს, რომელიც შემდგომში ითვალისწინებს დეოკუპაციას, — აღნიშნა პაატა დავითაიამ.

ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრი ნიკა ლალიაშვილი აცხადებს, რომ რამდენიმე წინადადება აქვთ ოთხ ძირითადად სფეროში და იმედი აქვს, ისინი გაზიარებული იქნება.

— ეს წინადადები შეეხება გამოწვევების საკითხს. გამოწვევების ნაწილში აუცილებლად უნდა აისახოს ჩვენი დემოკრატიუკლი ინსტიტუტების სიმყიფე, ასევე საუბარია სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების განმტკიცებასა და კიდევ რამდენიმე მოლენაზე, რომელსაც მივიჩნევთ გამოწვევად ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების მიმართ, — აღნიშნა ნიკა ლალიაშვილმა.

რაც შეეხება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, ამ პარტიის წევრი გურამ ჩახვაძე კონცეფციაში სოციალური და ეკონომიკური უსაფრთხოების ასახვას მოითხოვს.

გურამ ჩახვაძის განცხადებით, ეროვნულ-დემოკრატები, გარდა საგარეო საფრთხეებისა, არანაკლებ მნიშვნელოვნად თვლიან ქვეყნის ისეთ საშინაო საფრთხეებს, როგორიცაა ეკონომიკური და სოციალური მომენტები.

— ჩვენ გვაქვს კონკრეტული შეხედულება, თუ როგორ გავაძლიეროთ ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური უსაფრთხოება. კერძოდ, სოციალური სექტორის, ჯანდაცვის რეფორმა, ჩვენი მოსახლეობა დაცული უნდა იყოს ყველა სოციალური რისკისგან, როგორიცაა უმუშევრობა, ხანდაზმულობა და ჯანმრთელობა, ასევე ეკონომიკისადმი ხელმისაწვდომობა, — განაცხადა გურამ ჩახვაძემ.

საპარლამენტო უმცირესობის ლი-



დერ გიორგი თარგამაძის განცხადებით, უსაფრთხოების კონცეფციის განხილვა მოხდება როგორც კომიტეტებში, ღია ფორმატში, მათ შორის, დაინტერესებული პოლიტიკური პარტიების მონაწილეობით, რომლებიც პარლამენტში არ არიან წარმოდგენილი.

— საერთო ამოცანაა, რომ მივიღოთ უფრო უსაფრთხო გარემო და სახელმწიფომ გაითვალისწინოს ყველა ის მოლოდინი, რომელზე რეაგირებისთვისაც მზად უნდა იყოს, უფრო მეტიც, რომლის პრევენციისთვისაც სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

ქრისტიან-დემოკრატებს ამ დოკუმენტთან დაკავშირებით საკუთარი წინადადებები აქვთ, თუ რა უნდა დაზუსტდეს ან რა არის გამორჩენილი.

— ორ მათგანს გამოვყოფ. პირველი — იქ, სადაც საუბარია ჩვენს ტრადიციულ ღირებულებებსა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე, ჩვენ ვთვლით, რომ გამოყოფილად უნდა იყოს აღნიშნული ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის როლი საქართველოს ისტორიაში და აქვე ტრადიციული კონფესიების როლი ჩვენი კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებაში. ასევე მიგვაჩნია, რომ ერთ-ერთ პრიორიტეტად და გამოწვევად კონცეფციაში უნდა დაფიქსირდეს ჩვენი დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მდგრადობის პრობლემა და ესეც უნდა იყოს განხილული, როგორც გამოწვევა ჩვენი უსაფრთხო გარემოს ჩამოსაყალიბებლად, — ასეთია უმცირესობის ლიდერის პოზიცია.

გიორგი თარგამაძეს ასევე მიაჩნია, რომ საფრთხეების შეფასების გასაიდუმლოებული ვარიანტის განხილვა უნდა მოხდეს ნდობის ჯგუფში.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შესახებ განმარტება გააკეთა უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ბათუ ქუთელიამ. მისი განცხადებით, ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტის მთავარი ამოცანაა, განსაზღვროს პოლიტიკის ის პრიორიტეტები, რომლებიც გატარდება საფრთხეების გასანეიტრალებლად, იმ საფრთხეებისა, რომლებიც დღევანდელ რეალობაში საქართველოს წინაშე დგას.

— კონკრეტული საფრთხეები ასახულია ამ დოკუმენტში. უფრო ვრცლად ეს საფრთხეები ასახულია საფრთხეების მიმოხილვის დოკუმენტში, რომელიც ცალკე დოკუმენტია და პარალელურად მუშავდება. ამ დოკუმენტის განხილვის პროცესში პარლამენტი აქტიურად იქნება ჩართული. რაც შეეხება უსაფრთხოების კონცეფციის დოკუმენტს, აქ განვსაზღვრავთ პოლიტიკის პრიორიტეტებს იმ საფრთხეების გასანეიტრალებლად, რომლებიც დღეს ჩვენ წინაშეა. ეს არის როგორც საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია, რუსეთის ფაქტორი, ასევე სხვადასხვა სახის გამოწვევა, რომლებიც დღეს ჩვენს რეგიონში და არა მარტო რეგიონში, არამედ, გლობალურად დგას, — აღნიშნა ბათუ ქუთელიამ.

უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის თქმით, აქცენტები იქნება გაკეთებული იმ მეთოდებზე, რომლებითაც უნდა მოხლეს ამ საფრთხეების განეიტრალება. მისივე განმარტებით, ყოველთვის არის რამდენიმე მეთოდის კომბინაცია ნებისმიერი საფრთხის განეიტრალებისას, არის ეროვნული რესურსები, რომლებიც ქვეყანას გააჩნია, არის საერთაშორისო რესურსები, ასევე ორმხრივი თუ მრავალმხრივი ზომები და ღონისძიებები, რომლითაც ხდება პოტენციური თუ არსებული საფრთხეების განეიტრალება.

უსაფრთხოების კონცეფციასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა პარლამენტის თავმჯდომარემ. დავით ბაქრაძის შეფასებით, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტის განხილვაში პარლამენტი ჩაერთვება არა მაშინ, როდესაც დამტკიცებული დოკუმენტი შევა, არამედ, პარლამენტი დოკუმენტის მომზადების პროცესში თავიდანვე ჩაერთვება.

— დოკუმენტი თავიდანვე შეთანხმებული იქნება პარლამენტში წარმოდგენილ პოლიტიკურ ძალებთან. ეს არის კარგი პოლიტიკური ტრადიცია, რომელსაც ჩვენ ვქმნით, რომ ყველა მსურველ პოლიტიკურ პარტიას მიეცეს საშუალება, თავიდანვე ჩაერთოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებაში და არ მიიღოს გამზადებული დოკუმენტი, რომელსაც ან დაეთანხმება, ან არა, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარემ საფრთხეების შეფასების დოკუმენტზეც ისაუბრა, რომელიც რამდენიმე თვის წინ იქნა მიღებული. დავით ბაქრაძის თქმით, ეს დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს ქვეყნის წინაშე მდგომ საფრთხეებს, დაწყებული ფიზიკური საფრთხიდან, ისეთი საფრთხიდან, რომელიც უკავშირდება რუსულ ოკუპაციას და დასრულებული კიბერ და ეკოლოგიური საფრთხეებით. ამ დოკუმენტში ჩამონათვალია ყველა ის საფრთხე, რომლებიც ქვეყნის წინაშე შეიძლება იდგეს.

დავით ბაქრაძის შეფასებით, საფრთხეების შეფასების დოკუმენტს საკმაოდ მნიშვნელოვანი საიდუმლო ნაწილი აქვს, სადაც კონკრეტულ რისკებზეა საუბარი. ბაქრაძის თქმით, პარლამენტის ნდობის ჯგუფი სწორედ იმიტომ არსებობს, რომ ასეთ სენსიტიურ ინფორმაციაზე მიიღონ დეპუტატებმა ინფორმაცია.

— ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ამოცანა იქნება სწორედ ამ საფრთხეებზე რეაგირების მექანიზმებისა და იმ სტრატეგიის შემუშავება, რომელიც დაგვეხმარება ქვეყნის წინაშე მდგომი ყველა პრობლემისა და საფრთხის გაუვნებელყოფასა და გადაწყვეტაში, — ასეთია დავით ბაქრაძის პოზიცია.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას მიმდინარე კვირას კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე განიხილავენ. ეს სხდომა ღია იქნება და ყველას შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს.

გუშინ დავით ბაქრაძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ არასაპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებს, ვისაც ამის სურვილი ექნება. ასევე შეხვედრები გაიმართება საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობაში. ამის შემდეგ დოკუმენტის განხილვა ისევ უშიშროების საბჭოში გადაინაცვლებს, სადაც მოხდება შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინება. საბოლოოდ, დოკუმენტი პრეზიდენტის ხელმოწერით პარლამენტში დაბრუნდება და ისევ კომიტეტებში მოხდება მისი განხილვა.

პარლამენტის თავმჯდომარე ვარაუდობს, რომ ერთი თვის განმავლობაში დოკუმენტთან დაკავშირებით პირველი საპარლამენტო მოსმენა დასრულდება, გაზაფხულის ბოლომდე კი დოკუმენტი პრეზიდენტის ხელმოწერით პარლამენტში შევა.

## იური ვაზაგაშვილი სახალხო მოძრაობის დაწყების ინიციატივით გამოდის



მოძრაობა „გადაარჩინე სიცოცხლეს“ ხელმძღვანელი იური ვაზაგაშვილი სახალხო მოძრაობის დაწყების ინიციატივით გამოდის. ამის შესახებ განცხადება მან დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. ვაზაგაშვილის თქმით, მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტში გამოსვლისას პოლიციის მიერ მოკლულ ახალგაზრდებს კიდევ ერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა, როდესაც განაცხადა, რომ შსს-მ უნდა გააგრძელოს ნულოვანი ტოლერანტობა „დამნაშავეების“ მიმართ.

„სააკაშვილმა თავისი განცხადებით კიდევ ერთხელ წაახალისა მერაბიშვილის და მისი „სიკვდილის ბრიგადები“ და ამით კიდევ ერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა ჩვენს დაღუპულ შვილებს. ვთვლი, რომ ეს არის კიდევ ერთი გამოწვევა სააკაშვილის მხრიდან საზოგადოების წინაშე. სწორედ ამიტომ აუცილებლად უნდა დაიწყოს სახალხო მოძრაობა იმისათვის, რომ დასრულდეს ამ ხელისუფლების მმართველობა“, — განაცხადა იური ვაზაგაშვილმა.

სახალხო მოძრაობის დაწყების ინიციატივას მხარს უჭერენ კონსერვატიული და ხალხის პარტიები, ასევე სამოქალაქო ფრონტი.

კონსერვატიული პარტიის წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა მიხეილ სააკაშვილს სერიული „მკვლელი“ უწოდა, რომელსაც თავისივე მოკლული ახალგაზრდების სულები არ ასვენებენ.

**მედიანიუსი**

## სერგეი ლავროვის გამოსვლა ლონდონის ეკონომიკის სკოლაში ინციდენტით დასრულდა

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის გამოსვლა ლონდონის ეკონომიკის სკოლაში ინციდენტით დასრულდა. „გაზეტა.რუს“ ინფორმაციით, სიტყვით გამოსვლის შემდეგ, სერგეი ლავროვი დარბაზის დატოვებას აპირებდა, როცა ერთ-ერთმა დამსწრემ ყვირილი დაიწყო.

— ჩვენ გვინდა მედვედევს მოწოდება გადავცეთ — გაათავისუფლეთ ხადარკოვსკი და ლებედევი, — რუსულად ყვიროდა შეხვედრის ერთ-ერთი დამსწრე.

შეხვედრის დაწყებისთანავე კი ეკონომიკის სკოლის შენობასთან რამდენიმე პირმა პიკეტი მოაწყო. აქციის მონაწილეებს ხელში პლაკატები ეკავათ წარწერით „ბატონო ლავროვო, რატომ მალავთ ლუგავოის და კოვტუნს?“, ერთ-ერთ პლაკატზე კი უშიშროების ფედერალური სამსახურის ყოფილი თანამშრომლის ალექსანდრე ლიტვინენკოს ფოტო იყო გამოსახული. სერგეი ლავროვის დიდ ბრიტანეთში ვიზიტი დღეს დაიწყო.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები**: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი**: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# საააკაშვილს კომუნალური გადასახადები გადაიყოლებს

**შორენა კოწოწაშვილი**

ლეიბორისტული პარტია კომუნალური გადასახადების ერთიანი ქვითრის შემოღებას აპროტესტებს და პრეზიდენტ სააკაშვილს ამ გადაწყვეტილების გაუქმებისკენ მოუწოდებს.ამ მიზნით გუშინ ლეიბორისტული პარტიის ლიდერები მხარდამჭერებთან ერთად კომპანია „თელასის" ცენტრალურ ოფისთან მივიდნენ და კიდევ ერთხელ გააპროტესტეს ის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც თელასის აბონენტს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდება, თუ მას წყლის ან დასუფთავების გადასახადი არ ექნება დაფარული.შრომის პარტიაში აცხადებენ, რომ ეს არა მხოლოდ ანტიადამიანური და ანტისოციალური გადაწყვეტილებაა, არამედ ეს არის ანტიკონსტიტუციური ნორმაც. შესაბამისად, შალვა ნათელაშვილს და მის თანაგუნდელებს იმედი აქვთ, რომ ერთიანი კომუნალური ქვითრის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი მათი სარჩელი დაკმაყოფილდება. საპროტესტო აქციაზე ლეიბორისტული პარტიის ლიდერებმა ყველა ის ნაბიჯი გაიხსენეს, რომელიც შალვა ნათელაშვილმა და მისმა თანაგუნდელებმა ერთიანი კომუნალური ქვითრის შემოღების წინააღმდეგ გადადგეს. მშრომელთა ინტერესების დამცველების თქმით, მას შემდეგ, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ ეს უმძიმესი კანონი მიიღო, ლეიბორისტულმა პარტიამ ეს გადაწყვეტილება არაერთ ბრიფინგზე და აქციაზე გააპროტესტა, ამასთან შეიტანა საკონსტიტუციო სარჩელი მისი გაუქმების მოთხოვნით. ამასთანავე, ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად მიმართა რუსულ კომპანია რაოესის ხელმძღვანელობას და რუსეთის დუმას, რათა გარკვეული ზემოქმედება განეხორციელებინა რუსულ ენერგოკომპანიაზე, რათა ამ უკანასკნელს უარი ეთქვა ქართველი ხალხის გაკოტრებაზე.

აღსანიშნავია, რომ ლეიბორისტების ამ ძალისხმევამ არანაირი შედეგი არ გამოიღო.



— საუბარია ინტეგრირებულ ქვითარზე. თუ არ გადაიხდი ნაგვის ფულს, გაგითიშავენ დენს. თუ არ გადაიხადე წყლის ფული, გაგითიშავენ დენს. ეს დაახლოებით იმას ნიშნავს, გლდანის მაღაზიაში რომ პურის ვალი გქონდეს და ვაკეში მწვანილი არ მოგცენ, — აღნიშნა შალვა ნათელაშვილმა და ინტერრაოს კიდევ ერთხელ მოუწოდა, ხელი აიღოს ამ უკანონობის დაკანონებისგან.

გუშინვე ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა კიდევ ერთხელ მიმართა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და მოუწოდა, იმ შემთხვევაში, თუ კომუნალური გადასახადების გადახდის ახალ წესს არ გააუქმებს, ის მუბარაქის ბედს გაიზიარებს და ერთიანი გადახდის ქვითარი კი მისი პოლიტიკური საფლავის ნიჩაბი იქნება.

# ნარკოტიკები ხელნაკეთი წყალქვეშა ნავით გადაჰქონდათ

კოლუმბიის სამხრეთ-დასავლეთში, სამართალდამცველებმა აღმოაჩინეს 31 მეტრის სიგრძის არაქარხნული წარმოების წყალქვეშა ნავი, რომელიც თანამედროვე სანავიგაციო სისტემითაა აღჭურვილი. ხომალდს წყალში ცხრა მეტრის სიღრმემდე შეუძლია ჩასვლა და მისი მონაცემების გათვალისწინებით, მექსიკამდე უპრობლემოდ მიაღწევს. წყალქვეშა ნავი ეკიპაჟის ოთხ წევრზეა გათვლილი და მას რვა ტონა ტვირთის გადატანა შეუძლია.

კოლუმბიის საზღვაო ძალების მეთაურის ერნან ველესის განცხადებით, მათ მიერ ნაპოვნი წყალქვეშა ნავი, ალბათ მსოფლიოში არსებულ ყველა ხელნაკეთ წყალქვეშა ნავზე დახვეწილია.

კოლუმბიელი სამართალდამცველების ვარაუდით, წყალქვეშა ნავის მეშვეობით კოლუმბიელ ნარკომოვაჭრეებს კოკაინი მექსიკაში გადაჰქონდათ, საიდანაც ნარკოტიკი აშშ-ში ხვდებოდა. კოლუმბიელმა ექსპერტებმა წყალქვეშა ნავის ღირებულება 2 მილიონ აშშ დოლარად შეაფასეს.

**მედიანიუსი**

# ალასანია სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიას გურულებს გააცნობს

„თავისუფალი დემოკრატები" სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიას „გავაძლიეროთ სოფელი — დავძლიოთ სიღარიბე" დღეს ოზურგეთში წარადგენენ.

პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს გურულებს პარტიის ლიდერი, ირაკლი ალასანია პირადად გააცნობს.

პარტიის მიერ შემუშავებული სტრატეგიის მიზანია დარგის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა, რათა მიიღწეული იქნას აგროსამრეწველო პროდუქციის სტაბილური ზრდა, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სოფლად სიღარიბის დაძლევა.

ამ მიზნის მისაღწევად "თავისუფალი დემოკრატებს" აუცილებლად მიაჩნიათ, გლეხური და ფერმერული მეურნეობების გაერთიანების ხელშეწყობა და სოფლად კოოპერატივების ჩამოყალიბება, ასევე აგრარული სექტორის საბიუჯეტო დაფინანსების 5-ჯერ გაზრდა, ინვესტიციების მოზიდვა, საფინანსო რესურსების ხელმისაწვდომობა, შიდა ბაზრის დაცვა, აგროსასურსათო გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება და სასოფლო-საწარმოო და სოციალურ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მათ შორის, სარწყავი და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაცია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, სასუქებითა და შხამქიმიკატებით უზრუნველყოფა.

პარტიაში დარწმუნებულები არიან, რომ ამ სტრატეგიის განხორციელება გაზრდის სოფლად დასაქმებას, ალტერნატიული არასასოფლო-სამეურნეო სამუშაო ადგილების შექმნას, ასევე, აგრარული პროდუქციის წარმოების ზრდას, საექსპორტო პროდუქციის მოცულობის მატებასა და მის დივერსიფიცირებას.

როგორც „თავისუფალი დემოკრატები" აცხადებენ, ყოველივე ამის განხორციელებისთვის სოფლის მეურნეობაში საქართველოს ბიუჯეტიდან საწყისი ეტაპისთვის 300 მილიონი ლარი უნდა გამოიყოს, რომელიც წლის ბოლოსთვის მილიარდამდე უნდა გაიზარდოს.

აღნიშნულ სტრატეგიას ირაკლი ალასანია მოსახლეობას ყველა რეგიონში გააცნობს. პირველი რეგიონი, სადაც „თავისუფალმა დემოკრატებმა" სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა წარადგინეს შიდა ქართლში იყო. პარტიის ლიდერმა მოსახლეობასთან შეხვედრა გორში გუშინ გამართა.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოში გაუჩინარებულ ადამიანებზე ფილმი გადაიღეს

კინოს სახლში დღეს, საქართველოში სხვადასხვა დროს გაუჩინარებული ადამიანების შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმის „გაუჩინარებულები" პრეზენტაცია გაიმართება.

ფილმი „ადამიანის უფლებათა ცენტრის" ვიდეოსტუდიის მიერაა გადაღებული და საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილ გაუჩინარების ფაქტებს ასახავს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" „ადამიანის უფლებათა ცენტრიდან" აცნობეს, 2005 წლის ივნისში, მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოში სადრადინ ფალანგოვი, მეტსახელად „გარა მოლა" გაუჩინარდა. 2009 წლის ოქტომბერში ეთნიკურად ჩეჩენი, ჩეჩნეთის კულტურის მინისტრის მოადგილე (დევნილობაში) საიდ-ჰუსეინ ტაზბაევი თბილისში გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა. გურჯაანის რაიონის სოფელ ვაჩნაძიანში 17 წლის გიგა ელიზბარაშვილის შესახებ 2010 წლის 17 სექტემბრიდან არაფერია ცნობილი, ასევე გაუჩინარებულია გასული წლის 26 სექტემბრიდან, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოში, 14 წლის ვასილ წიკლაური.

მათივე ცნობით, ფილმში მოთხრობილ გაუჩინარების ფაქტებზე გამოძიებას პასუხი არა აქვს. დღეისათვის საქართველოში 907 ადამიანია გაუჩინარებული, რაც ასეთი პატარა ქვეყნისთვის ძალიან ბევრია.

**ინტერპრესნიუსი**

დაიწყეთ ახალი დღე
„ახალ ქართულ პროზასთან" ერთად!
ყოველი ორშაბათიდან ჟურნალ „გუმბათთან" ერთად შეიძინეთ „ახალი ქართული პროზის" ახალი ტომი
14 თებერვლიდან გაიყიდება მე-8 ტომი



ჟურნალი წიგნთან ერთად 3 ლარი ღირს

# ჩატარებული კვლევების მიხედვით, სასამართლოებისადმი ნდობა გაიზარდა

სასამართლოები მომხმარებელთა გამოკითხვას უკვე საკუთარი რესურსებით აგრძელებენ.

2010 წელს სხვადასხვა კვლევითი კომპანიების მიერ სამი ფართომასშტაბიანი კვლევა ჩატარდა, გაეროსა და USAID-ის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ წინა წლებთან შედარებით, სასამართლოს მიმართ მოსახლეობის ნდობა აშკარად გაზრდილი იყო, და იგი საშუალოდ, 60-65 პროცენტს შეადგენდა.



2010 წლის დეკემბრის თვიდან კი სასამართლოებმა უკვე საკუთარი რესურსებით დაიწყეს კვლევების ჩატარება. მცირე მასშტაბის კვლევები ჩატარდა ხელვაჩაურის, ოზურგეთის რაიონულ სასამართლოებში და ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

გამოკითხულთა ძირითად ნაწილს ადვოკატები და პროცესზე დამსწრე პირები შეადგენდნენ.

აღნიშნული გამოკითხვა, როგორც ბოლო დროს ჩატარებული კვლევების დიდი ნაწილი, მომხმარებელთა სერვისის შეფასებასა და სასამართლოს მიმართ ნდობის პროცენტულ მაჩვენებელს ასახავს.

საქმის გადაწყვეტის ვადები, სასამართლოს თანამშრომელთა მხრიდან დამოკიდებულის შეფასება, სასამართლოს მხრიდან ინფორმაციის გაცემის პროცედურების სიმარტივე, სასამართლოში მისაღები ადგილების კომფორტულობის შეფასება– ასეთი გახლდათ იმ კითხვების ძირითადი ჩამონათვალი, რომელსაც სპეციალურად დატრენინგებული სტაჟიორები სასამართლოში მოსულ მოქალაქეებს უსვამდნენ.

ყველა პარამეტრის მიხედვით, მდგომარეობა აღნიშნულ სასამართლოებში დადებითად იქნა შეფასებული, რაც საბოლოო ჯამში, სასამართლოსადმი ნდობის გაზრდაში გამოიხატა.

კვლევის ბოლო კითხვა სასამართლოს მიმართ ნდობას შეეხებოდა. ოზურგეთის და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში გამოკითხულთა 66 პროცენტი ენდობა სასამართლოს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართ კი ნდობა გამოკითხული რესპოდენტების 67 პროცენტმა დააფიქსირა.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ გამოკითხვა ოდნავ განსხვავებული ფორმით ჩაატარა და სასამართლოს მოხელეთა მხრიდან კომუნიკაციის სტანდარტების დაცვის მდგომარეობის შეფასება განახორციელა.

ხაშურის რაიონულ სასამართლოში მოსულმა მოქალაქეებმა სპეციალური კითხვარი შეავსეს (ანონიმურობის დაცვით), სადაც შეაფასეს, როგორც სასამართლოს მოხელეთა თავაზიანობა, გულისხმიერება, კეთილგანწყობა, პუნქტუალობა, პროფესიონალიზმი, ასევე მათი აზრით რამდენად შეესაბამაბოდა სასამართლოს მოხელეთა ჩაცმულობა, სამუშაო გარემო მაღალ სტანდარტს.

„გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მდგომარეობა სასამართლოში ყველა მიმართულებით გაუმჯობესებულია, რაც აისახა კიდეც სასამართლოს მიმართ მოქალაქეების მხრიდან გაზრდილ ნდობაზე. გამოკითხვების მიზანი ციფრების დაფიქსირება არ გახლავთ. ყველა ასეთ კვლევას აქვს მხოლოდ ერთი დანიშნულება– სასამართლოებში არსებული პრობლემების დანახვა, მათი ანალიზი და სიტუაციის გამოსწორებაზე მუდმივი ზრუნვა. როცა სიტუაციას იკვლევ, ეს ნიშნავს რომ მდგომარეობის შეფასებასა და გაუმჯობესებაზე ზრუნავ", აცხადებენ უზენაეს სასამართლოში.

სასამართლოს მომხმარებელთა გამოკითხვებს სასამართლოები მომავალშიც გააგრძელებენ.

# ხელისუფლებას ყველაზე მეტად ქრისტიან-დემოკრატები ვაღიზიანებთ

ნონა ცაბა ე

**ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ინგა გრიგოლია პრეზიდენტის ინიციატივას სოციალურ ვაუჩერებთან დაკავშირებით ეხმაურება და აცხადებს, რომ სააკაშვილს სოციალური ვაუჩერების დარიგება 59 მილიონი ლარი უჯდება. გრიგოლიას განცხადებით, სააკაშვილი 59 მილიონს იხდის იმისთვის, რომ გაზაფხულზე მშვიდად ი ინოს, იმისთვის, რომ სავარ ელი შეინარჩუნოს.**

ინგა გრიგოლია:

— როდესაც სააკაშვილის გამოსვლას ვუსმენდი პარლამენტში, დავფიქრდი, თუ რამხელა ბრძოლა გველის არჩევნებისთვის, იმიტომ რომ მისი ტონი იყო იმდენად ცინიკური, იმდენად ჰგავდა თავის ჩვეულ ძველ ტონს, თავიდან როგორიც იყო რევოლუციის შემდეგ, როცა ის პრეზიდენტი გახდა, ანუ მისი მოძლიერებული პოზიციები აძლევს საშუალებას, იყოს ასეთი ცინიკური, ისიც და მისი უმრავლესობაც. მოდით და ვიტყვი იმას, რომ რასაც სააკაშვილი ამბობდა, ყველაფერი არ იყო ისე, იმ ციფრებზე მაქვს საუბარი, რომელიც მან ჩამოარაკრაკა და, თუ გინდათ, ის თემები, რაზეც ქრისტიან-დემოკრატებს ედავებოდა.

***— გიორგი თარგამაძის მიერ მოყვანილ ყველა ციფრს სააკაშვილმა იგნორირება გაუკეთა...***

— სააკაშვილის გამოსვლა იყო ტიპური დემაგოგია, თუნდაც იგივე ლევან ვეფხვაძეს რომ შეეკამათა, რომელ ქვეყანაშია გაზის ტარიფი უფრო იაფიო? ეს იყო დემაგოგია. მე გეტყვით, რომ პრეზიდენტმა იმ დღეს კიდევ ერთხელ აუხვია ხალხს თვალი. ეს იყო მათი კიდევ ერთი ტყუილი, კიდევ ერთი მცდელობა, მოეტყუებინათ საზოგადოება, თითქოს სწორედ იმ ტარიფით გვახდევინებენ გაზის ფასს, რაც დადგენილია. სააკაშვილმა არაფერი თქვა იმ გამოსვლაში, რომ შევარდნაძის დროს გაფორმებული ხელშეკრულება, საუბარი მაქვს შაჰ დენიზის ხელშეკრულებაზე, ითვალისწინებს სწორედ იაფ ტარიფს გაზისას. მათ გაწყვიტეს ყოველგვარი კავშირი ამ ხელშეკრულებასთან და ახლა მთლიანად სოკარზე არიან ჩამოკიდებული. სწორედ ეს არის ის ფასი, რისი გადახდაც გიწევთ თქვენ, მე, ჩვენს მოსახლეობას. პრეზიდენტი სულ ტყუილად ედავებოდა ქრისტიან-დემოკრატებს, იმიტომ რომ ამ ხელშეკრულებას რატიფიკაცია გაუკეთა საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდში. სწორედ პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულების კვალდაკვალ ჩვენი მოსახლეობა უნდა იხდიდეს უფრო იაფ ტარიფს. სხვათა შორის, გია ჭანტურიას აქვს ხელი მოწერილი ამ ხელშეკრულებაზე და, როცა იგი არჩევნების წინ ლაპარაკობდა დაბალ ტარიფებზე, ეს მოდიოდა სწორედ შაჰდენიზის ხელშეკრულებით. ნომერი მეორე იყო ძალიან თვალშისაცემი — პრეზიდენტის და განსაკუთრებით მისი უმრავლესობის ტონი. მე ვიყავი, მაგალითად, გაოგნებული, როდესაც ვუსმენდი გოკა გაბაშვილის ტონს. როდესაც შენ ასე თამამად გამოდიხარ და ამდენის უფლებას აძლევ საკუთარ თავს, რომ საკუთარ ოპონენტებს ამ ტონში ესაუბრო, არაკომპეტენტურები ეძახო, მე არ ვიცი, ვინმეს თუ კიდევ გაახსენდება უახლოეს წარსულში, რომელიმე ასეთი გამოსვლა და ასეთი ტონალობა.

***— რაზე მეტყველებს მათი ასეთი ტონი?***

— ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ხელისუფლებამ დაიჯერა, ძალიან გაძლიერებულები არიან, თითქოს ძალიან ძლიერია მათი პოზიციები და ახლა ამ გონორით გველაპარაკებიან. თუმცა ეს ტონი იმაზეც მეტყველებს, რომ აუცილებლად გაგვიჭირდება ჩვენ, ძალიან სერიოზული ბრძოლა თუ არ ვაწარმოეთ, მომავალი არჩევნების მოგება. მე ვიტყვი კიდევ ერთს — სააკაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ტონალობით გველაპარაკებოდა, ის რომ მას ძალიან ეშინია სოციალური აფეთქების და გამოსვლების, გაზრდილი ტარიფების, ამაზე მეტყველებს მისი ინიციატივა და გადაწყვეტილება 20 და 30-ლარიანი ვაუჩერების დარიგების თაობაზე.



***— ასეთია ყველა ექსპერტის შეფასება, რომ საშინლად აშინებს შექმნილი ფონი და ამიტომ დაიწყო ამ ვაუჩერების დარიგება...***

— რასაკვირველია, ასეა. მას ძალიან აშინებს სოციალური საფრთხე და პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ვაუჩერებისთვის ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს 50 მილიონი. სწორედ ამის საფასურად სააკაშვილი ცდილობს, რომ მოიპოვოს სიმშვიდე გაზაფხულისთვის, ანუ 50 მილიონს იხდის იგი იმაში, რომ შეინარჩუნოს ხელისუფლებამ საკუთარი სავარძლები, ვინაიდან ძალიან მძიმე იქნება სოციალური ფონი სწორედ გაზაფხულისთვის. ჩვენ უკვე მერამდენედ გვიწევს ამაზე საუბარი და, როდესაც საპარლამენტო დებატებისას ქრისტიან-დემოკრატები გამოდიოდნენ, მას ელაპარაკებოდნენ უსაშველოდ მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ პირობებზე, უსაშველოდ გაზრდილ ფასებსა და ხალხის გაუსაძლის მდგომარეობაზე, მათი ტონი დამშვიდებული იყო ალბათ სწორედ იმიტომ, რომ მათ აქვთ უკვე მოზომილი კონკრეტული თანხა და ეს არის 50 მილიონი. ალბათ სწორედ აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სააკაშვილს ძალიანაც ეშინია სოციალური გამოსვლების და იგი ცდილობს, ამ 50 მილიონით იყიდოს საკუთარი სიმშვიდე.

***— თქვენ რამდენიმე ხნის წინ ეგვიპტეში იყავით და თავად ადევნებდით თვალს იქ მიმდინარე პროცესებს. თუ რა მოხდა იქ, კარგად იცის ქართველმა საზოგადოებამ. თქვენი აზრით, რამდენად ემუქრება ეს საფრთხე სააკაშვილს?***

— ბუნებრივია, საფრთხე რეალურია, თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ხალხმა გამოსვლები დაიწყო უმუშევრობისა და არანორმალურად გაზრდილი ფასების გამო, სოციალური პირობების გამო. სხვათა შორის, ყველამ იცის, იქ სიტუაცია როგორ განვითარდა. ფეისბუქით დაგეგმეს ადამიანებმა, როგორ უნდა დაეწყოთ შეკრებები მუბარაქის წინააღმდეგ. როდესაც მათ აკრძალული ჰქონდათ ტელევიზიით რეალური ინფორმაციის მიღება, იყო საშინელი ცენზურა და პრესი, ადამიანებმა ფეისბუქით დაგეგმეს ეს ყველაფერი. ამას რატომ ვუსვამ ხაზს, მათ პოლიტიკური ლიდერები არც კი დასჭირდათ, თვითონ კონკრეტულმა ადამიანებმა გააკეთეს ყოველივე, რადგან ცხოვრობდნენ გაუსაძლის პირობებში. იგივე მოხდება ჩვენს ქვეყანაში, თუკი დროულად არ მოუხმობს გონს ხელისუფლება და რაიმე გამოსავალს არ შესთავაზებს ხალხს. 20 და 30ლარიანი სოციალური ვაუჩერი არ არის გამოსავალი მშიერ-მწყურვალი ადამიანისთვის. გუშინ ჩვენ ვიყავით ერთ-ერთ ოჯახში, რომელსაც ჰყავდა 6 შვილი, იყო ახალგაზრდა, 8-სულიანი ოჯახი, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი და 6 პატარა ბავშვი. ამ ქალბატონმა გვაჩვენა, რომ ჩაჭრილი აქვთ გაზი საკუთარი ნებით, იმიტომ რომ ჩვენ ამას ვერასოდეს ვერ გადავიხდით, მოგვაქვს შეშა და შეშით ვთბებითო. აი, ეს არის ჩვენი დღევანდელი რეალობა და ხელისუფლება ამ დროს გამოვიდა და ბრტყელ-ბრტყელი საუბრით ცდილობდა, ხალხი კიდევ ერთხელ მოეტყუებინა, თითქოს ყველაფერი კარგად არის ამ ქვეყანაში და თითქოს გამოსავალიც ნაპოვნია. არანაირი გამოსავალი არა აქვთ. თქვენ მოისმინეთ რაიმე შემოთავაზება პრეზიდენტისგან, გარდა ამ 20 და 30-ლარიანი ვაუჩერისა?! კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს ვაუჩერები არის სწორედ იმისთვის, რომ სიმშვიდე შეინარჩუნოს მიხეილ სააკაშვილმა. იგივე ამ ვაუჩერებისთვის გამოყოფილი თანხა, რაც უნდა დაჯდეს ეს სოციალური ვაუჩერები, რომ მიემართათ ამ ეკონომიკური კრიზისის აღმოსაფხვრელად, ხალხისთვის, გაჭირვებული ადამიანების კრიზისის წინააღმდეგ, ანდა რამდენიმე დამატებითი ასეული სამუსაო ადგილი მაინც შეექმნათ, ეს უფრო სასარგებლო იქნებოდა.

***— იმდენად გაძვირებულია საკვები პროდუქტები, რომ ეს ალბათ ზღვაში წვეთიც არ არის...***

— არა, წარმოუდგენელია. მე შემიძლია შემოგთავაზოთ ასეთი ექსპერიმენტი: გავიაროთ მე და თქვენ, ავიღოთ ეს 30 ლარი და ვნახოთ, რა შედეგით დაგვიმთავრდება პროდუქტების შეძენა, ანდა, 20-ლარიან ვაუჩერზე როდესაც არის საუბარი, როდესაც ასეთი ძვირია გადასახადი, ეს 20-ლარიანი ერთჯერადი ვაუჩერი მართლაც სასაცილო ხდება. მე მესმის, სოციალური სოლიდარობის განცდა უნდა ჰქონდეს საზოგადოებას და მეც, ისევე, როგორც ბევრი სხვა, ამ 20-ლარიან ვაუჩერს მივცემ ვინმე უფრო გაჭირვებულს, მაგრამ ეს ხომ არ არის გამოსავალი. ზოგადად ყველაზე უფრო თვალშისაცემი იყო ის, რომ პრეზიდენტი იყო ძალიან, ძალიან რატომღაც თვითდაჯერებული და რაღაცა ქილიკობის ხასიათზე. გამოიკვეთა კიდევ ისიც, რომ ამ დებატების დროს რეალურად იყო ორი პოლუსი, ნაციონალური მოძრაობა და ქრისტიან-დემოკრატები ერთმანეთის წინააღმდეგ. ფაქტია, ასე იყო.

***— თუმცა, საუბარია იმაზე, რომ ეს ყველაფერი დადგმული სპექტაკლი იყო, ოპონენტებმა თქვეს ისიც, რომ როდესაც საუბარი იყო კორუმპირებულ ჩინოვნიკებზე, ქრისტიან-დემოკრატებს შეეძლოთ, უფრო პირდაპირები ყოფილიყვნენ...***

— გიორგი თარგამაძემ სააკაშვილს პირდაპირ უთხრა, თქვენ ხართ ამ ყველაფრის სათავეშიო. ეს მის გამოსვლაში იყო. პირიქით, ყველაზე თვალშისაცემი ჩემთვის ეს თემა იყო. მან პირდაპირ უთხრა, რომ ეს არის მთელი ხელისუფლება. პირდაპირ უთხრა, თქვენ დგახართ ამ კორუმპირებული ელიტის სათავეშიო. რაც შეეხება სხვა ბრალდებებს, იყო თუ არა ეს დადგმული სპექტაკლი, ვთქვათ, რატომ მოხდა, რომ სააკაშვილმა უცებ ფლომასტერი მოითხოვა, სასწრაფოდ დარბაზში აღმოჩნდა ფლომასტერი და ასეთი რაღაც უცნაური ბრალდებები მოვისმინე, ერთს გეტყვით: როდესაც ქრისტიან-დემოკრატებს ჰქონდათ დაგეგმილი თავიანთი გამოსვლები და როდესაც იქ შეიტანეს მათ ბანერები, ყველანი მიხვდებოდნენ იქ, რომ ის ბანერები იყო შეტანილი თვალსაჩინოებისთვის. ბუნებრივია, ხელისუფლებაც ალბათ ამუშავებდა საკუთარ სტრატეგიას და, სანამ თარგამაძე გამოდიოდა სიტყვით, არა მგონია, ძნელი ყოფილიყო, ვინმეს უცებ მოეტანა ფლომასტერი ან მარკერი იმისთვის, რომ შემდეგ პრეზიდენტი გამოსულიყო. ეს არ იყო არანაირად დადგმული სპექტაკლი. ეს იყო მათი რეაქცია, ძალიან მძაფრი და მე ვიტყოდი, უაღრესად არასასიამოვნო. ეს იგრძნობოდა იგივე გოკა გაბაშვილისა და პეტრე ცისკარიშვილის გამოსვლებში. ტონი იყო ძალიან ძალიან აგდებული, მაგრამ მე ამ ტონით კიდევ ერთხელ დავინახე, რომ თუ ვინმე აღიზიანებს დღეს ხელისუფლებას და თუ ვინმეს მიმართ აქვთ შიში, როგორც ოპონენტების და მეტოქეების, ეს ნამდვილად არის თარგამაძე და მისი გუნდი.

## შარშან 79 ჟურნალისტი დაიღუპა

ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის ინფორმაციით, 2010 წელს მსოფლიოში სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას 79 ჟურნალისტი დაიღუპა. ამ ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს.

კერძოდ, რვა ჟურნალისტი პაკისტანში დაიღუპა, ხუთი — ერაყში, ჰონდურასში, მექსიკასა და ინდონეზიაში — 3—3; ორ-ორი ჟურნალისტი დაიღუპა ტაილანდში, ნიგერიაში, სომალიში, ანგოლაში, ავღანეთსა და ფილიპინებზე, აგრეთვე კამერუნში, ბელორუსში, ინდოეთში, იემენში, უგანდაში, საბერძნეთში, ბრაზილიაში, ლიბანში, რუანდაში და სხვ.

ამავე ორგანიზაციის მონაცემით, წელს ხუთი ჟურნალისტი დაიღუპა: ეგვიპტეში, პაკისტანში, ტუნისში, ფილიპინებზე და ვიეტნამში.

**მედიანიუსი**

## „წინააღმდეგობის მოძრაობა" გლდანის საპყრობილესთან აქცია-ბრიფინგს გამართავს

დღეს „წინააღმდეგობის მოძრაობა" გლდანის მე-8 საპყრობილესთან საყოველთაო ამნისტიის მოთხოვნით, საინფორმაციო ბრიფინგს გამართავს.

როგორც „მედიანიუსს" წინააღმდეგობის მოძრაობიდან აცნობეს, ბრიფინგის შემდეგ აქცია გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებენ წინააღმდეგობის მოძრაობის ომბუდსმენები: ჟურნალისტები, უფლებადამცველები, იურისტები და ა.შ. აქციას პატიმრების ნათესავები და ახლობლებიც შეუერთდებიან.

**მედიანიუსი**

## გათხევადებული გაზის პროექტის განხორციელებაში უნგრეთი მიიღებს მონაწილეობას

გათხზევადებული გაზის ტრანსპორტირების პროექტის განხორციელებაში აზერბაიჯანთან, საქართველოსა და რუმინეთთან ერთად უნგრეთიც მიიღებს მონაწილეობას.

როგორც ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა განაცხადა, ლაპარაკია უნგრეთის სახელმწიფო კომპანიაზე, რომელიც ენერგეტიკის სექტორში მუშაობს. პროექტის განხორციელებაში უნგრეთის მონაწილეობის გადაწყვეტილება მხარეებმა ბუქარესტში 14 თებერვალს გამართულ მინისტერიალზე მიიღეს.

ალექსანდრე ხეთაგურის თქმით, პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება არაუგვიანეს 2012 წლის 1 აპრილისა უნდა დასრულდეს, რათა გამათხევადებელი გაზის ტერმინალის ასაშენებლად თანხის მოძიება დაიწყოს.

— ეს მნიშვნელოვნად გაზრდის აზერბაიჯანული გაზის ტრანზიტის მოცულობას საქართველოს ტერიტორიის გავლით. ამასთან, შეიქმნება ბევრი სამუშაო ადგილი გაზის გამათხევადებელი ტერმინალის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში, — აღნიშნა ალექსანდრე ხეთაგურმა. მისი თქმით, მშენებლობისათვის საჭირო თანხის მოძიება კერძო სექტორთან თანამშრომლობით მოხდება.

**მედიანიუსი**

## სპეცოპერაციისას პოლიციის თანამშრომელი დაიჭრა

აჭარის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს წარსულში ქურდობისთვის, სხეულის განზრახ და მძიმე დაზიანებისთვის, მრავალჯერ ნასამართლევი,33 წლის ზვიად ოთარის ძე ბახტაძე და 28 წლის კახა ედნარის ძე ბახტაძე.

აჭარის პოლიციის თანამშრომლების მიერ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ზვიად ბახტაძე შეიარაღებული იყო ცეცხლსასროლი იარაღით და იმყოფებოდა კახა ბახტაძის საცხოვრებელ ბინაში, ასევე გამოძიებისთვის ცნობილია, რომ ზვიად ბახტაძე მონაწილეობდა ე?წ ქურდულ გარჩევებში.

გატარებული ოპერატიული ღონისძიების დროს, ბინაში შესვლისას ზვიად ბახტაძემ პოლიციის თანამშრომლებს გაუწია შეიარაღებული წინააღმდეგობა, გახსნა ცეცხლი სამართალდამცავების მიმართულებით, რა დროსაც მარჯვენა მკლავის არეში დაიჭრა აჭარის პოლიციის თანამშრომელი დავით რიჟავაძე, რომელიც გადაყვანილია საავადმყოფოში.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 236-ე და 353-ე მუხლებით.

**მედიანიუსი**

## საქართველოში გუშინ მიწისძვრა მოხდა

საქართველოში გუშინ, 12.57 საათზე მორიგი მიწისძვრა მოხდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" სეისმური მიონიტორინგის ცენტრში განუცხადეს, მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქ ბაღდათის სამხრეთ-დასავლეთით — 10კმ-ში და სოფელ წაბლარასხევიდან — 6კმ-ში დაფიქსირდა.

მისქვეშა ბიძგების სიმძლავრემ 3,6 მაგნიტუდა შეადგინა. შესაბამისად, ბიძგები მხოლოდ ეპიცენტრთან ახლოს მდებარე სოფლების მცხოვრებლებმა იგრძნეს.

სეისმოლოგების განმარტებით, 19 იანვარს ვანში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შემდგომი ბიძგები კვლავ მეორდება და უახლოეს მომავალში შედარებით სუსტი ბიძგები ისევ მოსალოდნელია.

**ინტერპრესნიუსი**

## ჯონ მაკეინი: მუბარაქის გადაყენება პუტინისათვის გაფრთხილებაა



აშშ-ს რესპუბლიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი მიიჩნევს, რომ ეგვიპტის პრეზიდენტის, ჰოსნი მუბარაქის გადაყენების ფაქტი რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინისა და „კგბ"-ში მისი მეგობრებისათვის გაფრთხილებად უნდა იქცეს, — იუწყება რუსული მედია.

მაკეინის მოსაზრებით, ეს მოვლენები მხოლოდ ახლო აღმოსავლეთით არ შემოიფარგლება.

— ცვლილებების ქარი ყველა მიმართულებით ქრის და მე რომ ვლადიმირ პუტინი ვიყო, უფრო თვითდაჯერებულად ვიმოქმედებდი, ასევე ნაკლებად დაცულად ვიგრძნობდი თავს იმ კურორტზე დასვენებისას, სადაც ახლა ჩინეთის პრეზიდენტი ჰუ ჯინტაო და ქვეყნის რამდენიმე მმართველი ისვენებს, რომლებიც 1,3 მილიარდი მოქალაქის ბედს წყვეტენ, — აღნიშნა ჯონ მაკკეინმა.

**მედიანიუსი**

## მდინარე ფსოუს აფხაზურ მხარეზე საბითუმო ბაზარი გაიხსნება

მდინარე ფსოუს აფხაზურ მხარეზე საბითუმო ბაზარი გაიხსნება. როგორც სააგენტო „აპსნი პრესი" იუწყება, ამის შესახებ სოხუმის რეჟიმის ლიდერმა, სერგეი ბაღაფშმა საკუთარ ადმინისტრაციაში რუსი და აფხაზი ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ბაზარი ფსოუს სანაპიროზე, „რუსეთ-აფხაზეთის სახელმწიფო საზღვართან" ახლოს განთავსდება. იქვე მოეწყობა მოსახლეობისგან ციტრუსების ჩამბარებელი პუნქტი.

— ხალხს აღარ მოუწევს საზღვარზე ციტრუსების დამოუკიდებლად გადატანა შემდგომი რეალიზაციისთვის, — განაცხადა ბაღაფშმა.

მისივე თქმით, საბითუმო ბაზრის სისტემის ორგანიზება ე.წ. ვიცე პრემიერ დაურ ტარბას, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და გაგრის რაიონის ადმინისტრაციას დაავალა. ბაღაფშს ასევე მიაჩნია, რომ საბითუმო ბაზრები გუდაუთასა და სოხუმშიც უნდა არსებობდეს.

**ინტერპრესნიუსი**

# ბაღაფში მესამედ მოსვლას აღარ აპირებს

თეა მარხვაი ე




რამდენიმე დღის წინ ედუარდ კოკოითიმ განაცხადა, რომ მესამე ვადით პრეზიდენტობას აღარ აპირებდა. კოკოითის კვალს დაადგა მისი მეგობარი და მასავით არაღიარებული პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში. მესამედ მოსვლაზე უარი სერგეი ბაღაფშმა გუშინ ოფიციალურად განაცხადა.

ეს განცხადება ბაღაფშმა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. პრესკონფერენცია ბაღაფშმა თავის ადმინისტრაციაში გააკეთა. ადმინისტრაციაში ის ჟურნალისტების კითხვებს პასუხობდა. აფხაზეთის პრეზიდენტის პასუხების მოსმენის პატივი ამჯერად მარტო რუს და აფხაზ ჟურნალისტებს ხვდათ წილად.

სოხუმში ჯერჯერობით არ საუბრობენ იმაზე, დარჩება თუ არა ბაღაფში პრემიერად; ედუარდ კოკოითისთან დაკავშირებით ასეთი ეჭვი გაჩნდა. სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციის თანახმად, ერთსა და იმავე პიროვნებას მხოლოდ ორი ვადით შეუძლია პრეზიდენტობა.

კოკოითის პრეზიდენტობის ვადა წელს ეწურება. იყო ვერსიები, რომ ის კონსტიტუციაში ცვლილებებს შეატანინებდა. თუმცა კოკოითიმ თქვა, რომ კონსტიტუციას პატივს სცემს და მასში ცვლილებებს არ შეატანინებს. შესაბამისად, არც პრეზიდენტად იყრის კენჭს.

პრეზიდენტობა არა, მაგრამ კოკოითის აშკარად უნდა ხელისუფლებაში დარჩენა. მას, როგორც თავად ამბობს, ძალიან უნდა ცხინვალის აღმშენებლობაში მიიღოს მონაწილეობა. კოკოითი იმედს გამოთქვამს, რომ ახალი პრეზიდენტი მას რაიმე სამსახურს გამოუნახავს. ეჭვობენ, რომ ეს ახალი სამსახური შეიძლება პრემიერის პოსტი იყოს.

გაპრემიერებას უწინასწარმეტყველებენ საქართველოს პრეზიდენტსაც, რომელსაც კონსტიტუციის მიხედვით მესამე ვადით პრეზიდენტად კენჭისყრის უფლება აღარ აქვს.

სერგეი ბაღაფშთან დაკავშირებით ამ თემაზე არ საუბრობენ, რადგანაც მას ვადა ჯერ არ ეწურება. ვადის ამოწურვამდე ჯერ შორია, მაგრამ ბაღაფში ახლავე დებს პირობას, რომ პრეზიდენტად კენჭს აღარ იყრის. უფრო მეტიც, ბაღაფში მიიჩნევს, რომ ხანგრძლივად ხელისუფლებაში ყოფნა მავნებელია.

— აფხაზეთის ხელისუფლებაში ორ საპრეზიდენტო ვადაზე მეტ ხანს არავინ უნდა დარჩეს. ამის დაშვება არ შეიძლება. არსებობს აფხაზეთის კონსტიტუცია, ეს კანონია, — განაცხადა ბაღაფშმა.

მას მიაჩნია, რომ ხელისუფლებაში სახელმწიფოს მეთაურის დიდხანს ყოფნა დამღუპველია არა მხოლოდ აფხაზეთისთვის, არამედ ნებისმიერი ქვეყნისთვის.

— მიაქციეთ ყურადღება მოვლენებს ახლო აღმოსავლეთში, რა ხდება, როცა ერთი ადამიანი ხელისუფლებაში ძალიან დიდხანს რჩება. ამის დაშვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, — განაცხადა ბაღაფშმა.

აფხაზეთის კონსტიტუციით, ერთ პირს ე.წ. პრეზიდენტად კენჭისყრა მხოლოდ ორი ვადით შეუძლია. სერგეი ბაღაფში მეორე ვადით პრეზიდენტის პოსტზე აფხაზეთში დარჩენილმა მოსახლეობამ 2009 წლის 12 დეკემბერის არჩევნებზე აირჩია.

ორივე არჩევნებზე ბაღაფშის კონკურენტი რაულ ხაჯიმბა იყო, რომელსაც კრემლი აშკარად უჭერდა მხარს. ამის მიუხედავად, გამარჯვებული ბაღაფში დარჩა. აფხაზეთის მოსახლეობას ეგონა, რომ ის პროაფხაზური ორიენტაციის იყო. მერე კი გაირკვა, რომ ბაღაფში იმაზე ბევრად პრორუსული იყო, ვიდრე შეიძლებოდა ხაჯიმბა ყოფილიყო.

## სილვიო ბერლუსკონის სასამართლო პროცესი იწყება

იტალიელმა მოსამართლემ კრისტინა დე ჩინცომ, რომელიც იტალიის პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონის საქმეზე მუსაობს, ამ საქმის მოსმენის გადაწყვეტილება მიიღო. სასამართლო პროცესი მიმდინარე წლის 6 აპრილს გაიმართება. ინფორმაციას ამის შესახებ იტალური სააგენტო ავრცელებს.

სილვიო ბერლუსკონი არასრულწლოვანთა გარყვნაშია ეჭვმიტანილი.

იტალიელმა პროკურორებმა სილვიო ბერლუსკონი არაერთგზის დაადანაშაულეს არასრუწლოვანებთან სექსუალურ კავშირში. ბოლო ბრალდება 17 წლის მოცეკვავე რუბის უკავშირდება.

თავად ბერლუსკონი პროკურორების ბრალდებას "აბსურდულს" უწოდებს.

**მედიანიუსი**

## მსოფლიოში ნავთობის ფასი სხვადასხვა მიმართულებით შეიცვალა

ნავთობის საერთაშორისო ფასი შეიცვალა, -- იუწყება „როიტერი“.

მსოფლიოში ცნობილ ლონდონის ბირჟაზე ბრინთ ქრად ტიპის ნავთობის ფასი ერთ ბარელზე 2,14 აშშ დოლარით გაიზარდა და 103,08 დოლარი შეადგინა. ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟაზე კი ლაით სვიჩის ტიპის ნავთობის ღირებულება ერთ ბარელზე 0,77 აშშ დოლარით შემცირდა და 84,81 დოლარს გაუტოლდა.

**მედიანიუსი**

## ვერა ქობალია ყატარში შეხვედრებს მართავს

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია ვიზიტით ყატარში იმყოფება. როგორც „მედიანიუსს“ სამინისტროში განუცხადეს, იგი ამ ქვეყანას 13 თებერვალს ესტუმრა. მასთან ერთად, საქართველოს დელეგაციაში სატრანსპორტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ირაკლი დავითაძეც შედის.



ვერა ქობალია ორ ქვეყანას შორის ავიამიმოსვლის საკითხებზე მართავს შეხვედრებს. შეხვედრების დეტალებზე სამინისტროში ჯერჯერობით ინფორმაცია არ აქვთ. როგორც ცნობილია, კომპანია „ყატარის ავიახაზებმა“ საქართველოს ავიაბაზარზე შემოსვლის სურვილი დაახლოებით ერთი წლის წინათ გამოთქვა. აღსანიშნავია, რომ ყატარი საქართველოს საინვესტიციო კლიმატითაც ინტერესდება, რის შესახებაც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

ვერა ქობალია საქართველოში 16 თებერვალს დაბრუნდება.

**მედიანიუსი**

## ნატო საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას მხარს უჭერს

სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის წარმომადგენლის ჯეიმს აპატურაის განცხადებით, ნატო საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსში გაწევრიანებას მხარს უჭერს.

როგორც აპატურაიმ რადიოსადგურ „ეხო მოსკვისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, საქართველომ ნატოში გაწევრიანებისთვის განსახორციელებელი აუცილებელი რეფორმები უკვე დაგეგმა. აპატურაი რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების აღიარებასაც შეეხო და განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ალიანსს და რუსეთს კვლავ უთანხმოება აქვთ.

— რუსეთის პოზიცია რადიკალურად განსხვავდება იმ შეხედულებისგან, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით ნატოს აქვს, — განაცხადა აპატურაიმ და უარყო გავრცელებული ხმები თითქოს, ნატო საქართველოს იარაღს აწვდის.

— ორგანიზაცია „ნატო“ იარაღს არ ყიდის და არც არავის შეიარაღებაზე ზრუნავს, თუმცა ცალკეულ მოკავშირეებს იარაღის გაყიდვის უფლება აქვთ, ოღონდ საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, — განმარტა აპატურაიმ

**მედიანიუსი**

## „საქართველოს გზას“ ახალი თავმჯდომარე ჰყავს

„საქართველოს გზას“ დღეიდან კახა სეთურიძე უხელმძღვანელებს, ხოლო სალომე ზურაბიშვილი პარტიის საპატიო ლიდერი იქნება.

ასეთი გადაწყვეტილება პარტიის წევრებმა „კინოს სახლში“ დღეს გამართულ ყრილობაზე მიიღეს, სადაც ასევე პოლიტიკური საბჭო და სარევიზიო კომისია აირჩიეს.

ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა "საქართველოს გზის" პოლიტიკური საბჭოს წევრი ნათელა მაჭავარიანი, რომელმაც პარტიის წევრებისადმი სალომე ზურაბიშვილის მიმართვა წაიკითხა. მიმართვაში სალომე ზურაბიშვილი აღნიშნავს, რომ ოპოზიციაში შექმნილი ვითარება ადასტურებს მისი ნაბიჯის სისწორეს პოლიტიკიდან დროებით წასვლის შესახებ.

ზურაბიშვილი დარწმუნებულია, რომ „საქართველოს გზა“ მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის ბედის გადასაწყვეტად და პარტია არა მხოლოდ შეინარჩუნებს თავის ადგილს ქართულ პოლიტიკაში, არამედ კვლავინდებურად იქნება პრინციპულობის, სიმართლისა და ეროვნულობის მაგალითი.

**ინტერპრესნიუსი**

## ინგლისურენოვან მასწავლებელთა მორიგი ჯგუფი ჩამოვიდა

2011 წლიდან საგანმანათლებლო პროგრამა — „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში უცხოელ მოხალისე პედაგოგთა ჩამოსვლა გრძელდება. ამჯერად საქართველოში, კვალიფიციურ მასწავლებელთა მესამე ჯგუფი ამერიკიდან, ინგლისიდან, ავსტრალიიდან, კანადიდან და ნორვეგიიდან ჩამოვიდა.

ახლად ჩამოსული ინგლისურენოვანი პედაგოგები ტრადიციულად ტრენინგს გაივლიან და კახეთის რეგიონსა და ქალაქ რუსთავის სკოლებში გადანაწილდებიან. მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ, მოხალისე პედაგოგები ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად, სასწავლო პროცესში ჩაერთვებიან.

„ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ პროექტის ფარგლებში, ინგლისურენოვან პედაგოგთა ჩამოსვლა გაგრძელდება და დასრულდება კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების მოხალისე მასწავლებლებით შევსების პროცესი.

**მედიანიუსი**

# ნუ აიძულებთ საქართველოს კიდევ ერთი რევოლუციის მოწყობას!

ნონა ცაბა ე

**ოპოზიციონერი სანდრო ბრეგაძე სააკაშვილის პარლამენტში გამოსვლას წინასწარ დადგმულ სპექტაკლს უწოდებს და აცხადებს, რომ ამ სპექტაკლს ჰყავდა რეჟისორი და ყველას თავისი როლი ჰქონდა.**

გთავაზობთ ინტერვიუს სანდრო ბრეგაძესთან.

***— ბატონო სანდრო, საზოგადოება საპარლამენტო ოპოზიციას აკრიტიკებს და აცხადებს, რომ ცოტა კრიტიკულები მაინც უნდა ყოფილიყვნენ...***

— თუ წინა წლებში პრეზიდენტი ცდილობდა, რომ ე.წ. საპარლამენტო ოპოზიციისთვის ოდნავ მაინც სინდის-ნამუსი შეენარჩუნებინა და ერთი-ორი კრიტიკული სიტყვა ეთქმევინებინა, ამ გამოსვლაში კი მთელი სიბინძურე მან ოპოზიციას წაუსვა თავზე და საპარლამენტო ოპოზიციამაც დიდი სიამოვნებით წაისვა ეს სიბინძურე. იგივე ვიცე-სპიკერების გამოსვლა, რომლებმაც შეგნებულად არასწორი სიტყვები დაასახელეს, რათა სააკაშვილს შემდგომში ეთქვა, რომ არა ეს ციფრები, ასე არ არის, არამედ ასეა. ე.წ. ოპოზიციის ე.წ. ლიდერის გიორგი თარგამაძის გამოსვლა, როდესაც მან სპეციალურად დატოვა ფურცლები, სადაც სააკაშვილის არშესრულებული დაპირებები ეწერა. შემდგომში კი სააკაშვილმა ეს პლაკატები გამოიყენა თავისი პიარისთვის, რათა უცხოელი ელჩებისთვის ეჩვენებინა, თუ რამდენად წარმატებულია ეს ადამიანი. ახლა იმ უთავმოყვარეო ადამიანზე, რომელსაც ჰკითხა სააკაშვილმა, აბა, ერთი კორუმპირებული ადამიანი მაინც დამისახელე ჩემს მთავრობაშიო და ენა დაებლუკა, ამ ადამიანზე საერთოდ შეჩერებაც კი არ ღირს. ერთობლიობაში ეს იყო ამერიკის ელჩისთვის, ანუ სააკაშვილის პატრონისთვის დადგმული სპექტაკლი, რომელშიც ყველა მონაწილეს ჰქონდა თავისი როლი.

***— პრეზიდენტის გამოსვლაზე რას იტყვით?***

რაც შეეხება სააკაშვილის გამოსვლას, რაიმე მნიშვნელოვანს და ახალს აქედან ჩვენ არ უნდა ველოდოთ, რადგან ეს გამოსვლები ყოველწლიურად არის ერთი და იგივე, უბრალოდ, იმ განსხვავებით, წინა წლებში თუ ვილაც პოეტ კაკალაშვილს წარმოგვიდგენდა ხოლმე სააკაშვილი, ახლა აღარ წარმოგვიდგინა და გადაუარა ე.წ. საპარლამენტო ოპოზიციას. ერთი მხრივ, სააკაშვილმა გააკეთა კარგი რამ, რომ მოსახლეობას საბოლოოდ დაანახვა — ის მონათა კრებული, რომელიც საპარლამენტო ოპოზიციის სახელს ატარებს, საბოლოოდ გაშიფრა და მათი საბოლოოდ ლუსტრირება მოახდინა. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოს პარლამენტში არ არსებობს არანაირი ოპოზიცია და ესენი ნაციონალური მოძრაობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეგანყოფილების მუშაკები არიან. ამ ე.წ. ოპოზიციონერების ყურება იყო ამაზრზენი და საცოდაობა.

***— ითქვა, რომ ყველა კითხვა-პასუხი წინასწარ იყო შეთანხმებული...***



— მეც მაგას ვამბობ და ამიტომ ვაცხადებ, რომ ეს არ არის ოპოზიცია. ნაწილი არის ნაცმოძრაობის დანამატი, რომლებიც სარჩო-საბადებელს იღებენ ნაციონალური მოძრაობიდან, ხოლო ქრისტიან-დემოკრატები არიან შინაგან სამინისტროს ქვეგანყოფილების წარმომადგენლები, რომელიც ეწევა იმ საქმიანობას, რომელსაც უნდა ეწეოდეს. ჩვენი მოსახლეობა და ქართველი ერი თუ ამას ვერ ხვდება, მაშინ თვითონ ქართველ ერში ყოფილა პრობლემა. სააკაშვილმა მშვენიერი ლუსტრირება გაუკეთა მათ. იქ კორუმპირებული ჩინოვნიკის დასახელებაზე ადვილი რა იყო, ან მარჯვნივ გაეშვირათ ხელი, ან მარცხნივ, ან სულაც დარბაზში ჩაეხედათ, სადაც მე ყველაზე ვერ ვიტყვი, რა თქმა უნდა, მაგრამ იმ დარბაზში დეპუტატების 80% კორუმპირებულია და სხვადასხვა უკანონო შემოსავლით არსებობს. არა, ბიჭო, ხელფასებით ცხოვრობენ ეს ადამიანები.

***— რას ფიქრობთ იმ სოციალური ვაუჩერების შესახებ, რომლის დარიგებაც სააკაშვილმა გადაწყვიტა? მას ბუნტის ეშინია და ამით საზოგადოების დამშვიდებას ცდილობს?***

— თუ ვინმე მრჩეველმა ბატონი სააკაშვილი დაარწმუნა იმაში, რომ 20 ლარის დარიგებით ის სოციალურ ბუნტს გააჩერებს, მაშინ ის მრჩეველი უტვინო ყოფილა. ამ 20 ლარის დარიგებამ კიდევ უფრო გააღიზიანა მოსახლეობა და თქვენ იცით ალბათ, რომ ამ 20 ლარის დარიგებას მოემსახურება რამდენიმე ასეულობით ადამიანი, იმაში კიდევ მილიონები მიდის, რომ ეს ყველაფერი განხორციელდეს. არსებობს ასეთი ტერმინი — ფულის გათეთრება და ფულის რეცხვა. მე მგონი, ამ შემთხვევაში ამასთან გვაქვს საქმე. საქართველოში არჩევნებმაც გვაჩვენა, რომ არის ძალიან ბევრი მკვდარი სული და, რა თქმა უნდა, მკვდარი სულების ფულებს ისევ ეს ადამიანები იდებენ ჯიბეში, რომლებიც ამ თანხას გამოყოფენ. სამარცხვინოა 20-ლარიანი ვაუჩერების დარიგება. ეს ვაუჩერები თავიანთ უახლოეს გარემოცვას დაურიგონ და იცხოვრონ 20 ლარით, გუშინ რომ ცალ-ცალი კალოშით ჩამოვიდნენ და დღეს სიმდიდრეში იხრჩობიან. ეს სამარცხვინო ფაქტია. მე ძალიან მომეწონა გოგი თოფაძის ერთი ფრაზა, რომელიც მან თქვა მერის არჩევნების შემდეგ. როდესაც მან არჩევნები წააგო, კორესპონდენტმა ჰკითხა, რა გეშველებათ, ბატონო გოგიო და მე რომ მაქვს ნაშველი, ნეტა ისე ნაშველი მთელი თბილისის მოსახლეობას ჰქონდესო. ხალხი უნდა გამოფხიზლდეს, თვალი გაახილოს. ხალხო, რატომ ითმენთ ამდენ რამეს, ამაზე მაინც ამოიღეთ ხმა და თქვით რამე. ეს არის დაცინვა, რასაც ხელისუფლება ჩვენს მოსახლეობას უკეთებს.

***— რა პროცესების განვითარებას უნდა ველოდეთ უახლოეს პერიოდში, არი იმის საშიშროება, რომ ეგვიპტის მოვლენები საქართველოშიც გამეორდეს?***

— ამის საშიშროება ყოველთვის არის. შეიძლება, ხელისუფლების წარმომადგენლები დამშვიდებულები არიან, მაგრამ ეგვიპტეშიც და ტუნისშიც მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. არანაირი წინასწარი სამზადისი არ ყოფილა. ეს ყველაფერი მოხდა ერთ და ორ დღეში. მე ვერ ვიტყვი, რომ ეს აუცილებლად მოხდება საქართველოში, რადგან ჩვენთან გაცილებით ძლიერი დიქტატორული რეჟიმია, ვიდრე ეგვიპტეში. მე არ მინდა, რომ კიდევ ერთი ხელისუფლება ძალადობით შეიცვალოს ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ, თუ ადამიანებს მიიყვან იმ ზომამდე, რომ მათ სხვა გზა არ რჩებათ, გარდა იმისა, რომ ქუჩაში გამოვიდნენ და ძალადობრივი გზით ხელისუფლება შეცვალონ, ამ ყველაფერში პირველ რიგში ხელისუფლებაა დამნაშავე.

# მთას გადარჩენა სჭირდება

ნათია ხურცილავა



**ეროვნული ფორუმი ახალი იდეით გამოდის. ამჯერად ფორუმი საქართველოს მთის პრობლემის მოგვარებისთვის ხელისუფლებას კონცეფციას სთავაზობს. თუმცა, კონცეფცია ჯერ შემუშავებული არ არის.**

კონცეფციის შესამუშავებლად ფორუმი მზად არის არა მხოლოდ პარტიული კუთვნილებით, არამედ პროფესიონალები, სხვადასხვა ოპოზიციური პარტიები ჩაერთონ ამ პროცესში და საქართველოს მთის გადარჩენის გეგმა დადონ.

გუბაზ სანიკიძის და ნოდარ ჯავახიშვილის განცხადებით, მთის გადარჩენა ზეპარტიული ამოცანაა და მასში საზოგადოება უნდა ჩაერთოს.

სანიკიძის განცხადებით შეიქმნება კომისია, რომელიც პროფესიონალებით დაკომპლექტდება.

ფორუმის იდეას თუ დანარჩენი ოპოზიციური პარტიებიც გამოეხმაურნენ, არ არის გამორიცხული, რომ მთის გადარჩენის კონცეფცია უფრო ფართო განხილვის საგანიც გახდეს.

აღნიშნულ საკითხზე გუბაზ სანიკიძემ და ნოდარ ჯავახიშვილმა პრესკონფერენცია გამართეს.

— ჩვენ ვიწყებთ სერიოზული პროექტის განხორციელებას, რომელიც საქართველოს მთიანეთის პრობლემატიკას ეხება. შეიქმნება კომისია, რომელიც არ იქნება მხოლოდ პარტიულ დონეზე დაკომპლექტებული. მიგვაჩნია, რომ საქართველოსთვის მთის რეგიონის პრობლემა ეს არის საყოველთაო ეროვნული პრობლემა. მთელი ისტორიის განმავლობაში საქართველოს მთა ინახავდა და იცავდა ბარს. დღემდე რომ მოვედით, როგორც ერი ავად თუ კარგად, მოსწონს ეს ვინმეს თუ არ მოსწონს, ფაქტია, რომ საქართველოს ყოველთვის ძლიერი მთა ჰქონდა. მთა იყო საფუძველთა საფუძველი ამ ქვეყნის მორალური, ფიზიკური და ეკონომიკური გადარჩენის. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ნების-მიერი თავმოყვარე, სერიოზული პოლიტიკური ორგანიზაცია უნდა იყოს ჩამოყალიბებული მთის რეგიონების განვითარებასთან დაკავშირებით, — განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

გუბაზ სანიკიძე კონცეფციის შემუშავებში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებს.

— ჩვენ ამ საკითხზე გარკვეული მოსაზრებები გვაქვს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს საზოგადოებისთვის, სპეციალისტებისთვის ღია უნდა იყოს. ჩვენ ინფორმაცია გვაქვს, რომ ეს საკითხები ბევრ ექსპერტთა წრეებში არის დამუშავებული. სურვილი გვაქვს, რომ ამ კონცეფციების თავმოყრა მოხდეს. ალბათ ყველაფერი გათვალისწინებული არ იქნება, რაღაც საკითხები გადამუშავდება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სერიოზული კონცეფცია უნდა დავდოთ საქართველოს მთიანეთის განვითარებასთან დაკავშირებით.

ფორუმის ლიდერების პრესკონფერენციას ესწრებოდა კობა არაბული, რომელიც არასამთავრობო სექტორს წარმოადგენს.

— საქართველოს მთიანეთთან დაკავშირებით მუშაობა სამეცნიერო წრეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს არ შეუჩერებიათ. ბოლო 10-12 წლის განმავლობაში არაერთ კონფერენციაში მივიღე მონაწილეობა, მაგრამ საჭიროა გაერთიანება შეხედულებების, მოსაზრებების, რაც ძალიან კარგი იდეაა და წაადგება ამ საქმეს. ორი მნიშვნელოვანი საკითხია გამოსაყოფი. პირველი, საქართველოს მთიანი რეგიონების სპეციფიკა არის გასათვალისწინებელი. საჭიროა შევიმუშაოთ სახელმწიფო პროტექციონისტული პოლიტიკა. არაერთ ქვეყანაშია გამოცდილი მსგავსი მიდგომა, როდესაც სახელმწიფო გარკვეული შეღავათების რეჟიმს აწესებს მთიან რეგიონებთან დაკავშირებით, რომ ისინი ფეხზე დადგნენ. დღეს მთიანეთს ძალიან უჭირს. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი არის, რომ კონცეფცია ჩამოყალიბდეს საქართველოს, როგორც მთიანი ქვეყნის განვითარების გარკვეული სპეციფიკური ნიუანსების გათვალისწინებით. ქვეყანის ტერიტორიის ოთხი მეხუთედი მთიანეთია. შვეიცარიელი სპეციალისტების ექსპერტული გაანგარიშებით შემუშავებულია ქვეყნების ოთხი კატეგორია. საქართველო შედის პირველი კატეგორიის მთიანობის ქვეყანათა რიცხვში. სულ 51 ქვეყანაა ასეთი, რომელთა ტერიტორიის ნახევარზე მეტი მთიანია. ასეთ ქვეყნებს განვითარების თავისებურება ახასიათებთ. ამ თავისებურებების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში შეიძლება არასწორად გავაკეთოთ. შეიძლება პრობლემები ბევრგან მსგავსი იყოს, მაგრამ განსხვავება მათ შორის საკმარისია, განსხვავება ძალიან სპეციფიკურია, რომლის გათვალისწინებაც საჭიროა. სვანეთიც მთაა, ხევსურეთიც მთაა, მესხეთ-ჯავახეთიც მთაა, მაგრამ მიუხედავად მსგავსებისა, მათ შორის განსხვავებაც არის. განსხვავებები ამ ეთნო რეგიონებისთვის მომგებიანად უნდა იყოს წარმოდგენილი. იმედი მინდა გამოვთქვა, რომ ამის საშულება იქნება. მეცნიერებათა აკადემიაში სოლიდური კონფერენცია ჩატარდა ამ საკითხზე, სადაც მივიღე მონაწილეობა. მეცნიერებათა აკადემიის მთის შემსწავლელმა კომისიამ დადო 500 გვერდიანი წიგნი, ეს წიგნიც გამოდგება, ასევე სხვა არასამთავრობო ჯგუფების ნაშრომები, — განაცხადა კობა არაბულმა.

ნოდარ ჯავახიშვილმა სოფლის მეურნეობის განვითარებაზეც ისაუბრა. მისი განცხადებით, ქართული მეცხოველეობა, მეფუტკრეობა გადაგვარების წინაშე დგას, რასაც სასწრაფოდ სჭირდება შველა.

— საუბარი არ არის ტურისტული კუთხით რაღაცის აღდგენაზე, არამედ საუბარია სრულყოფილ, სამეურნეო თვალსაზრისითაც ქვეყნის ხერხემლის აღდგენაზე. ძალიან ხშირად გვეუბნებიან, რომ ხან მერაბიშვილია ქვეყნის ხერხემალი, ხან სხვა ვიღაც პიროვნება. საქართველოს ეკონომიკური, გნებავთ საზღვრის დაცვის თვალსაზრისით ხერხემალი ყოველთვის იყო ქართული მთა. ჩვენ კონცეფტუალურად გვაქვს გარკვეული ნამუშევარი, მაგრამ ეს სამუშაოები ფართო შემადგენლობით ალბათ უფრო გაღრმავდება. ისტორიულად მეცხოველეობის პროდუქტებით საქართველოს მთა ამარაგებდა ყოველთვის. უნდა აღდგეს პირველყოვლისა სამეურნეო მხარე. შესაძლებლობა უნდა გაჩნდეს, დღეს არსებული მცირე რაოდენობის მოსახლეობის ნაცვლად იქ დავაბრუნოთ ხალხი არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ჰქონდეთ საცხოვრებელი სახლი, გზა, გათბობა, არამედ მათ შესაბამისი დასაქმების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ. ქართული მთა იძლევა მეცხოველეობის განვითარების უნიკალურ შესაძლებლობას. საქართველო ითვლება მცირემიწიან ქვეყნად. ყველაზე კარგი გათვლებით 800 ათასი ჰექტარი გვაქვს სახნავ-სათესი, ამ დროს მილიონ 800 ათასი ჰექტარი საძოვარი და სათიბი გვაქვს. ეს დღეს ფაქტიურად გამოუყენებელია, — განაცხადა ჯავახიშვილმა.

ეროვნული ფორუმის ლიდერები აცხადებენ, რომ შესაძლებელია მობილური ჯგუფების შექმნა გახდეს საჭირო.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ მათ იმედი აქვთ, აღნიშნული ინიციატივა დანარჩენი ოპოზიციური პარტიებისგან მხარდაჭერილი იქნება.

— დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ოპოზიციური პარტია მიიღებს ამ საქმეში მონაწილეობას და პატარა აგურს მაინც დადებს ამ მიმართულებით. სამუშაო იმდენად ბევრია, რომ არ უნდა გინდოდეს საქმის ბოლომდე მიყვანა, რომ ვინმეს დახმარებასა და თანადგომაზე უარი თქვა. არათუ მივესალმებით, არამედ ვთხოვთ, რომ ჩაერთონ, — განაცხადა ნოდარ ჯავახიშვილმა.

# აფრიკის დასახლებაში ბუნებრივი აირით ერთი ადამიანი დაიღუპა

თბილისში, აფრიკის დასახლებაში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად 38 წლის თემურ ბიბილური დაიღუპა, მისი ოჯახის ერთი წევრი კი მძიმედ მოიწამლა მოწამლული 24 წლის ლევან მაჩაბელი მეხუთე საავადმყოფოშია გადაყვანილი. ექიმების თქმით მისი მდგომარეობა მძიმეა.

წინასწარი გამოძიებით, ბუნებრივი აირის გაჟონვა წყლის გამაცხელებლიდან მოხდა. როგორც მაშველები აცხადებენ, ამ დროს გარდაცვლილი აბაზანაში იყო და ბანაობდა. ლევან მაჩაბელი კი, ოთახში ტელევიზორს უყურებდა.

მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. სამართალდამცავები ინციდენტის დეტალებს ადგენენ.

**მედიანიუსი**

# ვაშაძე დიპლომატებისგან ყურადღებას ითხოვს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს რეგიონში არსებულ ვითარებაზე მაქსიმალური ყურადღების გამახვილება სთხოვა.



როგორც ვაშაძემ დიპლომატებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, მან თხოვნით მიმართა ელჩებს, საკუთარ დედაქალაქებს რუსეთის ქმედებებზე მკაფიო და მყისიერი რეაქციისკენ მოუწოდონ.

საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოში აკრედიტებული საელჩოებისა და დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებთან შეხვედრა დღეს გამართა. როგორც ვაშაძემ განმარტა, მსგავსი შეხვედრები საქართველოს საგარეო უწყებაში პერიოდულად იმართება.

— პოლიტიკური წელი დაიწყო და ელჩებს ჩვენი გეგმები და პრიორიტეტები გავაცანით. საკმაოდ ნაყოფიერი საუბარი გვქონდა. რეგიონული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის კუთხით ძალიან ბევრი შეკითხვა იყო. რუსეთის ამჟამინდელი ამოცანაა, ოკუპირებულ ტერიტორიებს და ზოგადად საქართველოს მიმართ მის დანაშაულს რაც შეიძლება, ნაკლები ყურადღება მიექცეს, აქედან გამომდინარე, ელჩებს ვთხოვე, რეგიონში არსებულ ვითარებას მაქსიმალური ყურადღება მიაქციონ და ხანდახან საკუთარ დედაქალაქებს რუსეთის ქმედებებზე მკაფიო და მყისიერი რეაქციისკენ მოუწოდონ, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# ვაუჩერებით ნაციონალური მოძრაობა იხეირებს

თეა მარხვაი ე

ნაციონალებმა ლამის არის მთელი ქვეყანა ხელში შეიკლან 20 ლარიანი ენერგოვაუჩერების გამო. ცუდი არ არის, ხელისუფლება მოსახლეობაზე რომ ზრუნავს, მაგრამ აუცილებელი არაა ეს ვაუჩერები პარლამენტის სპიკერმა და სხვა თანამდებობის პირებმა არიგონ, თანაც კამერების თანდასწრებით.

ტელეკამერებით და ნაღვლიანი სახეებით ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობაში მომავალ თვეშიც ჩამოივლიან. ამჯერად ისინი 30 ლარიან ვაუჩერებს დაარიგებენ. მშობლიური ოპოზიცია ხელისუფლებას ამ გადაწყვეტილებასაც უწუნებს. ყველას თავისი არგუმენტი გააჩნია. არგუმენტები მრავლად აქვს დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს მთავარი საბჭოს წევრ თამარ ცინცაბაძესაც. მისი აზრით, ამ ვაუჩერებით ისევ ნაციონალები იხეირებენ. რატომ და როგორ, ამის შესახებ თამარ ცინცაბაძე „ახალ თაობას" ესაუბრება.

**თამარ ცინცაბაძე:**

— ხელისუფლებამ დაიწყო ენერგო შეღავათის მისაღებად ელექტროენერგიის 20 ლარიანი ვაუჩერის დარიგება ყველა ოჯახისათვის, გარდა პასიური მომხმარებლისა. ერთი შეხედვით ძალიან ჰუმანური და კეთილი საქმეა — მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების დროს მოქალაქეებისთვის შეღავათის გაწევა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული იდეა, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა, ისე შეიფუთა და განხორციელდა, რომ დაირღვა სამართლიანობისა და დახმარების მიმართულების პრინციპი; არამიზნობრივად და არაეფექტიანად დაიხარჯა საბიუჯეტო სახსრები.

***— რატომ ფიქრობთ, რომ თანხები არამიზნობრივად დაიხარჯა?***



— ნაცვლად იმისა, რომ შეზღუდული საბიუჯეტო რესურსები მიზნობრივად იმ მომხმარებელთა დასახმარებლად მიმართულიყო, რომლებიც რეალურად საჭიროებენ ასეთი სახის დახმარებას, ხელისუფლებამ გადაწყვიტა „დახმარებოდა" ელექტროენერგიის ყველა აქტიურ მომხმარებელ ოჯახს. დახმარებას მიიღებენ ბანკირები, წარმატებული ბიზნესმენები, მინისტრები, პარლამენტარები, ხოლო ის ოჯახები, რომლებიც უკიდურესად გაჭირვებული არიან და 6 თვის განმავლობაში 200 კილოვატი ელექტროენერგია არ აქვთ დახარჯული, ვაუჩერებს ვერ მიიღებენ; ოჯახები, რომლებიც გაჭირვების გამო ცდილობენ მაქსიმალურად დაზოგონ ელექტროენერგია და ერთ ნათურასაც კი იშვიათად ანთებენ, ამ დახმარებას ვერ მიიღებენ. სამართლიანი და მისამართული აღნიშნული ქმედება იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ ეს თანხები, შესაძლოა გაზრდილი მოცულობით, გამოყენებული იქნებოდა იმ ადამიანთა დასახმარებლად, რომლებიც მას რეალურად საჭიროებენ. ვაუჩერის ჩუქების მექანიზმი იმდენად გართულებულია, რომ ამის გაკეთების შესაძლებლობას და სურვილს უკარგავს ადამიანს. არადა, სხვა მხრივ, ვაუჩერის, როგორც ფურცლის საჭიროება, პრაქტიკულად, არც არსებობს, რადგან სადისტრიბუციო კომპანია ავტომატურად ჩამოგაჭრით აღნიშნულ თანხას. გამოდის, რომ მაღალი ინფლაციის ფონზე, რისგან თავის დაღწევას ხელისუფლება ვერ ახერხებს, კვლავ არამიზნობრივად დაიხარჯა ათეულობით ათასი ლარი, რაც ვაუჩერის დაბეჭდვასა და შემდგომ, ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების მიერ მის დარიგებას დასჭირდა. ამ ღონისძიებით ისევ ნაციონალური მოძრაობა დარჩა მოგებული.

***— რატომ დარჩა ნაციონალური მოძრაობა მოგებული?***

— ამ ღონისძიებით მოგებული ნაწილობრივ შეჭირვებული მოსახლეობის ნაწილიც დარჩა, რადგან მათ უკიდურეს გაჭირვებას ოცლარიანი ვაუჩერი მნიშვნელოვნად ვერ შველის და მნიშვნელოვანწილად ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც კიდევ ერთხელ გამოიყენა საბიუჯეტო თანხები თავისი პიარ-კამპანიისთვის და ამომრჩევლებს შეახსენა თავი. ნათლად ჩანს, რომ ეს პროცესი და მილიონობით ლარი მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის პიარს ემსახურებოდა.

***— 30 ლარიან ვაუჩერებთან დაკავშირებით რალას იტყვით? ამბობენ, რომ ის ინფლაციაზეც იქონიებს გავლენას.***

— მასზეც იგივე შეიძლება ითქვას, რაც ენერგოვაუჩერზე ვთქვით. ინფლაციაზე ეს კატასტროფულ გავლენას არ იქონიებს, მაგრამ გარკვეული გავლენა იქნება. ადამიანების დახმარების განზრახვა თავისთავად არის კეთილი და ჰუმანური. გაურკვეველია ის, რომ გარჩევა არ ხდება ადამიანების. ამ თანხით ეხმარები გაჭირვებულსაც და შეძლებულსაც. გაჭირვებულ ადამიანებს უფრო მეტი დახმარება სჭირდებათ. უნდა მომხდარიყო ამ ფულის მიზნობრივი მიმართვა. განსაკუთრებით უმწეო ადამიანების მიმართ. ასეთი ადამიანების მონაცემები ხელისუფლებას აქვს. ამ მონაცემთა ბაზის შესაქმნელად მილიონობით ლარი დაიხარჯა. გამოიყენონ ეს ბაზები.ჩვენ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ხელისუფლებას: მეტი ყურადღება დაუთმეთ ქვეყნის უმწეო მოსახლეობას, ვირტუალური სამყაროდან რეალურში გადმოინაცვლეთ და გაიხსენეთ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრები ადამიანები, პენსიონერები, ვეტერანები, მასწავლებლები, რომლებმაც მომავალი თაობა უნდა აღზარდონ, ექიმები, რომლებმაც ჩვენს ჯანმრთელობაზე უნდა იზრუნონ, გლეხები, რომლებმაც ქართული პროდუქციით უნდა უზრუნველყონ ქვეყანა - მათი შემოსავალი უმნიშვნელოდ აღემატება საარსებო მინიმუმს, ან მთელ რიგ შემთხვევაში გაცილებით ნაკლებია და ეს უდიდეს წილად თქვენი დამსახურებაა; გაიხსენეთ, რისთვის ხართ ხელისუფლებაში, დაფიქრდით, შეიმუშავეთ და გაატარეთ მართლაც ქმედითი ღონისძიებები ადამიანთა უკიდურესად მძიმე მდგომარეობიდან გამოსაყვანად.

***— ერთ-ერთი ვერსიით, ხელისუფლებამ ამ ვაუჩერების დარიგება იმიტომ დაიწყო, რომ სოციალური ბუნტის ეშინია.***

— ქვეყანაში ისეთი მძიმე მდგომარეობაა, რომ ნებისმიერ მომენტში შეიძლება მოხდეს სოციალური ბუნტი. ამდენად, გამორიცხული არ არის, ხელისუფლება სწორედ ამის თავიდან აცილებისთვის არიგებდეს ვაუჩერებს. ვაუჩერებს, რომელიც გაჭირვებულ მოსახლეობაზე მეტად შეძლებულებს წაადგება.

# ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ბიუჯეტს შეგვივსებს

შორენა გონგლაძე

**რატომ დაიხურა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები და რატომ დადგა დღის წესრიგში ახალი გადამამუშავებელი ქარხნის აშენება, ამ კითხვებით ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილს მივმართეთ.**

*— ბატონო ვანო, პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ისაუბრა ქვეყანაში გადამამუშავებელი ქარხნების არსებობის აუცილებლობაზე, თუმცა რამდენიმე წლის წინ ხელისუფლებამ გააუქმა გადამამუშავებელი ქარხნები, რა იყო ამის მიზეზი?*

— საქართველოში, როგორც ასეთი, ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა არ არსებობდა, ეს იყო ნავთობის გადამამუშავებელი მცირე საწარმოები, რომლებიც თავისი ტექნიკური აღჭურვილობით შორს იყო ევროპული სტანდარტებისგან; ეს იყო საწარმოები, რომლებიც ახორციელებდნენ ნავთობის პირდაპირ გამოხდას, რომლებსაც არ ჰქონდათ იმისი საშუალება, რომ თანამედროვე, მაღალი ხარისხის და თუნდაც დღეს საქართველოში მოქმედი სტანდარტის შესაბამისი პროდუქტი გამოეშვათ. გარდა ამისა, ეს საწარმოები ხშირ შემთხვევაში აწარმოებდნენ აღურიცხავ პროდუქციას და ეს ყველაფერი კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას უშლიდნენ ხელს და მნიშვნელოვნად აზარალებდნენ ამ ბიზნესს. რა თქმა უნდა, მათ შორის იყვნენ კეთილსინდისიერი ბიზნესმენები, მაგრამ გადამამუშავებელი საწარმოების ძირითადი მასა მაინც ორიენტირებული იყო კანონდარღვევაზე. ძირითადში ეს გადამამუშავებელი საწარმოები განლაგებული იყო ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე; ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც გადამამუშავებელი საწარმოები იპარავდნენ ნავთობსადენიდან ნავთობს. ცნობილია ძალიან ბევრი ფაქტი. ეს ყველაფერი კი ერთიანობაში საკმაოდ ნეგატირ ფონს ქმნიდა. ბევრი საწარმო დაილუქა სწორედ იმის გამო, რომ იყო ძალიან ბევრი კანონარღვევა.

*— როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ამ ეტაპზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს აზერბაიჯანის მხარესთან, თქვენთვის თუ არის ამის შესახებ ცნობილი?*

— მოლაპარაკებების კონკრეტულ დეტალებზე ამ ეტაპზე მე ვერაფერს ვერ გეტყვით, თუმცა საქართველოს მთავრობა აქტიურად განიხილავს მსხვილი ნავთობგადამამუშავებელი კომპლექსის მშენებლობას.

*— ბაზრის რა პროცენტი შეიძლება დაკმაყოფილეს?*

— საქართველო სერიოზული ნავთობმომპოვებელი ქვეყანა არასდროს არ ყოფილა, ოთხმოციან წლებში მოხდა სამ მილიონ ტონამდე ნავთობის მოპოვება საქართველოში; ბოლო პერიოდში ნავთობის მოპოვება ეს არის საკმაოდ მიზერული 50-100 ათას ტონამდე, რაც შეეხება უშუალოდ გადამამუშავებელ წარმოებას, საქართველოს გააჩნია პორტები. ეს ქვეყნის გეოსტრატეგიული მნიშვნელობის ერთ-ერთი სტრატეგიული კომპონენტია და მით უმეტეს, როდესაც საუბარია ნავთობგადამამუშავებელ წარმოებაზე, ამ შემთხვევაში ყოველთვის განიხილება საპორტო ქალაქი. როდესაც ქვეყანას გააჩნია გადამამუშავებელი წარმოება, ისეთი მტკივნეული თემა, როგორიც არის ფასების თემატიკა, ეს უკვე გაცილებით მსუბუქია იმ ქვეყნისათვის, სადაც ქარხანაა. როდესაც საუბარია, რომ ერთთვიანი ან ოცდღიანი ფასების ვარდნა რატომ არ აისახება ჩვენს საცალო ქსელში, იმიტომ ვერ აისახება, რომ ძირითადად კომპანიები ქმნიან მარაგებს და ამიტომაც ფასთა კლება სწრაფად ვერ აისახება ბაზარზე. ქარხნის არსებობის შემთხვევაში, კომპანიები მარაგებს უკვე აღარ შექმნიან, რაც საშუალებას მისცემს კომპანიებს, აყვნენ ფასწარმოქმნის დინამიკას. იმ პირობებში, როდესაც რუსეთის მიერ არის ოკუპირებული ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება, ანუ ქვეყანას საწვავის მარაგები მუდმივად ექნება. ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ეს არის დიდი ინვესტიცია, დაახლოებით ოთხ მილიარდ დოლარამე ჯდება ასეთი ნავთობქიმიური კომპლექსის მშენებლობა. რაც შეეხება თვითონ ბაზრის მოხმარების დაკმაყოფილებას, წელს საქართველოს მოხმარება ერთი წლის მანძილზე ყველანაირ პროდუქტზე, მათ შორის ეს არის ბენზინი, დიზელი, მაზუთი, საგზაო ბიტუმი, საავიაციო ნავთი, ეს არის მილიონ ტონაზე უფრო მეტი, შესაბამისად ქარხანას, რომელიც აშენდება, შეეძლება ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მას შესაძლებლობა ექნება შემდგომში მიაწოდოს სხვადასხვა ქვეყნებს ნავთობპროდუქტები.



*— რაც შეეხება ფასებს, თუ არის მოსალოდნელი საწვავზე ფასების მატება?*

— ფასები ეს არის საკმაოდ მტკივნეული თემა, რადგანაც იმ პირობებში, როდესაც ძალიან ბევრ პროდუქციაზე ფასები მატულობს, საწვავზე ფასის მატება კიდევ წამახალისებელ სტიმულს აძლევს სხვადასხვა პროდუქტზე ფასების მატებას. მაღალი ფასების პირობებში ბევრი სატრანსპორტო საშუალება გადადის ბუნებრივი აირის მოხმარებაზე, ამით საკმაოდ მნიშვნელოვან ეკონომიას აკეთებენ. ამიტომ, არც ერთ კომპანიას არ აწყობს მაღალი ფასის შენარჩუნება, ეს დინამიკაში იმპორტისა და მოხმარების კუთხით საკმაოდ ჩანს; ამიტომ გაზრდილი ფასის პირობებში მოხმარება აუცილებლად მცირდება და არავის არ აწყობს ფასების ხელოვნურად გაზრდა ისეთ სტრატეგიულ პროდუქტზე, როგორიც არის საწვავი. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად სამართლიანი ფასებია და უახლოეს პერიოდში რას უნდა ველოდოთ, ფასი, ცალსახად ვამბობთ, რომ არის მაღალი, მაგრამ რაც შეეხება სამართლიანობის კუთხეს, დღეს ნავთობპროდუქტების ბიზნესი არ არის დიდ მოგებაზე მომუშავე ბიზნესი, როგორც ეს ბევრს წარმოუდგენია. როდესაც ვიღაც-ვიღაცეები თვლიან ფასებს, არ ითვალისწინებენ ბევრ კომპონენტს, რამაც შეიძლება გაზარდოს საწვავზე ფასები და რეალურად იყოს ასეთი მაღალი, ეს არის მოგების საკმაოდ დაბალ პროცენტზე მომუშავე სეგმენტი. რაც შეეხება ფასის თემატიკას, არავინ არ მოელოდა, რომ ლონდონის ბირჟაზე ნავთობის ფასი ასდოლარიან ნიშნულს მიაღწევდა, ნავთობის ფასის გარდა მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქტების საერთაშორისო ფასი. ამ ეტაპზე ფასების მატება არ მოხდება.

*— საწვავზე ფასი მსოფლიოში დგება საერთაშორისო პლაცის მიხედვით, რატომაა ფასებში სხვაობა, მაგალითად, იმ ქვეყნებში არის მაღალი ფასი, საიდანაც საქართველოში შემოდის საწვავი, რა ფაქტორები მოქმედებს ამ შემთხვევაში?*

— მაგალითად, საბერძნეთი არ არის ნავთობის მომპოვებელი ქვეყანა, მაგრამ იქ არის ნავთობგადამამუშავებელი საწარმოები, ამის გამო ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ფასი ფიქსირდება საბერძნეთში. რაც შეეხება ფასწარმოქმნის პროცესს, მაგალითად, ევროპული პროდუქტი რაც ჩვენთან შემოდის, ეს არის ევრო-4 ევრო-5 სტანდარტის, იდენტური საწვავი იყიდება იქაც ადგილობრივ ბაზარზეც და საერთაშორისო ფასი ერთია, მაგრამ ფასწარმოქმნის პროცესი დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე. თუმცა უმთავრესია საწვავზე არსებული სხვადასხვა გადასახადი. ევროპის ქვეყნებში ჩვენგან განსხვავებით სახელმწიფო გადასახადები არის გაცილებით მაღალი, რომელიც განაპირობებს ამ პროდუქტების ფასის საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს. ევროპაში დღეს ოთხ ლარზე მეტი ღირს იგივე პროდუქტი, რაც ჩვენთან ღირს ორი ლარი და ოცი თეთრი. რაც შეეხება საბერძნეთს, ვინაიდან იქ არის ქარხნები, არის საწვავის ყველაზე დაბალი ფასი, იგივე შეიძლება ითქვას რუმინეთზე, იქ ევროკავშირის მასშტაბით ყველაზე დაბალი ფასებია, ასევე ლატვიაშიც არის დაბალი ფასი. ამიტომ პრეზიდენტის განცხადება, რომ ქარხნის ამოქმედება ფასების დაბალანსებას ხელს შეუწყობს, ეს არის რეალობა და უმთავრესი ბერკეტი იმისათვის, რომ ქვეყანამ შეძლოს საწვავზე ფასების დარეგულირება. როდესაც ასეთი ქარხნის მშენებლობაზეა ლაპარაკი, იგულისხმება ოთხ მილიარდამდე ინვესტიცია, ამის გარდა, ქარხანა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემოსავალი იქნება ქვეყნის ბიუჯეტისათვის, დასაქმდებიან ადამიანები, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია.

# აფხაზური ოპოზიცია თვითმმართველობის არჩევნებით უკმაყოფილოა

გერა მამულაშვილი

სრული ოკუპაციის შემდეგ აფხაზეთში ისეთი არჩევნები ჩატარდა, ორთოდოქს კომუნისტებს რომ შეშურდებოდათ. სეპარატისტები კმაყოფილი არიან, რომ ადგილობრივი არჩევნები გალსა და კოდორის ხეობაშიც შედგა. თუმცა გალის რაიონში „საარჩევნო სიის" წარდგენა მხოლოდ „ედინაია აფხაზიამ" მოახერხა.



ოკუპირებულ აფხაზეთში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები 12 თებერვალს ჩატარდა. მიუხედავად იმისა, რომ კენჭისყრა „შემდგარად" ჩათვალეს, ადგილობრივი ოპოზიცია და არასამთავრობო ორგანიზაციები არჩევნებისშედეგებით უკმაყოფილონი არიან.

— ზოგიერთმა ნიუანსმა სამოქალაქო საზოგადოება უნდა შეაშფოთოს. არის რაღაც ფაქტები, რომლებიც გამონაკლისს წარმოადგენენ, მაგრამ რომელთა დაშვებაც არ შეიძლება. მაგალითად, სოხუმის ერთ-ერთ ოლქში უბრალოდ ჯარისკაცების ერთი ასეული მივიდა და არჩევნების ბედიც გადაწყვიტა. ვთვლი, რომ ეს დიდ უცნაურობას წარმოადგენს, მუტს არაფერს, — აცხადებს დამოუკიდებელ ტელეარხ „აბაზა-ტვ-ს" ეთერში ასოციაცია თანადგომის" კოორდინატორი ალხას ტხაგუშევი.

გალის რაიონში არჩევნები რომ უალტერნატივო იყო და ყველა, 26 ოლქშივე მხოლოდ პარტია „ერთიანი აფხაზეთის" წარმომადგენლები იყრიდნენ კენჭს, ეს ალხას ტხაგუშევისთვის „აბსოლუტურად აუხსნელი მოვლენაა".

— გაუგებარია, იმ მწვავე ბრძოლის ფონზე, რომელიც სხვა რაიონებში იყო, გალის რაიონში დეპუტატები უბრალოდ რატომ ინიშნებიან რაიონულ საკრებულოში, — კითხულობს ტხაგუშევი.

— იმ აქტივობის გათვალისწინებით, რომელიც მოქალაქეებმა გამოავლინეს დეპუტატობის კანდიდატებად წარდგენისას, ამომრჩევლების მაღალ გამოცხადებას ვიმედოვნებდი, მაგრამ სამწუხაროდ, შედეგებმა აჩვენა, რომ სოხუმში მთლიანობაში დასწრებამ დაახლოებით 38 პროცენტი შეადგინა. ვთვლი, რომ ეს არასაკმარისია, — ამბობს სოხუმის წინა, მეოთხე მოწვევის საქალაქო საკრებულოს დეპუტატი, ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრის თანამშრომელი დიანა კერსელიანი.

სოხუმის ახალი საკრებულოს შემადგენლობაზე საუბრისას კერსელიანმა აღნიშნა, რომ მეოთხე მოწვევა, რომელშიც ის მუშაობდა, „საკმარისად მრავალფეროვანი იყო და მასში სხვადასხვა მოსაზრებები ფართოდ იყო წარმოდგენილი".

— ხოლო ამჯერად სრულ უმრავლესობაში სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლები გავიდნენ. შესაძლოა, ეს კარგი მოწვევა იყოს, მაგრამ მეჩვენება, რომ უკმარისობა იქნება იმ აზრთა სხვადასხვაობის, დისკუსიების და დებატების, რომლებიც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო, — ამბობს კერსელიანი.

ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრის წარმომადგენელი ასიდა შაკრილი ასევე თვლის „დიდ მინუსად", რომ „თუ საქალაქო საკრებულოში არ იქნება განსხვავებული მოსაზრებები, შედეგად არ გახმოვანდება სხვადასხვა იდეებიც მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად".

— ეს არ არის ის, რასაც განვითარება მოაქვს. ამას ისეთ მდგომარეობამდე მივყავართ, როდესაც ყველაფერი თავისი სვლით მიდის. დაიწყება კერძო ინტერესების ლობირება და ა.შ. — თვლის შაკრილი.

აფხაზეთის ქალაქების და რაიონების ადმინისტრაციის ხელმძღვანელებიდან დეპუტატებმა ყველანი ხელახლა აირჩიეს, გუდაუთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, დაურ ვოზბას გარდა. ვოზბასთან ერთად წამოყენებულმა დენის აჟიბამ, რაიონის ენერგომომარაგების უფროსის მოადგილემ, 92 ხმით მეტი დააგროვა.

როგორც რუსულენოვან „კავკაზსკი უზელს" სოხუმის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ ლავრენტი ჩანბამ განუცხადა, ყველა 29 ოლქში არჩევნები შედგა.

რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თქმით, „აფხაზეთის სასაზღვრო გალის რაიონში, სადაც არჩევნები უალტერნატივო იყო, ამომრჩევლების გამოცხადება მაღალი იყო".

— კენჭისყრის უფლება აბსოლუტურად ყველას მიეცა, ვისაც აფხაზეთის პასპორტი ჰქონდა. სოფლებში ამომრჩევლების გამოცხადებამ 80 პროცენტი შეადგინა, ქალაქში 70 პროცენტამდე, — ამბობს არშბა.

გალის რაიონის საკრებულოს 26 ადგილზე, პრეტენზიას 26 კანდიდატი აცხადებდა. საკუთარი კანდიდატების სიები მხოლოდ პროსამთავრობო პარტია „ედინაია აფხაზიამ" წარადგინა.

სოხუმში და ყველა 26 საარჩევნო ოლქში არჩევნები ასევე შემდგარად ითვლება. „დედაქალაქის" საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელის, ასლან ბღანბას თქმით, აუცილებელი 25 პროცენტიანი ბარიერი ყველა ოლქში არის გადალახული, ხოლო პირველ მეოთხე, მეხუთე ოლქებში გამოცხადებამ 50-დან 70 პროცენტამდე შეადგინა.

ბღანბამ აღნიშნა, რომ დამკვირვებლების მიერ შედგენილი ერთი აქტის გამოკლებით, საარჩევნო კომისიაში არანაირი სხვა საჩივარი არ შემოსულა.

— მაგრამ ეს ერთი ისეთი ფაქტია, რომელმაც კენჭისყრის შედეგებზე არსებითი გავლენა ვერ მოახდინა. არჩევნების დღეს ჩვენთან ზეპირი შენიშვნები შემოდიოდა, მაგრამ ჩვენ იქვე, ადგილზე ვწყვეტდით ამ საკითხებს. არანაირი სხვა პრეტენზიები ჯერჯერობით არავის წამოუყენებია, — ამბობს ასლან ბღანბა.

— შეგახსენებთ, რომ გულრიფშის რაიონში პირველად არჩევნები კოდორის ხეობის ზემო ნაწილშიც ტარდებოდა, რომელიც 2008 წლის აგვისტომდე საქართველოს ხელისუფლების კონტროლქვეშ რჩებოდა. გულრიფშის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის თემურ ეშბას თქმით, იქ კენჭისყრა მშვიდ ვითარებაში ჩატარდა, რაიმე ექსცესების გარეშე, — წერს კავკაზსკი უზელი.

— აფხაზეთის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში წინა არჩევნები 2007 წლის 11 თებერვალს გაიმართა. მაშინ აფხაზეთის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განაცხადეს, რომ ხმის მიცემა ყველა რაიონში ექსცესების გარეშე ჩატარდა. ხოლო აფხაზეთის დევნილობაში მყოფმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ გალის რაიონში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩაიშალა.

ომის შემდეგ აფხაზეთში პირველი თვითმმართველობის არჩევნები 1998 წელს ჩატარდა. ადგილობრივი საკრებულოების უფლებამოსილების ვადა ოთხი წელია.

აფხაზეთის კონსტიტუციის მიხედვით, ქალაქების და რაიონების აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელები ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შემადგენლობიდან. კონსტიტუციის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ამტკიცებენ ადგილობრივ ბიუჯეტს, ადგილობრივ გადასახადებს, ფლობენ, სარგებლობენ და განკარგავენ მუნიციპალურ საკუთრებას, თანხმობას აძლევენ შინაგან საქმეთა ორგანოების, განათლების, კულტურის, სოფლის მეურნეობის და სხვა თანამდებობის პირების დანიშვნაზე, ასევე ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა საკითხებს წყვეტენ, — განმარტავს „კავკაზსკი უზელი".

## ქუთაისში „ქართული პარტიის" საქალაქო ორგანიზაცია დაფუძნდა

ქუთაისში გუშინ, „ქართული პარტიის" საქალაქო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია გაიმართა. ღონისძიებას პარტიის თავმჯდომარე სოზარ სუბარი, თანათავმჯდომარე ლევან გაჩეჩილაძე, გენერალური მდივანი კოკა გუნცაძე და პოლიტიკური საბჭოს წევრები დაესწრნენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს" „ქართული პარტიიდან" აცნობეს, კონფერენციის მონაწილეები პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა მამა რევაზმა დალოცა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 308 დელეგატმა. მათ „ქართული პარტიის" ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარედ ემელიანე გორდაძე აირჩიეს.

პარტიის ინფორმაციით, ხელისუფლება შეეცადა ხელი შეეშალა ქუთაისში

ქართული პარტიის„ საქალაქო ორგანიზაციის დაფუძნებისთვის. კერძოდ, იმერეთის გუბერნატორმა ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის, აგრეთვე ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელები გააფრთხილა, რომ არ მიექირავებინათ დარბაზი „ქართული პარტიისთვის". ამის გამო, ღონისძიება სასტუმრო იმპერიალში„ ჩატარდა.

„ქართული პარტიის" ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის ახლად არჩეული თავმჯდომარის ემელიანე გორდაძის განცხადებით, ის კარგად აცნობიერებს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას და ქვეყნის გადარჩენისთვის ბრძოლაში ძალღონეს არ დაიშურებს.

**ინტერპრესნიუსი**

# გუჯა ბურდული გრიგოლ ფერაძეს ითამაშებს



გრიგოლ ფერაძე

დასაწყისი მე-12 გვერდზე

იყო სემინარიის კურსდამთავრებულთაგან და ამიტომაც საკათოლიკოსო საბჭომ პროფესორ კეკელიძის შუამდგომლობით მიმართა გენერალ ფონ კრესს გრიგოლ ფერაძისთვის რომელიმე გერმანულ თეოლოგიურ ფაკულტეტზე სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე (მისი რუსეთში გაგზავნა ბოლშევიზმის გამო შეუძლებელი იყო). ფონ კრესი საკათოლიკოსო საბჭოს ოფიციალურ მიმართვას შეჰპირდა, მაგრამ იმჟამად გერმანიაშიც რევოლუციური ქაოსი სუფევდა და ეს გეგმა ჩაიშალა. გრიგოლმა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების განყოფილებაზე (მაშინ ფაკულტეტები ჯერ არ იყო) გააგრძელა სწავლა, პარალელურად კი სოფელ ხანდაკის სკოლაში მასწავლებლობდა. ამასობაში გრიგოლს „სამხედრო ბეგარის“ დრომაც მოუწია და იძულებული გახდა, დროებით შეეწყვიტა სწავლა. ეს უმძიმესი პერიოდი იყო ჩვენი ქვეყნისათვის. სამივე ძმა იბრძოდა მე-11 არმიის წინააღმდეგ. საქართველოს ანექსიის შემდეგ, ჯარიდან დაბრუნებულს, დაპატიმრება ემუქრებოდა, ამიტომ კორნელი კეკელიძემ სოფელ მანავში გააგზავნა მასწავლებლად. გელათში გამართულ მესამე საეკლესიო კრებაზე გრიგოლი გარე კახეთის სამღვდელოების წარმომადგენელი იყო, იქ მიტროპოლიტ ნაზარისა (ლეჟავა) და პროფესორ კეკელიძის შუამდგომლობით მისი ევროპაში სასწავლებლად გამგზავრების საკითხი გადაწყდა. გრიგოლის უცხოეთში გამგზავრებით კათოლიკოსიც ყოფილა დაინტერესებული. საკათოლიკოსო საბჭომ, უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ, კორნელი კეკელიძემ და ივანე ჯავახიშვილმა 1921 წლის ნოემბრის დამდეგს სრულფასოვანი თეოლოგიური განათლების მისაღებად გრიგოლი არტურ ლაისტის დახმარებით ბერლინში გაგზავნეს. მას დაენიშნა დოქტორ ლეპსიუს დოიჩე ორიენტ-მისიონის სტიპენდია. გერმანიაში ბერლინის უნივერსიტეტში თეოლოგიასა და აღმოსავლურ ენებს სწავლობდა, შემდეგ კი ბონის უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე გადავიდა და ნაშრომისათვის, რომელიც საქართველოს მონასტრებს შეეხებოდა, ფილოსოფიის დოქტორის ხარისხიც კი მიიღო. მოკლე ხანში მან 12-ზე მეტი ენა ისწავლა, მათ შორის ძველებრაული, ძველბერძნული, სირიული, არაბული, კოპტური და ძველსომხური ენები. მოგვიანებით ლათინურსა და თანამედროვე ენებს — ინგლისურსა და ფრანგულს სწავლობდა. ამათ გარდა, იცოდა გერმანული, რუსული და ძველსლავური. ამასობაში საქართველოში კომუნისტური წეს-წყობილება დამყარდა და უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს სამშობლოსაკენ გზა შეეკრათ. მათ საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებაც კი აღარ შეეძლოთ. გრიგოლი ინგლისში გაემგზავრა და იქ სამეცნიერო მუშაობას შეუდგა. ეცნობოდა ბრიტანეთის მუზეუმსა და ოქსფორდის უნივერსტეტის ბიბლიოთეკაში დაცულ უძველეს ხელნაწერებსა და მასალებს. მალე იგი მიიწვიეს ბონში, რათა ლექციები წაეკითხა ქართულ და სომხურ ლიტერატურაზე, ერთი წლის შემდეგ კი ოქსფორდში შესთავაზეს ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხების შესახებ ლექციების წაკითხვა. 1930 წლის შობის დღეებში მძიმედ დაავადდა. სიკვდილის პირას მისულს ხილვა ჰქონდა, რომ უფლისთვის ბოლომდე უნდა მიეძღვნა თავი და ჯერ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე პატივდებული მეცნიერი ლონდონის წმინდა სოფიის ბერძნულ საკათედრო ტაძარში ბერად აღიკვეცა. იქვე ეკურთხა დიაკვნად, ხოლო პარიზის წმიდა სტეფანეს ბერძნულ საკათედრო ტაძარში მღვდლად ხელდებენ და მის მიერვე დაარსებულ წმინდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაში ამწესებენ წინამძღვრად. ამ დროიდან მოყოლებული, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, იგი დაუღალავად ილვწოდა პარიზის ქართული ეკლესიისთვის და ეს საქმე თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნდა. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა და გამოიცემოდა ჟურნალი „ვარი ვაზისა“ მამა გრიგოლმა შეადგინა ქართული ეკლესიის წესი, რომლის თანახმადაც, ამ ტაძარში მხოლოდ ქართველ მღვდელმსახურებს უნდა ემსახურათ და აუცილებლად ქართულ ენაზე. ამ სამრევლოს ჩამოყალიბება ძალიან დიდი საქმე იყო, რადგან იგი ერთადერთ ნუგეშს წარმოადგენდა სამშობლოდან გადმოხვეწილი და სამშობლოს უიმედოდ მონატრებული ქართველობისათვის. რამდენიმე ხნის შემდეგ მამა გრიგოლ ფერაძე პოლონეთში, ვარშავაში მიიწვიეს მართლმადიდებლური სასულიერო სკოლის დირექტორად. იგი მოხსენებებს კითხულობდა სამეცნიერო კონფერენციებსა და ევროპის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში. მთელ თავის სახსრებს ახმარდა სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებსა თუ ბიბლიოთეკებში დაცულ ქართულ ხელნაწერთა მოძიებსა და შესწავლას და ამ მხრივ დიდი შრომაც გასწია. საქართველოში კი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არავინ არაფერი იცოდა მისი ნაშრომებისა და მოღვაწეობის შესახებ. არავინ იცოდა ისიც, რომ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ საფრანგეთში გახიზნული ქართული საუნჯეც გრიგოლ ფერაძის წყალობით გადაურჩა განადგურებას. მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა ფაშისტებმა თითქმის მთელი ევროპა დაიპყრეს, შეიტყვეს, საფრანგეთის ერთ-ერთ ბანკში ერთი პატარა ქვეყნის დიდი ქონება ინახებაო. ამ ქონების შესაფასებლად მათ გრიგოლ ფერაძე მიიწვიეს, როგორც ცნობილი მეცნიერი და ექსპერტი. მამა გრიგოლმა იფიქრა, საქართველოს ასეთი სიმდიდრის განადგურებას ჩემი სიკვდილი სჯობსო და ფაშისტებს განუცხადა, ეს ქონება არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, ის, უბრალოდ, ქართველებისთვისაა ძვირფასი, როგორც ეროვნული შემოქმედებაო. ფაშისტები ენდნენ გამოჩენილ მეცნიერს და განძზე ფიქრს თავი ანებეს. ფაშისტები ხალხს სასტიკად ექცეოდნენ, აწამებდნენ, ხოცავდნენ, განსაკუთრებით კი ებრაელებს დევნიდნენ. მამა გრიგოლი ხშირად იფარებდა ასეთ ადამიანებს, თავშესაფარსა და საზრდოს უნაწილებდა, რისთვისაც შეიპყრეს და ციხეში ჩასვეს, შემდეგ კი ოსვენციმის ბანაკში გადაიყვანეს. იგი იქვე აღესრულა. როგორც მასთან ერთად მყოფი პატიმრები იგონებენ, მამა გრიგოლთან ერთად ბანაკში ერთი მრავალშვილიანი ებრაელი ყოფილა, რომელსაც ფაშისტებმა გაზის კამერაში გაგუდვა გადაუწყვიტეს. მამა გრიგოლს შებრალებია ეს კაცი, მისი სასჯელი თვითონ აუღია თავზე და მის მაგივრად შესულა გაზის კამერაში. რამდენიმე წლის წინ საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა განიხილა მამა გრიგოლის მოღვაწეობა და ქრისტიანობისათვის, სამშობლოსათვის და მოყვასისათვის თავგანწირული არქიმანდრიტი წმინდანთა დასში შერაცხა. გრიგოლ ფერაძეს ეწოდა მღვდელმოწამე გრიგოლი.

***— სად მიმდინარეობს ფილმის გადაღებები?***

— ფილმი პოლონეთში, საფრანგეთში, ინგლისში, საბერძნეთსა და ისრაელში უნდა გადავიღო. პოლონეთში, საფრანგეთსა და ისრაელში ფილმი უკვე გადაღებულია.

***— საქართველოში?***

— რა თქმა უნდა, გადაღებები საქართველოშიც იქნება.

***— რა ჟანრის არის თქვენი ფილმი?***

— ეს არის მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი, რომელშიც გამოყენებულია ინსტალაციები. მასში ჩემი შვილი აკაკი მაქაცარია და მისი მეგობრები მონაწილეობენ.

***— პოლონელები აქტიურად გეხმარებიან?***

— კი, პოლონელებს ძალიან უყვართ საქართველო. „შენ ხარ ვენახი“ მიმღერეს პოლონურად. გრიგოლ ფერაძის სახელობის საერთაშორისო კონფერენცია ყოველ წელს იმართება პოლონეთში. მარტო პოლონელებმა კი არა, ყაზახებმაც კი გამოთქვეს თანამშრომლობის სურვილი.

**ეკა ირემაშვილი**

# „მითრიდატე“ საქართველოში ბრუნდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სერიას თავისებურებებს. გასაოცარია ნორჩი კომპოზიტორის ოსტატობა, რომლის მეოხებითაც 2 თვეში შეიქმნა რთული და მდიდარი პარტიტურა. „მითრიდატე“ გამოირჩევა მთავარი გმირების შესანიშნავი, ვირტუოზული არიებით, სადაც ახალნეაპოლური სკოლის ტრადიციებია გათვალისწინებული. ოპერაში მხოლოდ ორი საანსამბლო ნომერია — მეორე მოქმედების ფინალური დუეტი და ოპერის ბოლოს — მოკლე კვინტეტი. ოპერის დასრულება ასეთი ნომრით ძალზე სახასიათო იყო ბაროკოს ეპოქის ოპერებისთვის. ცხადია, ყმაწვილ მოცარტს იტალიელ მომღერალთა მოთხოვნების გათვალისწინება უწევდა, მათ შორის იყვნენ პრიმადონა ანტონია ბერნასკონი და ტენორი გუგლიელმო დეტორესი, რომელნიც თავდაპირველად მოცარტის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილი. ისინი მალევე დარწმუნდნენ მოცარტის უბადლო ნიჭიერებაში. მამაკაცთა მხოლოდ ორი — თავად მითრიდატესა და მარციუსის პარტია არის განკუთვნილი ტენორისთვის, ხოლო მითრიდატეს ვაჟების — ქსიფარესა და ფარნაქსეს პარტიები მომღერალი კასტრატებისთვის, სოპრანოსა და კონტრალტოსთვის შეიქმნა, რაც სრულად შეესაბამებოდა იმდროინდელ ტრადიციებს, — აცხადებს სპექტაკლის რეჟისორი დავით საყვარელიძე.

**დავით საყვარელიძე, სპექტაკლის რეჟისორი:**

— როგორც კი შევიტყვეთ ბეირუთის საერთაშორისო ფესტივალის წლევანდელი თემა — „დუნაის გავლით შავ ზღვაში“, რაც დუნაის ქვეყნების კომპოზიტორთა შექმნილ მუსიკასა და აგრეთვე შავი ზღვის ქვეყნების მუსიკალურ ცხოვრებას ეხება, მაშინვე ყველამ ერთად წამოვიძახეთ: მოცარტი! „მითრიდატე, პონტოს მეფე“. სწორედ ამ ოპერის სათაური აკავშირებს დიდ ავსტრიელ კომპოზიტორს ჩემს სამშობლოსთან, საქართველოსთან. უამრავ არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის, რომლითაც ძალიან მდიდარია საქართველო, მითრიდატეს ეპოქის ძეგლებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. დღესაც შეგიძლიათ ნახოთ ე.წ. პომპეუსის ხიდი, რომლითაც საბრძოლველად მიემართებოდნენ რომაელები მითრიდატეს წინააღმდეგ. ის ამბები, რომლებიც მოცარტს ბავშვურ ფანტაზიებს ულვიძებდა, ჩვენთვის, ქართველებისთვის, მშობლიური ქვეყნის ისტორია გახლავთ. წარმოიდგინეთ პრექრისტიანული საქართველო, „პონტო“, რომელსაც მართავდა მრისხანე მეფე — მითრიდატე VI. სახელი, რომელიც სისასტიკის ერთგვარ სინონიმადაც კი ითვლებოდა და, ამავე დროს, გაიხსენეთ 14 წლის მოცარტის მუსიკა, სავსე ბაროკოს ეპოქის „ჩუქურთმებით“, რომელშიც უკვე შეიცნობოდა ზებუნებრივი ნიჭი ახალგაზრდა მოცარტისა, მუსიკა, შექმნილი კასტრატი მომღერლებისთვისაც — საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ ღრმა გააზრებას მოითხოვს კაცობრიობის განვითარების უკეთ შეცნობისთვის. მერწმუნეთ, საოცრად ძნელია ამ ორი მოვლენის, მითრიდატეს ისტორიული გმირისა და



მოცარტის მუსიკის ერთმანეთთან დაკავშირება, მაგრამ თეატრი ხომ მაგიური ადგილია, სადაც ყველაფერია შესაძლებელი! სცენა ხომ ჯადოსნური სამყაროა, სადაც შენს ფიქრებსა და გრძნობებს ესხმება ფრთები. და ჩვენც გადავწყვიტეთ, მოვყვეთ საოცარი ამბავი ერთი სიკვდილისა და ორი ქორწინებისა, რომელიც ერთდროულად მომხდარა პონტოში.

***— სპექტაკლში ოპერისა და დრამატული თეატრის მსახიობები რატომ გააერთიანეთ?***

— სცენა წარმოადგენს სილისა და თიხისგან აგებულ კარიბჭეს — ქალაქის გალავანს, რომელიც სიძველის გამო სარიტუალო ადგილს მოგვაგონებს. სწორედ ამ გალავანთან იკრიბებიან სარიტუალო სამოსში გამოწყობილი ადამიანები და ძველი, პრექრისტიანული რიტუალების მეშვეობით აცოცხლებენ, ანუ აღდგენენ ამ ადგილზე ოდესღაც მომხდარ ამბებს. აცოცხლებენ გმირებს — თითქოს იმქვეყნიდან იხმობენ მათ სულებს. გაცოცხლებულ გმირებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ მოქმედება. ამ გმირებს დრამატული თეატრის მსახიობები ასრულებენ. ისინი მთლიანად რიტუალში მონაწილეთა მიერ იმართებიან, ამათ კი საოპერო მომღერლები ასახიერებენ. გადმოცემით ვიცით — მითრიდატეს მეფობის დროს მცხოვრები ხალხი თვლიდა, რომ სული ადამიანის სხეულში კი არა, მის გარეთ არსებობდა, მხოლოდ უხილავი ძაფებით იყო მიბმული სხეულთან. ეს ფაქტი გახდა ჩვენი სპექტაკლის კონცეფციისთვის ამოსავალი წერტილი. საოპერო მომღერლები, როგორც „სულები“, ისე დაჰყვებიან გაცოცხლებულ პერსონაჟებს და მართავენ მათ გრძნობებს, მოქმედებებს, საქციელს. ყოველთვის პერსონაჟთა მიღმა იმყოფებიან, მაგრამ სულისთვის მნიშვნელოვან მომენტებში აქტიურდებიან და ივიწყებენ სხეულებს, წინ გამოდიან, ფარავენ სხეულ-პერსონაჟებს და საოცარი არიებით გვიამბობენ განცდებს.


## განცხადებები

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერბშტადტი“. ფასი შეთანხმებით. ტელ: თენგიზი; 899-97-37-72 ნარგიზი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავებაშეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● გარანტიით, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას, ნევრიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებასა და სხვ. პაციენტი გადაიხდის მისი შესაძლებლობის მიხედვით. მის: თბილისი, დ.ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46; 53-44-39.






მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.



ნათელმხილველი მანანა

იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბიზნესზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ბეჭრიზის განკურნება. მიიღებს წინასწარი შეთანხმებით.

მის: მეტრო „ელექტროდეპოსთან“, მახათის შესახვევი N6.

ტელ: 897-29-27-50.

# არსენ ვენგერი: „ემირეიტსზე“ ტრადიცია უნდა დავარღვიოთ“



ინგლისის პრემიერლიგის ბოლო ტურში არსენ ვენგერმა „არსენალის“ მწვრთნელად 550-ე მატჩი ჩაატარა. ფრანგი მწვრთნელი „მეთოფეებს“ 1996 წლიდან წვრთნის და ამ პერიოდში რამდენიმე პრესტიჟული ჯილდოც მოიგო.

ვენგერის საიუბილეო მატჩი „არსენალმა“ 2:0 მოიგო და კვლავაც კვალში უდგას „მანჩესტერ იუნაიტედს“.

ხვალ „არსენალს გაცილებით მნიშვნელოვანი მატჩი ელის ჩემპიონთა ლიგაზე, სადაც ვენგერის შეგირდები ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდს, „ბარსელონას“ დაუპირისპირდებიან.

მუსიე ვენგერთან ინტერვიუ ბრიტანულ მედიაში გამოქვეყნდა.

— ***„ვულვერჰემპტონთან“ მატჩში რომელ ფეხბურთელს გამოარჩევდით?***

— ყველა იმ ფეხბურთელმა გამახარა, რომელიც იმ დღეს მოედანზე გავიდა. აქედან გამომდინარე, ყველა რგოლის თამაშით კმაყოფილი ვარ. აღვნიშნავდი 19 წლის ჯეკ უილშირს, რომელმაც შუა კვირაში ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში სადებიუტო მატჩი ჩაატარა. დანიელებთან მისი თამაში არ მინახავს, მაგრამ ჩემი ასისტენტები დაესწრნენ და ძალიან მაღალი შეფასება მისცეს. უილშირს ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში და „ვულვზის“ წინააღმდეგაც ძალიან ნაყოფიერად გაისარჯა. დარწმუნებული ვარ, უახლოეს მატჩებში უკვე გოლების გატანასაც დაიწყებს. ცხადია, ძალიან გამახარა რობინ ვან პერსის დაბრუნებამ. ჰოლანდიელმა ფეხბურტელმა ლამაზი გოლებიც გაიტანა. პირველად სესკ ფაბრეგასის პასი გამოიყენა, შემდეგ კი კონტრშეტევაზე ვიხეირეთ. სხვათა შორის, ჩვენი მეორე გოლი ზოგიერთებს მოეჩვენა, რომ წესების დარღვევით გავიდა, მაგრამ თუ კარგად ნახავთ ამ მომენტს, აღმოაჩენთ, რომ არანაირ თამაშგარე მდგომარეობას ადგილი არ ჰქონია. ასევე გამოსარჩევი მომენტია, რომ გუნდმა გოლი არ გაუშვა. წინა ტურში ვოიცეხ შესნიმ 4 გოლი გაუშვა, მაგრამ პოლონელ მეკარეს ვერაფრით ვერ დავადანაშაულებ „ნიუკასლთან“ გაშვებულ გოლებში. ამჯერად, ამ ახალგაზრდა მეკარემ სრულიად დამაჯერებლად ითამაშა და თავისი წვლილი შეიტანა „ვულვზის“ დამარცხებაში.

— ***პრემიერლიგაში ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებთ და ყველა მატჩი მნიშვნელოვანია. თუმცა, 16 თებერვალს, ალბათ, სეზონის ყველაზე პრინციპული ჯახი გელით „ბარსელონასთან“.***

— კატალონიელების წინააღმდეგ სათამაშოდ სათანადოდ ვემზადებით. აქამდე „ბარსელონას“ 6-ჯერ შეხვდით და 4 მატჩი მათი გამარჯვებით დასრულდა, ხოლო 2 — ფრედ. კატალონიელებთან ორრაუნდიანი დაპირისპირება შარშანაც წავაგეთ. ჩემი აზრით, წინა სეზონთან შედარებით, „ბარსელონა“ ამჯერად უფრო გაძლიერებულია. თუმცა, იმაშიც დაგვეთანხმებით, რომ „არსენალიც“ უფრო სოლიდურ ფეხბურთს თამაშობს. ჩვენი გუნდი ფავორიტად არავის მიაჩნია, მაგრამ წინასწარ წაგებას ვერ შევეგუებით და ყველას ვთხოვ, „ბარსელონას“ უპირობო ფავორიტად ნუ მიიჩნევენ. ვფიქრობ, უშანსოდ ნამდვილად არ ვართ. საწყენია, რომ არ გვეყოლება სამირ ნასრი, თუმცა „ბარსას“ დაცვის ბურჯი კარლეს პუიოლი დააკლდება. წინასწარ არაფრის თქმა და დაპირება არ მინდა, მაგრამ შევეცდებით 16 თებერვალს „ემირეიტსის“ სტადიონზე უსიამოვნო ტრადიცია დავამსხვრიოთ.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ფულემი-ჩელსი ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 26 | 16 | 9 | 1 | 57:25 | 57 |
| 2.არსენალი | 26 | 16 | 5 | 5 | 56:27 | 53 |
| 3.სიტი | 27 | 14 | 7 | 6 | 43:24 | 49 |
| 4.ტოტენჰემი | 26 | 13 | 8 | 5 | 37:28 | 47 |
| 5.ჩელსი | 26 | 13 | 6 | 7 | 46:22 | 45 |
| 6.ლივერპული | 27 | 11 | 6 | 10 | 35:32 | 39 |
| 7.სანდერლენდი | 27 | 9 | 10 | 8 | 33:33 | 37 |
| 8.ბოლტონი | 27 | 9 | 9 | 9 | 38:37 | 36 |
| 9.სტოკი | 26 | 10 | 3 | 13 | 31:33 | 33 |
| 10.ნიუკასლი | 26 | 8 | 8 | 10 | 40:38 | 32 |
| 11.ბლექბერნი | 27 | 9 | 5 | 13 | 34:42 | 32 |
| 12.ფულემი | 27 | 6 | 13 | 8 | 28:28 | 31 |
| 13.ევერტონი | 27 | 6 | 12 | 8 | 33:36 | 30 |
| 14.ბირმინგემი | 25 | 6 | 12 | 7 | 25:33 | 30 |
| 15.ას. ვილა | 27 | 7 | 9 | 11 | 31:46 | 30 |
| 16.ბლექპული | 26 | 8 | 5 | 13 | 39:50 | 29 |
| 17.უიგანი | 26 | 5 | 12 | 9 | 27:42 | 27 |
| 18.ვესტ ბრომ. | 26 | 7 | 6 | 13 | 34:51 | 27 |
| 19.ვესტ ჰემი | 27 | 5 | 10 | 12 | 30:48 | 25 |
| 20.ვულვზი | 26 | 7 | 3 | 16 | 26:45 | 24 |

**იტალია. სერია ბ**

ნოვარა-ტორინო ........ 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალიორკა-ბილბაო ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 23 | 20 | 2 | 1 | 71-12 | 62 |
| 2.რეალი | 23 | 18 | 3 | 2 | 53-19 | 57 |
| 3.ვალენსია | 23 | 14 | 5 | 4 | 38-25 | 47 |
| 4.ვილიარ. | 23 | 14 | 3 | 6 | 41-23 | 45 |
| 5.ბილბაო | 23 | 12 | 2 | 9 | 37-32 | 38 |
| 6.ესპანიოლი | 23 | 12 | 1 | 10 | 30-31 | 37 |
| 7.ხეტაფე | 23 | 9 | 4 | 10 | 35-37 | 31 |
| 8.სოსიედ. | 23 | 10 | 1 | 12 | 34-37 | 31 |
| 9.სევილია | 23 | 9 | 4 | 10 | 35-38 | 31 |
| 10.მალიორკა | 23 | 9 | 4 | 10 | 25-30 | 31 |
| 11.ატლეტიკო | 23 | 9 | 3 | 11 | 32-31 | 30 |
| 12.ერკულესი | 23 | 7 | 4 | 12 | 24-37 | 25 |
| 13.რასინგი | 23 | 6 | 7 | 10 | 20-33 | 25 |
| 14.დეპორტ. | 23 | 6 | 7 | 10 | 20-34 | 25 |
| 15.ლევანტე | 23 | 7 | 3 | 13 | 24-34 | 24 |
| 16.სარაგოსა | 23 | 5 | 8 | 10 | 22-36 | 23 |
| 17.ხიხონი | 23 | 5 | 8 | 10 | 23-31 | 23 |
| 18.ოსასუნა | 23 | 5 | 7 | 11 | 21-30 | 22 |
| 19.ალმერია | 23 | 4 | 8 | 11 | 23-39 | 20 |
| 20.მალაგა | 23 | 5 | 4 | 14 | 30-49 | 19 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

აუე-მიუნხენ 1860 ........ 1:0

**საფრანგეთი. II ლიგა**

მეცი-აიაჩო ........ 2:2

**ჰოლანდია. II დივიზიონი**

დენ ბოსხი-სიტარდი ........ 1:1

დორდრეხტი-ვოლენდამი ........ 4:1

ემენი-კამბური ........ 0:4

**პორტუგალია. ა ლიგა**

ბეირა მარი-სეტუბალი ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 20 | 18 | 2 | 0 | 46:7 | 56 |
| 2.ბენფიკა | 19 | 15 | 0 | 4 | 40:16 | 45 |
| 3.სპორტინგი | 19 | 9 | 6 | 4 | 32:22 | 33 |
| 4.გიმარაეში | 19 | 8 | 5 | 6 | 24:24 | 29 |
| 5.ლეირია | 19 | 8 | 4 | 7 | 18:23 | 28 |
| 6.ბრაგა | 19 | 8 | 3 | 8 | 33:26 | 27 |
| 7.ოლჰანენსე | 19 | 6 | 8 | 5 | 18:17 | 26 |
| 8.ფერეირა | 19 | 6 | 8 | 5 | 18:21 | 26 |
| 9.ნაციონალი | 20 | 7 | 5 | 8 | 17:23 | 26 |
| 10.ბეირამარი | 19 | 5 | 10 | 4 | 23:22 | 25 |
| 11.აკადემიკა | 19 | 5 | 5 | 9 | 25:34 | 20 |
| 12.მარიტიმუ | 19 | 4 | 7 | 8 | 19:22 | 19 |
| 13.სეტუბალი | 19 | 4 | 6 | 9 | 15:27 | 18 |
| 14.რიუ ავე | 19 | 4 | 5 | 10 | 19:25 | 17 |
| 15.ნავალი | 19 | 3 | 4 | 12 | 17:36 | 13 |
| 16.პორტიმონ. | 19 | 2 | 4 | 13 | 17:36 | 10 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

ფენერბახჩე-ქაისერი ........ 2:0

**არგენტინა. აპერტურა**

ლანუსი-არსენალი ........ 3:1

ურაკანი-არხენტინოსი ........ 1:1

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

დეტროიტი-ატლანტა ........ 79:94

ზაზა ფაჩულია: 1 ქულა, 1 მოხსნა

მილუოკი-კლიპერსი ........ 102:78

მინესოტა-პორტსლენდი ........ 81:95

ჰიუსტონი-დენვერი ........ 121:102

**ჩოგბურთი**

**ატპ. ბუენოს აირესი. თიხა**

მონტანესი-რამირეს იდალგო ........ 6:1;7:6

მაიერი-დელ ბონისი ........ 7:6;7:5

ფონინი-ჟილი ........ 1:6;6;2;6:2

რობრედო-გონსალესი ........ 7:5;6:2

ჩელა-მაჩადუ ........ 4:6;6:2;6:2

**ვტა. დუბაი. ჰარდი**

ბარტოლი-დატე კრუმი ........ 7:6;6:4

კუზნეცოვა-ლიაგოსტერა ........ 6:4;6:2

ვინჩი-ვესნინა ........ 6:4;6:3

პირი-მარტინეს სანჩესი ........ 6:4;6:1

პენეტა-დოკიჩი ........ 6:2;6:2

ერანი-კუცოვა ........ 6:1;6:4

ჰანტუჩოვა-ჩაკვეტაძე ........ 3:6;1:6

კანეპი-დუშევინა ........ 6:1;6:2

პენგი-მატეკი ........ 6:3;2:6;6:3

საფაროვა-ზაკოპალოვა ........ 2:6;2:6

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

სენტ ლუისი-ვანკუვერი ........ 3:2

ფინიქსი-ვაშინგტონი ........ 3:2

კოლორადო-კალგარი ........ 1:9

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# რონალდომ ფეხბურთი თვალცრემლიანმა დატოვა



14 თებერვალს ფეხბურთიდან წასვლა გამოაცხადა სპორტის ამ სახეობის ერთ-ერთმა ისტორიულმა გმირმა ლუის ნაზარიო და ლიმამ. მსოფლიოს 2-გზის ჩემპიონმა და 2-ჯერ „ოქროს ბურთის“ მფლობელმა რონალდომ პროფესიული კარიერა დაასრულა.

გასულ სეზონში ფეხბურთს დაემშვიდობნენ პაოლო მალდინი, პაველ ნედვედი, ლუიშ ფიგუ. ახლა მათ რონალდომ მიბაძა, რიგში დგანან ტიერი ანრი, დევიდ ბექჰემი, რაული, ანდრეი შევჩენკო, დავიდ ტრეზეგე, რივალდო და ლეგენდების მთელი სხვა თაობა.

თითქოს გუშინწინ იყო, რომ რონალდომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გადამწყვეტი გოლი გაიტანა, გახდა პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი და ბრწყინავდა ტოპ-კლუბებში. ბოლო დროს კი რონალდოს ველარ იცნობდით, ის ლუდის მოყვარულ ადამიანს უფრო ჰგავდა, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირს.

— მეტი აღარ შემიძლია. მინდა, მაგრამ არ შემიძლია. როდესაც მოედანზე ვარ, ყველა მოძრაობას გავიაზრებ თავში, მაგრამ მისი განხორციელება მიჭირს. ჩემი დრო წავიდა, მაგრამ ეშმაკმა წაიღოს, რაც მოედანზე ვიყავი, ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდია, — განაცხადა ფენომენმა პრესკონფერენციაზე, რომელიც კარიერის დასრულებას მიუძღვნა.

მთელი თავისი სიდიადისა და მოპოვებული ტიტულების მიუხედავად, სპეციალისტები თვლიან, რომ რონალდომ მხოლოდ თავისი 50 პროცენტი გამოამჟღავნა. დარჩენილი ნახევარი კი უამრავმა ტრავმებმა, ოჯახურმა პრობლემებმა და პლაჟზე მოწყობილი საღამოების სიყვარულმა „შეჭამა“. და მაინც, ამის მიუხედავად, ბრაზილიელი ფეხბურთელი საუკეთესო იყო.

— ფეხბურთმა ძალიან ბევრი მომცა. მხოლოდ ფეხბურთით ვცხოვრობ და ასეც გავაგრძელებ. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ეს არის, რომ ვერც ერთხელ მოვახერხე ჩემპიონთა ლიგის მოგება. ეს ის ჯილდოა, რომლის მოპოვება ყველა ფეხბურთელისთვის საოცნებოა, — ამბობს რონალდო.

ჩემპიონთა ლიგა ერთადერთია, რომელიც ფენომენს არ მოუგია, თუმცა ეს სულაც არ აკნინებს ბრაზილიელს და უდიდეს ფეხბურთელად რჩება.

1999 წელს რონალდომ ტრავმა მიიღო და თითქმის 2 სეზონი გაუცდა. მაშინ კიჭა „ინტერში თამაშობდა და მხოლოდ 22 წლის იყო. მის გამოჯანმრთელებას მთელი საფეხბურთო სამყარო ადევნებდა თვალს. თუმცა, რატომ მარტო საფეხბურთო? თვით ბრაზილიის პრეზიდენტი იყო დაინტერესებული, რომ რონალდო 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ფორმაში ყოფილიყო. მანამდე, 4 წლით ადრე კი, უცნაური რამ მოხდა. საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის წინ რონალდო ცუდად გახდა, მაგრამ მაინც გავიდა მოედანზე, თუმცა ისიც და მთელი ბრაზილიის ნაკრები აჩრდილებს ჰგავდნენ. ფრანგებმა 3:0 დაამარცხეს სამხრეთამერიკელები, მაგრამ რონალდო მაინც ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

სამაგიეროდ, 2002 წელს კორეა-იაპონიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბურთის ჯადოქრების შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა და ბრაზილიელებმა მეხუთედ მოიპოვეს ჩემპიონობა. თავად რონალდოსთვის კი ეს მეორე აღმოჩნდა (პირველი 1994 წელს მოიპოვა, მაგრამ იმ მუნდიალზე მოედანზე გასვლა არ მოუწია). 2002 წელსვე გახდა მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, სულ კი 4 მუნდიალზე აქვს ნათამაშები.

რონალდოს ფეხბურთიდან წასვლას მაშინ ვარაუდობდნენ, როდესაც მადრიდის „რეალში“ თამაშობდა. ერთი პერიოდი „სამეფო კლუბისა“ და რონალდოს საქმეები კარგად ვერ აეწყო, ხოლო მთავარ მწვრთნელად ფაბიო კაპელოს მისვლის შემდეგ რონალდომ მყარად გადაინაცვლა სათადარიგოთა სკამზე. თუმცა...

— ძალიან რთულია დატოვო ის საქმე, რომელიც ბედნიერს გხდის. ხშირად წამიგია, მაგრამ გამუდმებით გამარჯვებული ვყოფილვარ. ძალიან მოვიწყენ ფეხბურთის გარეშე, მაგრამ სხვაგვარად აღარ გამოვა — ეს განცხადება ჩემი პირველი სიკვდილია, — ატირდა რონალდო პრესკონფერენციის ბოლოს.

რონალდოს ფეხბურთიდან წასვლას ბევრჯერ ვარაუდობდნენ, მაგრამ მაინც ბრუნდებოდა. ახლა კი ნამდვილად წავიდა, წავიდა როგორც უდიდესი და თვალცრემლიანი.

საფეხბურთო კარიერა: პსვ — 57 მატჩი (54 გოლი), ბარსელონა 49 (47), ინტერი 99 (59), რეალი 177 (104), მილანი 20 (9).

# თბილისმა შესაძლოა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლოს

თბილისში ორდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტი სილვიო დანაილოვი. ბულგარელის ვიზიტი საქართველოში ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ევროპის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის მზადების პროცესის დაკვირვება იყო.

საქმიანი ვიზიტის დროს დანაილოვმა მოინახულა ყველა ის ობიექტი, რომელმაც მასპინძლობა უნდა გაუწიოს აღნიშნულ ტურნირს. ამის გარდა, დანაილოვი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს, ვლადიმერ ვარძელაშვილს შეხვდა.

**ლადო ვარძელაშვილი:**

— ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტია. რამდენიმე დღეში უნდა გადაწყდეს, ჩატარდება თუ არა თბილისში ქალ მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატი. ჩვენ გვაქვს მსგავსი ტურნირების ჩატარების გამოცდილება. გასულ წელს ბათუმში გაიმართა ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატი, ამიტომ შეგვიძლია ტურნირს უმაღლეს დონეზე ვუმასპინძლოთ. თბილისში 40 ქვეყნის მოჭარაკე ჩამოვა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია. საქართველოს სახელით კი 15-მდე მოჭადრაკეს მიეცემა თამაშის საშუალება. მაისის მიწურულს თბილისში 20-წლამდე მორაგბეთა მსოფლიოს თასიც ჩატარდება. ასე რომ, ძალიან საინტერესო და სპორტული ღონისძიებებით დატვირთული პერიოდი გველის.

**სილვიო დანაილოვი:**

— ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა რამდენიმე ქვეყნას სურს და თუ ვინ გახდება ამ საპატიო მისიის შემსრულებელი, რამდენიმე დღეში შეიტყობთ, რადგან კანდიდატი ქვეყნების რეგისტრაციის ვადა 18 თებერვალს იწურება. ჩვენი დიდი სურვილია, ევროპის ჩემპიონატს თბილისმა უმასპინძლოს, რადგან საჭადრაკო ქვეყანა ხართ და მსგავსი ტურნირების ჩატარების გამოცდილებაც გაქვთ. ამის გარდა, ახლახან იყო მაია ჩიბურდანიძის 50 წლის იუბილე, მალე ნონა გაფრინდაშვილიც 70 წლის გახდება. ეს მოჭადრაკეები მსოფლიო ლეგენდები არიან და სიმბოლურიც იქნება, თუ ევროპის ჩემპიონატი საქართველოში ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ 7-25 მაისს თბილისმა შესაძლოა, 2011 წლის ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატს უმასპინძლოს. აღნიშნული ტურნირი მარტში თურქეთის ქალაქ გაზიანთებში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ იქაურებმა ევროპის საჭადრაკო კავშირის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილეს და მათ ჩატარების უფლება ჩამოერთვათ.

თუ ასე მოხდა, თბილისს 40 ქვეყნის 200-მდე მოჭადრაკე ესტუმრება. საბოლოო გადაწყვეტილებას ევროპის საჭადრაკო კავშირი უახლოეს მომავალში მიიღებს. დანაილოვის სტუმრობა კი ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან ის ევროპის საჭადრაკო კავშირს 2010 წლიდან ხელმძღვანელობს და პარალელურად ბულგარეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტია. ყველაფერთან ერთად, საჭადრაკო სამყაროში გავლენიანი სიტყვა აქვს და ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწეა.

# პლატინისა და დელ პიეროს „იუვენტუსის“ სჯერათ

გასული უიკ-ენდის ყველაზე გამორჩეული მატჩი აპენინებზე გაიმართა, სადაც იტალიურ დერბიდ მიჩნეულ მატჩში ტურინის „იუვენტუსმა“ შინ 1:0 დაამარცხა მილანის „ინტერი“.

ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ეს მატჩი შესაძლოა გახდეს ტურინული კლუბის აღმასვლის პერიოდი. გეხსომებათ, გახმაურებული კალჩოპოლოს შემდეგ „იუვენტუსს“ კრიზისი აქვს და მაღალი ადგილებისთვის ბრძოლას ჩვეულად ველარ აგრძელებს.

ასე ფიქრობს ყოფილი იუვენტინო, ევროპის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მიშელ პლატინიც, რომელიც დარწმუნებულია, რომ „იუვენტუსი“ უახლოეს მომავალში დაუბრუნდება მაღალ მწვერვალებს.

— გულშემატკივრებმა უნდა გაითავისონ, რომ გარკვეული დროის შემდეგ „იუვენტუსი“ დიდი კლუბის სტატუსს დაიბრუნებს. ნამდვილი ტიფოზები, რომელიც გვერდით უდგანან გუნდს, ძნელბედობის ჟამსაც დარჩებიან „იუვენტუსის“ გვერდით. „იუვე“ ყოველთვის იყო მსოფლიოში ძლიერი კლუბი, მაგრამ შემდეგ გარკვეული პრობლემები შეექმნა, რის გამოც სერია ბ-ში მოუხდა დაქვეითება. შედეგად, გუნდს რამდენიმე ვარსკვლავთან მოუწია გამოთხოვება. „იუვენტუსი“ ამ ცუდ პერიოდს მალე ჩაამთავრებს. ზუსტ თარიღს ვერ გეტყვით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, კლუბი მალე დაუბრუნდება გრანდებს, — განაცხადა პლატინიმ.

გუნდის წარმატებაში დარწმუნებულია მისი კაპიტანი, ლეგენდა და უბერებელი ლიდერი ალექს დელ პიეროც, რომელმაც „ინტერთან“ მოგებულ მატჩს გაუკეთა კომენტარი.

— ახლა საჭიროა ეს ფორმა შევინარჩუნოთ და სეზონის დარჩენილ ნაწილშიც ისეთივე ფეხბურთის დემონსტრირება განვაგრძოთ, როგორც ბოლო მატჩში. „ინტერთან“ გამარჯვების შემდეგ ძალიან გახარებული ვარ. ეს ჩვენს პროგრესზე მეტყველებს, რომელიც „კალიარისთან“ მატჩით დაიწყო. ვფიქრობ, „იუვენტუსისთვის“ კარგი გაკვეთილი იყო „პალერმოსთან“ მარცხი, რომელსაც არ ვიმსახურებდით და ამის შემდეგ აშკარად მოვუმატეთ. ეს იყო ერთგვარი ხელის კვრა, რათა „ინტერთან“ დადებითი შედეგი მიგვეღწია. თუმცა, მარტო „ნერაძურისთან“ გამარჯვებამ არ უნდა დაგვაკმაყოფილოს. ეს მხოლოდ ერთი კონკრეტული მატჩი იყო და სეზონის დასრულებამდე გრძელი გზაა. ახლა ყველა მატჩი იმავე სულისკვეთებით უნდა ვითამაშოთ, რათა სატურნირო ცხრილში წინ წავიწიოთ და ჩვენი კუთვნილი ადგილი დავიკავოთ. ძალიან სასიამოვნო იყო გახარებული გულშემატკივრების სახეების დანახვა. ამ დროს გასაოცარ გრძნობას განვიცდი. ჩვენი მხრივ ვპირდებით, რომ ამ სიხარულს არც მომავალში მოვაკლებთ, — აღნიშნა კაპიტანმა.



## დღის კალენდარი

### 16 თებერვლისთვის

წლის 47-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 318 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

ოთხშაბათი

მიგებების შემდგომი დღესასწაული.

მართალთა: სვიმეონ ღმრთისმიმქუმელისა და ანა წინასწარმეტყველისა; წინასწარმეტყველისა აზარიასი (IX-X ს.ს. ქრისტეს შობამდე); მოწამეთა: პაპიასი, დიოდორესი და კლავდისი (250); მოწამეთა ადრიანესი და ევბულისა (დაახლ. 308-309); მოწამისა ელასი მწყემსისა, კაპადოკიის კესარიელისა (III); მოციქულთა სწორისა ნიკოლოზისა, იაპონიის მთავრეპისკოპოსისა (1912); იაკობისა, სერბელი მთავარეპისკოპოსისა (1292); მოწამეთა პავლესი და სიმონისა; ღირსისა კლავდისა; მოწამისა კელერინო აფრიკელისა, რომში ვნებულისა (III); ლევრენტისა, კანტუარიის (კენტერბერის) მთავარეპისკოპოსისა (619); წმიდისა ანსერისა, დანიისა და სკანდინავიის მოციქულისა (865); ღირსისა საბა სულიერი მოძღვრისა, იოანინელისა (1505); ახალმოწამეთა ძმათა სტამატისა და იოანესი და თანამგზავრისა მათისა ნიკოლოზისა (1822).

მართალი სვიმეონ ღვთისმრქმელი წმიდა ლუკა მახარებლის მოწმობით იყო ერთი რჩეულთაგანი ღვთისა, რომელიც სასოებით მოელოდა ნუგეშისცემას ისრაელი ერისა. ღვთის მიერ მას ეუწყა, რომ მანამ არ აღესრულებოდა ამა ქვეყნიდან, სანამ არ იხილავდა აღთქმულ მესიას უფალ იესო ქრისტეს.ერთხელ, ღვთისაგან შეგონებული მართალი სვიმეონი იერუსალიმის ტაძარში მივიდა. ეს ის დღე იყო, როცა ქალწულმა მარიამმა და მართალმა იოსებმა ტაძარში ღვთაებრივი ყრმა მიიყვანეს. მართალ სვიმეონს სულმა წმიდამ მაშინვე გაუმხილა, რომ ის მესია იყო მხსნელი ქვეყნისა.

წმიდა ვლასი კესარიელი III საუკუნეში ცხოვრობდა, წარმოშობით კაპადოკიის კესარიიდან იყო. სიყრმიდანვე ის მწყემსი იყო.

როცა ქრისტიანთა დევნა დაიწყო, წმიდა ვლასი საკუთარი ნებით ჩაბარდა მტარვალებს. ამისათვის ის სატანჯველს სწიეს, მაგრამ უფალმა გაუმთელა წყლულები.

ამის შემდეგ ვლასიმ მრავალი წარმართი მოაქცია ქრისტეს რჯულზე და მშვიდობით მიაბარა სული ღმერთს.

### დაიბადნენ:

1831 — ნიკოლაი ლესკოვი, რუსი მწერალი. გარდაიცვალა 1895 წელს.

1834 — ერნესტ ჰეკელი, გერმანელი ბიოლოგი. გარდაიცვალა 1919 წელს.

1838 — ჰენრი ადამსი, ამერიკელი მწერალი, ისტორიკოსი. გარდაიცვალა 1918 წელს.

1850 — ოქტავ მირბო, ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1917 წელს.

1857 — ლადო ალექსი-მესხიშვილი, მსახიობი. გარდაიცვალა 1920 წელს.

1872 — ნიკოლოზ გოცირიძე, მსახიობი. გარდაიცვალა 1949 წელს.

1891 — ნიკო მუსხელიშვილი, გამოჩენილი მათემატიკოსი, აკადემიკოსი. გარდაიცვალა 1976 წელს.

1876 — ჯორჯ ტრეველიანი, ინგლისელი ისტორიკოსი. გარდაიცვალა 1962 წელს.

1915 — ბორის პაიჭაძე, ლეგენდარული ფეხბურთელი. გარდაიცვალა 1990 წელს.

1922 — ფრენსის გალტონი, ინგლისელი ფსიქოლოგი და ანთროპოლოგი. გარდაიცვალა 1911 წელს.

### გარდაიცვალნენ:

1823 — პიერ პოლ პრუდონი, ფრანგი მხატვარი.

1856 — ჰენრიხ ჰაინე, გერმანელი პოეტი.

### მოვლენები:

ჩვ. წ. აღ-ით 63 წელი — 16 წლით ადრე, ვიდრე ქალაქი დაიღუპებოდა, ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად პომპეიში მიწისძვრა მოხდა.

1854 წელი — გაიმართა ფერენც ლისტის სიმფონიის ორფეოსის„ პრემიერა.

1918 წელი — ლიტვამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

1956 წელი — ინგლისში სიკვდილით დასჯა გააუქმეს.

### ღირსსახსოვარი დღეები:

ლიტვა — სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე.

კორეის სდრ — კიმ ჩენ ირის დღე.

მედიანიუსი

## სილვიო ბერლუსკონის სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუწევს



მილანის სასამართლოს მოსამართლის, ქრისტინა დი ჩენსოს გადაწყვეტილებით, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი მიმდინარე წლის აპრილში სასამართლოს წინაშე ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და არასრულწლოვან მეძავთან სქესობრივი კავშირის ბრალდებებით უნდა წარდგეს.

სასამართლო 6 აპრილს გაიმართება, ამასთან, ყველა მოსამართლე ქალი იქნება.

პროცესის დროს საქმის განხილვის დაჩქარებულ პროცედურას გამოიყენებენ, რასაც, ჩვეულებრივ, მაშინ მიმართავენ ხოლმე, როდესაც ეჭვმიტანილის დამნაშავეობის დამადასტურებელი საიმედო სამხილი არსებობს.

ბერლუსკონი ამტკიცებს, რომ მოცეკვავე ქარიმა მაჰრუკისათვის სქესობრივი კავშირისი სანაცვლოდ ფული არ გადაუხდია. იტალიის პრემიერ-მინისტრი რომ გაიცნო, მოცეკვავე 17 წლის იყო.

იტალიის კანონები პროსტიტუციას არ კრძალავს, მაგრამ არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირისათვის პრემიერ-მინისტრს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

იტალიის პრემიერ-მინისტრი ასევე ამტკიცებს, რომ პოლიციის მიერ ქურდობაში ეჭვმიტანილი მაჰრუკის გათავისუფლების ხელშეწყობით ძალაუფლება ბოროტად არ გამოუყენებია.

ამასთან, ბერლუსკონიმ აღიარა, რომ მოცეკვავის დაპატიმრების შემდეგ მართლაც დარეკა პოლიციაში. ბერლუსკონის თქმით, ეგონა, რომ მაჰრუკი ჰოსნი მუბარაქის შვილიშვილი იყო და თავისი სატელეფონო ზარით ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტისათვის სამსახურის გაწევა სურდა.

თავად კარიმა მაჰრუკი, რომელსაც უკვე 18 წელი შეუსრულდა, იტალიის პრემიერ-მინისტრთან სქესობრივ კავშირს უარყოფს, ამასთან, აღიარებს, რომ მის წვეულებაზე სტუმრობისათვის საჩუქრად 7 ათასი ევრო მიიღო.

ბერლუსკონის ადვოკატები ამტკიცებენ, რომ მოსამართლეს იტალიის პრემიერ-მინისტრის სასამართლო პროცესის დაწყების უფლებამოსილება არ ჰქონდა.

გ. თ.

## საქართველოში საზოგადოებამ უკან დაიხია



ეგვიპტესა და ტუნისში მომხდარმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ ააფორიაქა ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი. ბოლო დროს სულ უფრო ბევრ საუბრობენ ამ ქვეყნებში მომხდარი ცვლილებების მიზეზებზე და საქართველოსთან პარალელების გავლებას ცდილობენ. რამდენად გამართლებულია ასეთი პარალელები და შესაძლებელია თუ არა მოვლენების „არაბული სცენარით" განვითარება? — ამ საკითხებზეზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი" ფილოსოფოსსა და პოლიტოლოგს **ზაზა ფირალიშვილს** ესაუბრა.

***— ტუნისსა და ეგვიპტეში განვითარებული მოვლენები რა გავლენას იქონიებს ოპოზიციურად განწყობილი ქართულ საზოგადოების ნაწილზე, არის თუ არა ის მზად მსგავსი ცვლილებებისთვის?***

— რა თქმა უნდა, ეგვიპტის და ტუნისის მაგალითზე ვისწავლით და დავინახავთ, რომ რაღაცეები შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენებს რამდენიმე ასეული ადამიანი შეეწირა. ვისწავლით, როგორ უნდა მივიყვანოთ საქმე ბოლომდე, რომ შევცვალოთ ხელისუფალი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეგვიპტელებს შეუძლიათ შექმნან ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი. ჩვენთან კი, განსხვავებული რამ მოხდა. სწორედ მაშინ, როდესაც პოლიტიკურმა დაძაბულობამ პიკს მიაღწია, საზოგადოებამ აღმოაჩინა, რომ ალტერნატიული პოლიტიკური ძალის გარეშე იყო და ამიტომ დაიხია უკან. ხელისუფლებამაც კარგად იმუშავა ამ მხრივ და ოპოზიციას ზუსტად დაარტყა. ოპოზიციის დღევანდელმა დაპირისპირებამ კი, საზოგადოება თავისი მოქმედების სისწორეში დაარწმუნა.

***— ეგვიპტის და ტუნისის მოვლენებმა ერთი საშიში ტენდენციაც გამოავლინა: ხელისუფლებათა ცვლას წინ უძღოდა სისხლისღვრა.***

— ასეთი რამ დამოკიდებულია პოლიტიკურ გარემოზე, ტრადიციებსა და მენტალობაზე. სხვათაშორის, ეგვიპტეში რამდენიმე ასეული ადამიანის სიკვდილი დიდად არ განუცდიათ. ყოველ შემთხვევაში, ეს არ გამხდარა პროცესების განვითარების მიზეზი.

***— როგორც ირკვევა, ბოლო 30 წლის განმავლობაში აშშ-მ ეგვიპტეში დემოკრატიული პროცესების ხელშესაწყობად 60 მილიარდი დოლარი დახარჯა, ჩვენი ქვეყნის მასშტაბებიდან გამომდინარე, აქაც არანაკლები თანხებია დახარჯული, სედეგი კი არც ისე სახარბიელოა.***

— აშშ დემოკრატიული პროცესების განსავითარებლად ინვესტიციებს საქართველოში შევარდნაძის დროსაც სდებდა და დღესაც, თუმცა სახარბიელო მდგომარეობა ნამდვილად არ გვაქს. ასე რომ, ეს თანხები დღესაც ისე ისრუტება, როგორც ადრე. დემოკრატიის ექსპორტირება შეუძლებელია. ცივილიზებულ სამყაროს შეუძლია გვიჩვენოს მხოლოდ ნიმუში დემოკრატიულობისა და მეტი არაფერი. მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს აი იმ „წერტილების" განვითარებას, რომლებიც ჩვენში ატარებდნენ დემოკრატიულ პოტენციალს. ექსპორტიერება ამისი შეუძლებელია, მითუმეტეს, რევოლუციური და მკვეთრი ცვლილებების სახით.

***— კონკრეტულად, რა უშლის ხელს დემოკრატიის განვითარებას, მენტალობა, ისტორია, გეოპოლიტიკური ფაქტორები, სამოქალაქო საზოგადოების არარსებობა თუ რა?***

— დემოკრატიას სჭირდება საზოგადოებაში კრიტიკულად განწყობილი ადამიანების დიდი რაოდენობა, რომელსაც მაღალი მოქალაქეობრივი ღირსება გააჩნია და რომლებიც არ დაუშვებენ იმას, რომ ვიღაცამ განუკითხავად განაგოს მათი ბედი. რა თქმა უნდა ამაში დამნაშავეა საზოგადოება, საზოგადოების ცნობიერება, ის რასაც თქვენ მენტალიტეტს უწოდებთ. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ 70 წლის განმავლობაში ბოლშევიკები შეგნებულად სპობდნენ მოაზროვნე ადამიანებს, როლებსაც ჰქონდათ უნარი და შესაძლებლობა, საკუთარ ბედი თვითონ ემართათ. იგივე ინტელიგენცია, არისტოკრატია, სასულიერო ფენა, ეს ის ადამიანები იყვნენ, როლებიც თუნდაც ეკონომიკური აქტივობით გამოირჩეოდნენ, ხელისუფლებაზე არ იყვნენ დამოკიდებული. ასეთი ადამიანების დიდი ნაწილი მოსპეს. სწორედ ეს ფენაა დემოკრატიული პოტენციალის მატარებლები. დღეს ხელახლა იბადება მოაზროვნე საზოგადოება, ანთროპოლოგიური ფსიქოკულტურული ტიპი საქართველოში. დღეს ჯერჯერობით მათი დეფიციტია, მაგრამ აშკარაა, რომ პროცესი მიდის და ეს ყველაფერი ნაყოფს გამოიღებს, როგორც ეს გამოიღო ეგვიპტესა და ტუნისში. რაც შეეხება საქართველოს, პროცესი მიდის, მაგრამ პროცესების ხელოვნურად დაჩქარება შეიძლება ძალიან ცუდად შემოგვიბრუნდეს. დღევანდელი ქართველი ის აღარ არის, რაც იყო 20 წლის წინ, რომლისთვისაც ავტორიტარული მმართველობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. დასავლეთი რომც არ დაგვხმარებოდა, ეს პროცესი მაინც წავიდოდა. შეიძლება ისე ინტენსიურად და ისეთი მასშტაბებით არა, როგორც დღეს ხდება, მაგრამ მაინც წავიდოდა. იმიტომ ეს არის ბუნებრივი მდგომარეობა ადამიანებისა, საზოგადოებისა, რომ მასში იყოს კრიტიკული მასა, რომელიც საკუთარ მოქალაქეობრივი ღირსების მატარებლები არიან. დღევანდელი ქართველი კაცი ისეთ გულუბრყვილო ლოზუნგებს აღარ წამოეგება, როგორსაც წამოეგებოდა 90-იანი წლების დასაწყისში. სატელევიზოო არქივებში გადახედეთ და ნახავთ, როგორი გულუბრყვილო იყო, წმინდა სოციალური, მოქალაქეობრივი, გნებავთ, პოლიტიკური თვალსაზრისით. დღეს საქმე იდეალურად არ არის, მაგრამ პროგრესი სახეზეა. სამოქალაქო თუ პოლიტიკური სიმწიფე ეს არის სიტუაცია, როდესაც საზოგადოებას შეუძლია შექმნას, ალტერნატიული პოლიტიკური ძალები ანუ მისთვის ხელისუფლების დამხობა არ უნდა წარმოადგენდეს პოლიტიკური კრიზისის დასაწყისს. ჯერჯერობით ჩვენი საზოგადოება ამას ვერ ახერხებს. მან ვერ შექმნა ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი, პოლიტიკური ძალა, საამისოდ რესურსები არ ეყო.

მედიანიუსი

### ლეიბორისტებმა ქუთაისში სემეკთან საპროტესტო აქცია გამართეს

ლეიბორისტულმა პარტიამ ქუთაისში სემეკის შენობასთან საპროტესტო აქცია გამართა.

როგორც „მედიანიუსს" ლეიბორისტული პარტიის ქუთაისის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა სამსონ გუგავამ აცნობა, სემეკის შენობასთან გამართული აქცია იყო თბილისში ლეიბორისტული პარტიის მიერ ჩატარებული აქციების გამოძახილი.

— პირველ რიგში, ჩვენ თანადგომა გამოვხატეთ თბილისელი თანამემამულეების წინაშე. თუმცა დაიწყო საუბარი იმის შესახებ, რომ ქუთაისშიც ამოქმედდეს კომუნალური გადასახადების ერთიანი ქვითარი, — აღნიშნა სამსონ გუგავამ.

მისი თქმით, აღნიშნული საპროტესტო აქცია მიმართული იყო სემეკთან, რადგან მათ პარლამენტის დადგენილება გაამყარეს.

ლეიბორისტული პარტის ქუთაისის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი სამსონ გუგავა სემეკს კომუნალური გადასახადების ერთიანი წესით ადმინისტრირების გაუქმებისკენ მოუწოდებს.

მედიანიუსი

ჩვენს საყვარელ
მოსე ევგენიძეს ვულოცავთ
დაბადების დღეს, ვუსურვებთ
ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს,
ბედნიერებასა და წარმატებებს
ოჯახთან და ახლობლებთან ერთად.
უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს!
სიყვარულით, „ახალი თაობა"



### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ხილის წვენებით შეზავებული ტკბილი მაწონი; 2. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების იტალიური ენციკლოპედია; 3. მოქმედებისთვის ხალისის აღმძვრელი მიზეზი, ბიძგი; 5. ირანის შაჰის კარზე მოღვაწე მე-17 საუკუნის ქართველი მხატვარი; 7. ექიმის სპეციალობა; 9. გავლენის სფეროს გაფართოება; 13. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესების კრებული; 15. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 16. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 18. მუზეუმი მილანში.

**თარაზულად:** 4. მდგომარეობა ჭიდაობაში; 6. გუნდური შეჯიბრება სირბილში, ცურვაში; 8. ქართველი პოლიტიკოსი ქალი; 10. ზღვისპირა კურორტი გულრიფშის რაიონში; 11. სასოფლო-სამეურნეო ბოჭკოვანი მცენარე; 12. აპრილის თვის ქართული სახელწოდება; 14. პატარა, ხშირბეწვიანი ოთახის ძაღლი; 17. სოფელი სიღნაღის რაიონში; 19. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 20. ღვინით ვაჭრობისა და წარმოების ცენტრი სამხრეთ საფრანგეთში; 21. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 22. განთავისუფლებული მონა ძველ საბერძნეთში; 23. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პლანტაჟი; 2. ისტვუდი; 3. ლინზა; 4. ბოლლიწო; 5. იურმალა; 10. ხონდრიტი; 11. ქსენოფობია; 12. სტაიერი; 15. ინდონეზია; 16. ალონსო; 17. წირქოლი; 20. ტონგა.

**თარაზულად:** 6. ალექსანდრია; 7. გოლეული; 8. აჯამეთი; 9. პანედა; 13. ბაშო; 14. ესთეტი; 18. დივიდენდი; 19. ჰიუგო; 21. ბორტი; 22. კოვბოი; 23. ვირსალაძე; 24. კვარიათი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. იაპონია; 2. მარჩიანო; 3. პლანეტა; 5. იანიჩარი; 7. ვენეცია; 9. პარანომია; 13. „მარსალა"; 15. ორვილე; 16. ჯულეპი; 18. მღილი.

**თარაზულად:** 4. მარკიორი; 6. კლაუზულა; 8. კოპენჰაგენი; 10. ოპერეტა; 11. როტა; 12. ჟიგოლო; 14. ბონდი; 17. ფონდა; 19. ჭვავი; 20. რეაქტორი; 21. „ანსა"; 22. დეტექტივი; 23. მილიცია.

# რუსეთმა ზესახელმწიფოს პრეტენზიებზე უარი თქვა



ლონდონის ეკონომიკურ სკოლაში გამოსვლის დროს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთმა ზესახელმწიფოს ამბიციებს თავი დააღწია.

ლავროვის თქმით, არ არსებობს მიზეზები, რომლებიც რუსეთისა და ბრიტანეთის დაახლოებას შეუშლიდა ხელს.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა პასუხად განაცხადა, რომ ლონდონსა და მოსკოვს შორის არსებულმა სერიოზულმა უთანხმოებებმა თანამშრომლობა არ უნდა შეაფერხოს.

ლავროვის გამოსვლის დროს ლონდონში, ეკონომიკის სკოლის წინ მცირე პიკეტი გაიმართა.

პიკეტის მონაწილეებს რადიოაქტიური პოლონიუმით მოწამლული ალექსანდრ ლიტვინენკოს, რუსეთის უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომლის ფოტო ეკავათ.

როგორც გაზეთმა „ინდეფენდენთმა“ აღნიშნა, ლავროვთან შეხვედრის დროს დიდი ბრიტანეთის პრემიერმა დევიდ კემერონმა შესაძლოა ლავროვის წინაშე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის ჯარების ყოფნის საკითხი დასვას.

გამორიცხული არ არის, რომ ლავროვის ოფიციალური ვიზიტის დროს ბრიტანეთის ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის მოსკოვის განყოფილებამაც განაახლოს მუშაობა, რომელმაც საქმიანობა ალექსანდრ ლიტვინენკოს მკვლელობის შემდეგ შეწყვიტა.

გარდა ამისა, დიდმა ბრიტანეთმა ლონდონში მიიწვია რუსეთის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელი ჩრდილოეთ კავკასიაში, ალექსანდრ ხლოპონინი. მასთან შეხვედრისას ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებს განიხილავენ.

ბრიტანელი დიპლომატები ამ შეხვედრებით ორ ქვეყანას შორის ურთიერთპატივისცემის საფუძველზე პრაგმატული დიალოგის დაწყებას ცდილობენ.

ბრიტანელი მიმომხილველების თქმით, რუსეთი ძალიან მნიშვნელოვან სახელმწიფოს წარმოადგენს იმისათვის, რომ დიდმა ბრიტანეთმა მისი იგნორირება მოახდინოს, უპირველეს ყოვლისა, რუსეთში ბრიტანული ინვესტიციების მნიშვნელოვანი მოცულობის გამო.

როგორც ჩანს, რუსეთი ასეთ მიდგომას მიესალმება. სერგეი ლავროვმა რუსეთ-ბრიტანეთის ისტორიული თანამშრომლობის მაგალითების სახით მოიყვანა 1812 წლის, აგრეთვე I და II მსოფლიო ომები და თანამედროვე პირობებში ტერორიზმთან ბრძოლა.

# თეირანში საპროტესტო აქცია ცრემლსადენი გაზით დაშალეს



თეირანში ანტისამთავრობო დემონსტრაციის მონაწილეებისა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების მასობრივი შეტაკებები მოხდა.

აქციის მონაწილეები ირანის დედაქალაქის ცენტრში შეგროვდნენ და ეგვიპტის მოვლენების მხარდაჭერა გამოხატეს.

პოლიციელებმა აზადის ცენტრალურ მოედანზე თავმოყრილთა წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს და ათობით ადამიანი დააკავეს. გავრცელებული ცნობების თანახმად, მოედანზე ერთი ადამიანი დაიღუპა.

ბიბისის ინფორმაციით, ოპოზიციის მხარდამჭერი მიტინგები გაიმართა აგრეთვე ირანის ქალაქ ისპაჰანში, მაშხადში, შირაზში.

ორშაბათს ირანის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი მირ ჰოსეინ მუსავი შინაპატიმრობაში აიყვანეს. პოლიტიკოსის სახლისაკენ მიმავალი გზა პოლიციის ფურგონებმა გადაკეტეს.

შინაპატიმრობაში იმყოფება აგრეთვე ოპოზიციის კიდევ ერთი ცნობილი მოღვაწე, პარლამენტის ყოფილი სპიკერი მეჰდი ქარუბი.

ორივე პოლიტიკოსი 2009 წლის პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს აპროტესტებდა. ამ არჩევნების შედეგად მეორე ვადით პრეზიდენტად მაჰმუდ აჰმადინეჟადი აირჩიეს. არჩევნების შემდეგ ირანში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები დაიწყო, რომლის მსგავსიც 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ არ მომხდარა.

ოპოზიცია აცხადებს, რომ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში ირანში ოპოზიციის 80-მდე მომხრე დაიღუპა. ირანის ხელისუფლები ამ ინფორმაციას უარყოფენ.

ორშაბათის საპროტესტო გამოსვლები 2009 წლის დეკემბრის შემდგომი პერიოდის პირველი მნიშვნელოვანი აქცია გახლავთ. მაშინ შიიტთა დღესასწაულის, აშურას დღეს 8 ადამიანი დაიღუპა.

14 თებერვალს აქციის მრავალი მონაწილე გაიძახოდა: „სიკვდილი დიქტატორებს“.

პასუხად ფორმიანი და უფორმო პოლიციელები დემონსტრანტებს პეინტბოლის თოფებიდან ესროდნენ, ზოგიერთს ხელკეტებით სცემდნენ.

სააგენტო ესოშიეიტედ პრესის თანახმად, აზადის მოედნის მახლობლად სამი დემონსტრანტი სროლის შედეგად დაიჭრა. მრავალი დაშავებული და ნაცემი დემონსტრანტი საავადმყოფოში მოათავსეს.

დაღამებასთან ერთად, თეირანის ცენტრში პოლიციის სპეცგანყოფილებები დარჩნენ, აქციის მონაწილეები გაიფანტნენ. გავრცელებული ცნობების თანახმად, მოსახლეობას ელექტროენერგია გამოურთეს.

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ირანის ხელისუფლებმა ოპოზიციის რამდენიმე თვალსაჩინო წარმომადგენელი დააკავეს.

ოპოზიციური მოძრაობის წევრები საპროტესტო აქციებში აპირებდნენ მონაწილეობას, მაგრამ ხელისუფლებმა მათი გამართვა აკრძალეს.

ირანის მთავრობამ ეგვიპტისა და ტუნისის მასობრივ გამოსვლებს მხარი დაუჭირა, მაგრამ ოპოზიციის მცდელობას, გაემართა ჩრდილოეთ აფრიკის ხალხებისადმი სოლიდარობის აქცია, პოლიტიკური პროვოკაცია უწოდა.

მიმომხილველების თქმით, ათასობით ირანელმა ხელისუფლების აკრძალვას ყურადღება არ მიაქცია. ირანის დედაქალაქში უსაფრთხოების ზომები გამკაცრდა. ბლოკირებულია ინტერნეტ-საიტები, შეწყდა თანამგზავრული საინფორმაციო გადაცემების მაუწყებლობა.

# კოლუმბიაში ნარკოტიკებით მოვაჭრეთა წყალქვეშა ნავი დააკავეს



კოლუმბიელმა სამხედრო მეზღვაურებმა დააკავეს წყალქვეშა ნავი, რომლის საშუალებითაც, სავარაუდოდ, კოლუმბიიდან მექსიკისაკენ კოკაინი გადაჰქონდათ. მინაპლასტიკისაგან დამზადებული 31 მეტრი სიგრძის გემი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით, ტიმბუკის ჯუნგლებში იყო დამალული.

სამხედროების განცხადებით, ეს წყალქვეშა ნავი დღემდე დაკავებულ ანალოგიურ ხომალდებს შორის ტექნიკური თვალსაზრისით ყველაზე სრულყოფილია. მას 8 ტონა კოკაინის გადატანა და 9 მ სიღრმეზე ცურვა შეეძლო. ადმირალ ერნანდო ვილს ველესის თქმით, წყალქვეშა ნავი რთული ნავიგაციური ხელსაწყოებით იყო აღჭურვილი, რაც ოთხი კაცისგან შემდგარ ეკიპაჟს მექსიკამდე მისვლის შესაძლებლობას აძლევდა. კოლუმბიის ხელისუფლების ვარაუდით, წყალქვეშა ნავის ღირებულება 2 მილიონ დოლარს აღწევდა.

# ეკვადორის სასამართლომ ნავთობკომპანია „შევრონი“ 9 მილიარდით დააჯარიმა

ეკვადორის სასამართლომ ამერიკული ნავთობკომპანია „შევრონი“ მდინარე ამაზონის აუზის დაბინძურების გამო 8.6 მილიარდი დოლარით დააჯარიმა.

ეს პრეტენზიები ეხება 1972-92 წლების პერიოდს, როდესაც კომპანია „ტექსაკომ“, რომელიც 2001 წელს „შევრონის“ შემადგენლობაში შევიდა, ტროპიკული ტყის მნიშვნელოვანი მასივები გაანადგურა და მილიონობით ტონა ტოქსიკური ნარჩენებით ნიადაგი და მდინარეები დააბინძურა.

ეკოლოგების განცხადებით, ნავთობის მომპოვებელი კონსორციუმის საქმიანობამ ქვეყნის შიდა რაიონების სოფლის მეურნეობას დიდი ზიანი მიაყენა და მოსახლეობაში კიბოთი დაავადების დონის ზრდა გამოიწვია.

„შევრონმა“ სასამართლოს გადაწყვეტილებას უკანონო და შეუსრულებელი უწოდა და განაცხადა, რომ განაჩენს გააპროტესტებდა. „შევრონს“ ეკვადორში აქტივები აღარ აქვს.

მოსამართლე ნიკოლას სამბრანოს მიერ პროვინციული ქალაქის, ლაგო აგრიოს სასამართლოს შენობაში გამოტანილი განაჩენის ძალაში დატოვების თანახმად, „შევრონს“, ადგილობრივი კანონების თანახმად, ჯარიმის 10%-ის გადახდაც მოუწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ, საერთო ჯამში, 9.5 მილიარდი დოლარი ექნება გადასახდელი.

ეკოლოგებისა და ნავთობის გიგანტის დავა 1993 წლიდან დღემდე გრძელდება. ეკოლოგები ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დამცველებად გამოდიან. თავდაპირველად ისინი „ტექსაკოს“ ნიუ იორკში უჩიოდნენ, მაგრამ 1996 წელს სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს საქმე ეკვადორის სასამართლოში უნდა გაირჩეს.

1988 წელს „ტექსაკომ“ ეკვადორის მთავრობასთან შეთანხმებას მოაწერა ხელი, რომლის თანახმადაც, მას დაბინძურების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით 40 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა. „ტექსაკო“, მოგვიანებით კი „შევრონი“ ამტკიცებდნენ, რომ ეს შეთანხმება კომპანიას მესამე მხარის, კერძოდ, ადგილობრივი მოსახლეობის პრეტენზიებისაგან იცავს.

„შევრონი“ ასევე ამტკიცებს, რომ ექსპერტი, რომლის მოსაზრებებსაც ზარალის შეფასებების დროს იყენებდნენ, მომჩივანთა ზეგავლენის ქვეშ იმყოფება.

ეკოლოგები, თავის მხრივ, სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო არიან. მათ მიაჩნიათ, რომ მოსამართლემ ექსპერტის მიერ რეკომენდებული ჯარიმის ოდენობა სამჯერ შეამცირა.

იმავდროულად, მომჩივნების ადვოკატმა აბლო ფარჰადომ ვერდიქტს კრიმინალურ ეკონომიკურ ძალა „შევრონზე“ მართლმსაჯულების გამარჯვება უწოდა.

„შევრონისათვის“ დაკისრებული ჯარიმა ნავთობის ინდუსტრიისათვის ერთ-ერთი უდიდესია.

შედარებისთვის, კომპანია „ექსონს“ 1989 წელს კანადის სანაპიროსთან ტანკერ „ეხსონ ვალდესიდან“ ზღვაში ნავთობის ჩაღვრისათვის 5 მილიარდი დოლარი ჯარიმის გადახდა დააკისრეს, მაგრამ მოგვიანებით აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ თანხა 500 მილიონამდე შეამცირა. ეს თანხა „ექსონის“ რამდენიმე დღის მოგების ტოლია.

აშშ-ის პრეზიდენტ ბარაქ ობამას ადმინისტრაციის ზეწოლით ბრიტანულმა „ბრითიშ პეტროლეუმმა“ მექსიკის უბეში ავარიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით შექმნილ ფონდში 20 მილიარდი დოლარი შეიტანა.

ეკოლოგები იმედოვნებენ, რომ ეკვადორის სასამართლოს გადაწყვეტილება შექმნის პრეცედენტს, რის შედეგადაც განვითარებად ქვეყნებში მომუშავე ნავთობკომპანიებს მიყენებული ზარალის ისეთივე ოდენობით კომპენსირება მოუხდებათ, როგორც განვითარებულ ქვეყნებში.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილები ვალერი, ედიშერი, დემური, შვილიშვილები ანრი, გიორგი, კალისტრატე, მარიამი, თამარი, სოფიკო ჯანჯულიები, ძმები ტიტიკო, ზურაბი, დები ციალა, ლიანა, ნატო, ასმათი და სვეტა გოგუები ოჯახებით იუწყებიან

**ნადიშა ხახუტის ასული ბერაძე-ჯანჯულიას**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: შაბათს, 19 თებერვალს, გალის რაიონის სოფელ ოქუმში.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატს, გალის რაიონის პრეფექტს 1991-1992 წლებში ედიშერ ჯანჯულიას დედის

**ნადიშა ბერაძე-ჯანჯულიას**

გარდაცვალების გამო.

---



**თენგიზ აბულაძის გახსენება**

ჩემო სათნო და კეთილო მძახალო თენგიზ, დიდი გულისტკივილითა და უზომო სიყვარულით გიგონებ და არასოდეს დამავიწყდები. შენმა წასვლამ ამქვეყნიდან უდიდესი ტკივილი დაგვიტოვა ყველას. უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი მძახალი ნიკოლოზ რატიანი*

---

მერი, ლენა, ლილი, კობა პირველაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

**ზურაბ ქორას ძე აბულაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

მერი, ლენა, ლილი, კობა პირველაშვილები ოჯახებით დიდი მწუხარებით იუწყებიან ბიძაშვილისა და ბიძის

**ნოდარ ალექსანდრეს ძე პირველაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

სამძიმარს ვუცხადებ ოჯახს, შვილებს — ონერის, კიკოს... ხარჩილავებს დედის

**ლუნა მუნტურის ასულ შენგელია-ხარჩილავას**

გარდაცვალების გამო.

*დავით შონია*

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 16 თებერვალი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია **13.30** დამზადებულია საქართველოში **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვების შესახებ" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **22.00** ისტორია **23.00** ჩემპიონთა ლიგა. წინასაფეხბურთო გადაცემა **23.40** **ფეხბურთი**. რომა-შახტარი. **01.40** მოამბე **02.00** მხ. ფილმი "**საკმარისია**" (12) (ჯ. ლოპესი) (სუბტ.)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი "**უილბლო**" **01.00** მხ. ფილმი "**სრული იზოლაცია**" (12)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**გრძნობათა ტყვეობაში**" **10.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სერ. "**შენ ჩემი სიცოცხლე ხარ**" **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** კომედი შოუ **15.30** სერ. "**ჩვენი ოფისი**" **16.00** სერ. "**სიყვარულის საიდუმლო**" **16.50** სერ. "**მორენას ვნება**" **18.30** სერ. "**გაორება**" **18.50** სერ. "**დანიელა**" **19.50** სერ. "**ელენას მოჩვენება**" **22.00** ვა ბანკი **23.40** **ჩემპიონთა ლიგა**. არსენალი-ბარსელონა **01.40** მხ. ფილმი "**ძლიერი ადამიანების ამბები**" (18) (უ. სადლერი) **03.40** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "რიპლი" **09.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00** გოგონას დილა **11.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **12.00** სერ. "**გაუხსნელი საქმე**" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** სერ. "**ორნახევარი კაცი**" **15.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **16.20** მხ. ფილმი **19.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **20.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **21.00** სერ. "**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**სილამაზის მსხვერპლი**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. "**ბოშები**" **13.00** სერ. "**ლობას საიდუმლო**" **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. "**მონტეს ოჯახი**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.45** სერ. "**ლობას საიდუმლო**" **21.00** სერ. "**ქალბატონი**" **22.00** კონცერტი **00.15** მხ. ფილმი "**ჩემი ძმაკაცის შეყვარებული**" (12) (ჯ. ბიგსი) (სუბტ.) **01.40** მხ. ფილმი "**უკანასკნელი ლეგიონი**" (კ. ფერტი) (სუბტ.) **03.20** მხ. ფილმი "**სიცილური კლანი**" (15) (სუბტ.)

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. "**სინდისის საკითხი**" **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. "**იდუმალი სტუმარი**" **12.50, 19.30** სერ. "**ძმები კარამაზოვები**" **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. "**რა თქვა განსვენებულმა**" **22.00** სცენა **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** საღვთისმეტყველო საუბრები **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.20** მხ. ფილმი "**მონანიება**" მე-2ნ. **13.35** კონცერტი **15.05** მხ.ფ. "**ცისკრის ზარები**" **16.25** დოკ.ფ. "ველური ბუნება" **16.50** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი "**ლოლიტა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.40** საქართველოს ისტორია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15, 00.35** სუფთა დაფა **01.00** გადაცემა "კარაბადინი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 16 თებერვალს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,776

ევრო — 2,3894

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8391

რუსული რუბლი — 0,0607

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 3-5, ღამით — -7 -6

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 4-6, ღამით — -6 -1

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -§-2, ღამით — -22 -7

**ამინდის პროგნოზი 16 თებერვლისთვის**





## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია



„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58.


## ასტროპროგნოზი 16 თებერვლისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ! ეს დღე მშვიდად გაატარეთ.**

**ვერძი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **კურო** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **ტყუპები** — გზიდან ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **კირჩხიბი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **ლომი** — გელით ძვირფასი საჩუქარი. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, დაისვენეთ. **სასწორი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ღრიანკალი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **მშვილდოსანი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **თხის რქა** — მოერიდეთ ხალმხრავალ ადგილებს, მეგობრებს მყუდრო გარემოში შეხვდით. **მერწყული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. უდიდესი ნავთობის საბადო ყაზახეთში; 2. არმიის მეთაურთა შემადგენლობის პირი; 3. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 4. გუთნის ძველი ქართული სახელწოდება; 5. ლონდონის „არსენალის" ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 10. ფიცხი ადამიანი; 11. წმინდანად შერაცხული ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 12. სახელმწიფო აზიაში; 15. იტალიური საკონდიტრო; 16. ტროას ძველბერძნული სახელწოდება; 17. მეომრის ლითონის თავსაბურველი; 20. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი.

**თარაზულად:** 6. საერთაშორისო ხელშეკრულების დაკანონება; 7. ჭაობის მწერიჭამია მცენარე; 8. ფუტკრის მსგავსი მოყვითალო ფერის მწერი; 9. ნაკვერჩხლებიანი ნაცარი; 13. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 14. ხელოვნების, მეცნიერების მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 18. შამპანურის შემქმნელად მიჩნეული ბენედიქტელი ბერი; 19. პოპულარული ინგლისური იუმორისტული ჟურნალი; 21. შვეიცარიის დედაქალაქი; 22. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 23. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 24. მძიმე ტვირთების გადასატანი მისაბმელიანი ავტომობილი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




# გუჯა ბურდული გრიგოლ ფერაძეს ითამაშებს



ქართველი მსახიობი გუჯა ბურდული არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის როლს მხატვრულ დოკუმენტურ ფილმში შეასრულებს. ახალ სურათს მსახიობის ქალიშვილი, რეჟისორი მაკა ბურდული იღებს. რეჟისურის გარდა, მაკა ფილმის სცენარის ავტორიც თავად არის, ოპერატორი კი ნაოკო მიუაშიტაა.

**მაკა ბურდული, ფილმის რეჟისორი:**

— ქართველი თეოლოგი გრიგოლ ფერაძე საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად 1995 წელს შერაცხა. არქიმანდრიტი სიღნაღის რაიონის სოფელ ბაკურციხეში დაიბადა. მისი მამაც მღვდელი იყო, ხოლო დედა — მოძღვრის ქალიშვილი. მათ სამი ვაჟი ჰყავდათ: უფროსი არჩილი, შუათანა გრიგოლი და უმცროსი — ვასილი. საერთოდ, მათი გვარი სამღვდელო ყოფილა. ამის შესახებ მამა გრიგოლი თავის ერთ-ერთ მოთხრობაში გადმოგვცემს, რომ მისი წინაპრები მწყემსები იყვნენ, მაგრამ, ერთ დილით, უდაბნო ადგილას, სადაც ორი მწყემსი დარაჯობდა თავის ფარას, გაისმა ზარების სასწაული ხმა და ამ მელოდიის ბგერებში ერთ-ერთ მწყემსს ეუწყა, რომ მისი შთამომავლები უნდა ქცეულიყვნენ ადამიანური სულის მწყემსებად. ამ დროიდან იწყება ახალი ჟამი მათი ოჯახის ცხოვრებაში. ცხვრის მწყემსები სულთა მწყემსებად გადაიქცნენ. გრიგოლი რომ წამოიზარდა, სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, შემდეგ კი სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა. გრიგოლი საუკეთესო

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## იუმორი



— რამდენჯერ გითხარით, „ხვალ მოდით"-მეთქი, თქვენ კი ყოველთვის დღეს მოდიხართ...

* * *

— შინ დაბრუნების შემდეგ ტანისამოსს კარადაში თუ კიდებთ, სადილს კი მაგიდასთან მიირთმევთ, ინტერნეტი არ გქონიათ...

* * *

ბანკის გაძარცვის შემდეგ:

— ჰა, დავთვალოთ თუ ტელევიზორში ახალი ამბების გამოშვებას დაველოდოთ?

* * *

— ლამაზად ცხოვრების მოყვარულები ძალიან მალე პროფესიონალები ხდებიან...

* * *

— ერთი მახინჯი ყველა ოჯახს ჰყავს, მაშინაც კი, თუკი მარტო ცხოვრობ...

* * *

— დღეს მზის დაბნელებაა, აპირებ ნახო?

— არა, დივიდიზე რომ გამოვა, მერე ვნახავ...

* * *

ორი მოხუცი კამათობს:

— ეს მე ვარ ბებერი? ექიმმა თქვა, რომ ჩემი ორგანიზმი საათივით მუშაობს.

— ალბათ, ქვიშის საათს გულისხმობდა...

გ. თ.

# საქართველოში გიორგი ფოფხაძეც დაბრუნდა



საქართველოს ჩემპიონატში კიდევ ერთი ლეგიონერი მობრუნდა — 24 წლის მარცხენა მცველმა გიორგი ფოფხაძემ საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონთან" გააფორმა კონტრაქტი. როგორც შევიტყვეთ, ფეხბურთელისა და იმერული კლუბის თანამშრომლობა 6 თვეს პლუს 2 წლით არის გათვალისწინებული.

ფოფხაძემ ადრიანად დატოვა საქართველო და 19 წლის ასაკში დანიურ „ვიბორგში" ჩაირიცხა. იქაურმა გულშემატკივრებმა ჩვენებური 2-ჯერ აღიარეს სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად. თუმცა, როგორც კი ფოფხაძეს სკანდინავიელებთან კონტრაქტი დაუმთავრდა, მისი გაგრძელება არც ერთმა მხარემ არ ისურვა და ფოფხაძეც საქართველოში დაბრუნდა.

გიორგიმ ჯერ თბილისის „დინამოს" მიაშურა და თითქოს მისი იქ ჩარიცხვა გადაწყვეტილიც იყო, მაგრამ შემდეგ ისევ უცხოური ვარიანტები გამოუჩნდა, მაგრამ ვერც სამარის „კრილია სოვეტოვში" და ვერც მოლდოვურ „შერიფში" ფეხი ვერ მოიკიდა. ამიტომაც ისევ სამშობლოში დაბრუნდა და „ზესტაფონთან" გააფორმა ხელშეკრულება.

ფოფხაძეს 2006-09 წლებში საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც აქვს ნათამაშები და მისი მაისური 7-ჯერ მოურგია.

შეგახსენებთ, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში უცხოეთიდან საქართველოში ფოფხაძის გარდა დიმიტრი ტატანაშვილი (დინამო), ირაკლი მაისურაძე (ოლიმპი) და გიორგი სეთურიძე (ტორპედო) მობრუნდნენ.

მ. ჟ.

# „მითრიდატე" საქართველოში ბრუნდება

ეკა ირემაშვილი

19 და 20 თებერვალს რუსთაველის თეატრში გაიმართება ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ოპერის „მითრიდატე, პონტოს მეფის" პრემიერა. სპექტაკლი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრისა და რუსთაველის თეატრის ერთობლივი პროექტია. ოპერის დამდგმელი დირიჟორია ჯანლუკა მარჩიანო, დამდგმელი რეჟისორი — დავით საყვარელიძე, დამდგმელი მხატვარი — ნინა კობიაშვილი. „მითრიდატე, პონტოს მეფეს" ასრულებენ ოპერის თეატრის ორკესტრი და მომღერლები: იანგ იანგი, თეონა დვალი, სალომე ჯიქია, ირინე თაბორიძე, მეგი ჩიხრაძე, სოფიო ჯანელიძე, ეთერ ხალვაში, სოფიო გორდელაძე, ანი ცარციძე, ირაკლი მურჯიკნელი, ნინო ჩაჩუა, ქეთევან ხომერიკი; მომღერლებთან ერთად „მითრიდატეს" განსხეულებაში მონაწილეობენ რუსთაველის თეატრის მსახიობები: თემიკო ჭიჭინაძე, დავით დარჩია, ნინო კასრაძე, ნინო თარხან-მოურავი, დავით უფლისაშვილი.

„მითრიდატე, პონტოს მეფე" ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ადრეული ოპერაა, რომელიც იტალიაში მოგზაურობის დროს შეიქმნა. ორმოქმედებიანი ოპერის ლიბრეტოს ავტორია ვიტორიო ამედეო ჩინია-სანტი, რომელმაც ჟან რასინის ტრაგედიის ჯუზეპე პერინისეული იტალიური თარგმანის მიხედვით დაწერა ტექსტი. პონტოს მეფე მითრიდატე VI-ის ისტორია რასინის ტრაგედიის შექმნის შემდეგ არაერთი კომპოზიტორის შთაგონების წყაროდ იქცა, მათ შორის იყვნენ ფრანცისკო არაი, ალბერტ ბიელი, ანტონიო კალდარი, ნიკოლა პორპორა, დომენიკ ტერადელიასი, ჯუზეპე სარტი, ქვირინო გასპარინი, დავიდე ნიკოლინი.

— 14 წლის მოცარტის მიერ იტალიაში შექმნილი და იტალიურ თეატრში დასადგმელად გააზრებული „მითრიდატე" სრულად შეესაბამება ოპერა-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ეჩვევით თუ არა ადამიანებს?

**ტესტი**



***ტესტის შეკითხვებს უპასუხეთ დიახ (1), არა (2) არ ვიცი (3)***

1. თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ბევრი მეგობარი — აი, ჩემი მთავარი ლოზუნგი.
2. შემიძლია შევიყვარო ვინმე და მალევე დავივიწყო.
3. ბევრი კონტაქტი მაქვს ადამიანებთან და უკვე შემიძლია ზოგიერთი მათგანის დავიწყება.
4. შეჩვევა უფრო ქალებისა და ბავშვების თვისებაა.
5. არ მესმის ადამიანებისა, რომლებსაც პრობლემები უჩნდებათ ვინმეზე ზედმეტად მიჩვევის გამო.
6. მაქვს და მიყვარს ახლო ურთიერთობანი, მაგრამ რაიმე პასუხისმგებლობას არ ვგრძნობ.
7. შემიძლია ნებისმიერ მომენტში გავემგზავრო მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ.
8. მიყვარს ადამიანებთან მიჩვევა და დაახლოება — თავს უფრო მშვიდად და კარგად ვგრძნობ.
9. ხანდახან ვფიქრობ, რომ ჩემს პრობლემას საკუთარ თავთან ზედმეტად მიჩვევა წარმოადგენს.
10. სულის სიღრმეში გული მწყდება, რომ არ მყავს ადამიანი, რომელსაც შეიძლება „ჩემი" ვუწოდო.
11. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც დიდი ხანია ვიცნობ, მაგრამ მაინც მათთან ახლო ურთიერთობა არ მაქვს.
12. ცხადია, ადამიანთან 10 წლის ურთიერთობამ მიჩვევა შეიძლება გამოიწვიოს.

**პასუხები**

**12-20 ქულა:** ადამიანებთან ახლო ურთიერთობა ციხეს გაგონებთ, მიჩვევა კი — ბორკილებს. თქვენ ცდილობთ, მთელ სამყაროს აჩვენოთ, როგორი დამოუკიდებელი ხართ და სამყაროც იმავეთი გპასუხობთ.

**21-28 ქულა:** მიჩვევა თქვენთვის ისეთივე ბუნებრივი რეფლექსია, როგორიც სუნთქვა. ხანდახან მისი სიჭარბეც კი ხდება პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან თავი ძალიან დამოუკიდებლად მოგაქვთ, სინამდვილეში ყოველთვის ვინმესთან სიახლოვის სურვილი გაქვთ.

**29-36 ქულა:** მიჩვევა სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ეს მდგომარეობა თქვენთვის ის წყაროა, რომელიც სიხარულითა და ძალით გამარაგებთ და იმდენად უხვია, რომ სხვასაც შეგიძლიათ გაუზიაროთ. ვინც გიყვართ, სამუდამოდ მის გვერდით რჩებით.

გ. თ.